ანასტასია კაიშაური

# სახელმძღვანელო მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად

სახელგამი
თბილისი
1954

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასტასია კაიშაური

# სახელმძღვანელო მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად

სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისი

1954

ეროვნული ბიბლიოთეკა

„... ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს".

ი. სტალინი

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია ჩვენი ხანგრძლივი ლოგოპედიური მუშაობის გამოცდილების საფუძველზე. ამ სახელმძღვანელოს მიზანია გამოასწოროს ენამოშლილობის ის სახეები, რომელთაც ენაჩლუნგობა ეწოდება, სახელდობრ სიგმატიზმები: 1. კბილთაშუა ანუ სიფსიფა სიგმატიზმი, 2. ენაკბილხშული ანუ თიფთიფა სიგმატიზმი, 3. შიშინა სიგმატიზმი, 4. ლატერალური ანუ თლიფინა სიგმატიზმი, 5. ცხვირისმიერი სიგმატიზმი, 6. ბაგეკბილისმიერი სიგმატიზმი. აგრეთვე გამაციზმის (გ, ქ, კ-ს ნაცვლად დ, თ, ტ-ს ხმარება), როტაციზმის, ლამბდაციზმის, ყარიზმის და ზოგიერთი სხვა ნაკლოვანების გამოსწორება.

წიგნში მოცემულ ქართულ ბგერათა (ფ, თ, ქ, ყ, ღ, პ, ძ, წ, ჯ, ჭ) დაყენების ხერხები (მეთოდიკა) გამომუშავებულია და დადგენილია ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე. იგი გამოსაყენებელია როგორც ლოგოპედიაში, ისე სურდოპედაგოგიკაში. მხოლოდ ყრუმუნჯებისათვის ამ მეთოდს, სმენის უქონლობის გამო, ემატება მათი ვიბრაციული, კინესთეზიური და მხედველობითი შეგრძნებების გამოყენება.

წიგნი დაწერილია ლოგოპედ-მასწავლებელთათვის, მაგრამ ამასთანავე იგი დახმარებას გაუწევს ყრუმუნჯთა და აგრეთვე დამხმარე და დაწყებითი სკოლების მასწავლებლებსაც.

წიგნში მოცემული მასალა დალაგებულია წარმოთქმის სიადვილის კვალობაზე. მასალის შინაარსი შეფარდებულია მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მოთხოვნილებასთან: 1. გონებრივი, ზნეობრივი აღზრდა-განვითარება, 2. პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობის აღზრდა, 3. კოლექტიური შრომა, ურთიერთდახმარება და ერთგულება, 4. ესთეტიკური გრძნობის აღზრდა და სხვა.

# ნაწილი I

## სისინა ბგერების — ს, ზ, ც, წ, ძ — დაყენება



სურ. 1. ბგერა ს-ს არტიკულაციის პროფილი.

ს ნაპრალოვანი ბგერაა.

**ბიომექანიკა:**

1. ტუჩები მიახლოებულია კბილებთან და ოდნავ ღიაა.
2. პირის კუთხეები გაწეულია გასწვრივ.
3. კბილები მოჩანს.
4. კბილები ერთმანეთთან მიახლოებულია 1 — $1^1/_2$ მმ მანძილით.
5. ენისწვერი ეხება ქვედა კბილებს, შუაენა ამოზნექილია.
6. ენის შუა ნაწილი უახლოვდება ალვეოლებს, მათ შორის იქმნება ნაპრალი.
7. სახმო სიმები ღიაა.
8. რბილი სასა აწეულია.
9. როცა ჰაერნაკადი გაივლის პირის ღრუში ნაპრალს, ისმის ბგერა **ს**.

**ს**-ს ნაკლოვანება გვევლინება განსაკუთრებით სიგმატიზმის სახით (იხ. სურ. 2, 4, 5, 6, 8, 9, 12).

სიგმატიზმი ნიშნავს (სიგმა ბერძნულად ბგერა **ს**-ს სახელწოდებაა) სისინა (ს, ზ, ც, წ, ძ) და შიშინა (შ, ჟ, ჩ, ჭ, ჯ) ბგერების დარღვევას.

განასხვავებენ სიგმატიზმის სამ მთავარ სახეს: 1. ინფანტილური (ბავშვური) სიგმატიზმი, 2. ლატერალური და 3. ნაზალური,

პირველი (ინფანტილური სიგმატიზმი) გვევლინება ოთხი სახით: 1. კბილთაშუა (სიფსიფა) სიგმატიზმი; 2. ენაკბილხშული (თიფ-თიფა) სიგმატიზმი; 3. შიშინა სიგმატიზმი; 4. ბაგეკბილისმიერი სიგმატიზმი (იხ. სურ. 2, 5, 6, 8).



სურ. 2. კბილთაშუა (სიფსიფა) სიგმატიზმის არტიკულაციის პროფილი.

ენისწვერი მოთავსებულია ქვედა და ზედა კბილთაშუა, ისმის არამკაფიო, ბავშვური ბგერა (ს—ზ, ც — წ — ძ).

**გამოსწორების მეთოდიკა**: 1. კბილების დახშვა; 2. ენისწვერის დაწევა კბილებისაკენ ზონდით (იხ. სურ. 3, 4) და ზედიზედ წარმოთქმა (სსსს.... — ბაგეები, რაც შეიძლება გასწვრივ); 3. ენისწვერზე წინდისჩხირის მოთავსება გასწვრივ, ზედა და ქვედა კბილების ურთიერთმიახლოება და **ს**-ს წარმოთქმა; 4. გვერდის კბილების ენით დაფარვა; 5. ჰაერნაკადის დინება; ენასა და სასას შორის შექმნილი ნაპრალის გზით, ქვედა კბილების მიმართულებით, ისმის ბგერა **ს**. სმენიან ბავშვებში **ს**-ს აღდგენა უმეტეს შემთხვევაში იძლევა **ზ**, **ც**, **წ**, **ძ**-ს აღდგენასაც.



სურ. 3. ზონდი * კბილთაშუა (სიფსიფა) სიგმატიზმის გამოსწორებისათვის.

* ზონდები იხ. სურ. 3, 7, 10, 11, 17 — დადგენილი და გამოყენებულია პროფ. თ. ა. რ ა უ ს მიერ.

ს-ს განმტკიცება ხდება მარცვლებში (სა სო... ას ოს...), სიტყვის თავში, შუაში, ბოლოში და თანხმოვანთკომპლექსებში.



სურ. 4. კბილთაშუა (სიფსიფა) სიგმატიზმის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალება.

სიგმატიკი* ენისწვერის შუა ნაწილს აწვება ზონდით, ტუჩებს გასწევს გასწვრივ, კბილებს ნაწილობრივ აშიშვლებს და ფილტვებიდან მოწოლილი ძლიერი ნაკადით წარმოთქვამს, ისმის მართებული ბგერა **ს**.



სურ. 5. ენაკბილხშული (თიფთიფა) სიგმატიზმის არტიკულაციის პროფილი.

ენისწვერი მჭიდროდ ებჯინება ზედა და ქვედა კბილებს. **ს**-ს ნაცვლად წარმოითქმის **თ** ან **ტ** (სამი || თამი, ტამი); **ზ**-ს ნაცვლად **დ** ან **ტ** (ზარი || დარი, ტარი); **ც**-ს ნაცვლად **ტ** (ცული || ტული); **წ**-ს ნაცვლად **ტ** (წიწილა || ტიტილა); **ძ**-ს ნაცვლად **დ** (ძია || დია). ეს ნაკლოვანება ხშირად წერაშიც ვლინდება.

---

* სიგმატიკი — ენაჩლუნგი, რომელიც სწორად ვერ გამოთქვამს სისინა (ს — ზ, — ცწ — ძ) და შიშინა (შ — ჟ, ჩ — ჭ — ჯ) ბგერებს.

**გამოსწორების მეთოდიკა:** ზონდით (იხ. სურ. 7) ან წინდისჩხირით ენისწვერის დაწევა ქვედა კბილებთან სწორი ჰორიზონტალური მიმართულებით; ფილტვებიდან ამომდინარე ძლიერი ჰაერნაკადი გაივლის ენისწვერის მიმართულებით და ქვედა კბილების არეში ისმის ბგერა **ს** (ჰაერნაკადის კონტროლი ხელის ზურგზე).



სურ. 6. შიშინა სიგმატიზმის არტიკულაციის პროფილი.

ენისწვერი გადაწეულია უკან — ქვედა კბილებისაგან; ენის ზურგი ამოზნექილია მაგარი სასის მიმართულებით; **ს**-ს ნაცვლად ისმის სუსტნაკადოვანი **შ'** (**შ'** ნიშნავს შ-ს დარბილებას), მაგ.: სურა ‖ **შ**'ურა, სარი ‖ **შ**'არი.

**გამოსწორების მეთოდიკა:** 1. ენის თანდათანობით დაშვება ქვედა ყბისაკენ; 2. ენის ტანის გაბრტყელება; 3. ფილტვებიდან ძლიერი ჰაერნაკადის ამოდენა; 4. ხელახლა ენის ზურგის ოდნავი ამოზნექა (ზონდით იხ. სურ. 10); 5. ენის ვარჯიში გაბრტყელებით და ამოზნექით; 6. **ს**-ს წარმოთქმა ძლიერი ნაკადით; 7. **ს**-ს და შ-ს დიფერენცირება მარცვალში (**სა-შა, სი-ში...**), სიტყვებში (საგანი — შაქარი, თასი — მუშა...) და შესიტყვებებში.



სურ. 7. ზონდი ენაკბილხშული (თიფთიფა) სიგმატიზმის გამოსასწორებლად



სურ. 8. ბაგეკბილისმიერი (ს) სიგმატიზმის პროფილი.

ქვედა ტუჩი უახლოვდება ზედა კბილებს, ისმის რუსული ф ან სუსტი ვ.

**გამოსწორების მეთოდიკა:** 1. საჭიროა ქვედა ტუჩის მოწყვეტა ზედა კბილებისაგან; 2. ქვედა ყბის ნორმალური პოზიცია, შესატყვისი ბგერა **ს**-სთვის; 3. ენისზურგის ამოზნექა მაგარი სასისაკენ და 4. ძლიერი ჰაერნაკადის მოწოლით **ს**-ს წარმოთქმა.



სურ. 9. ცხვირისმიერი (ნაზალური) სიგმატიზმის პროფილი.

ენის ძირი ებჯინება რბილ სასას, რომელიც დაშვებულია. ჰაერნაკადი მთლად ან დიდი რაოდენობით გამოდის ცხვირიდან; ყველა ბგერა ცხვირისმიერობის ელფერს იღებს. დეფექტი, გარდა სისინებისა, ვრცელდება შიშინებზედაც, ამის გამო სისინებისა და შიშინების აღრევა წერაშიაც ვლინდება.

**გამოსწორების მეთოდიკა:** 1. ზონდის საშუალებით ენის წინ წამოწევა — ტუჩებისაკენ; 2. ცხვირის ნესტოების თითებით დახშვა, ჰაერნაკადის პირის ღრუსაკენ წარმართვა (კონტროლი: შებერვა სარკეზე, ბამბაზე, ბუმბულზე, ქაღალდის ნაჭერზე და სხვა); 3. ჰაერნაკადის ენით შებერვა (კონტროლი: ჰაერნაკადი უნდა შეიგრძნოს ხელის ზურგზე კბილებსა და ტუჩებს შუა, შემდეგ ენის გადატანა კბილებისაკენ და **ს**-ს ვარჯიში მარცვლებსა და სიტყვებში).



სურ. 10. ზონდი **შ** და **ჟ**-ს გამოსასწორებლად.



სურ. 11. ზონდი გვერდითი და ცხვირისმიერი სიგმატიზმის გამოსასწორებლად.



სურ. 12. ლატერალური (თლიფინა) სიგმატიზმის არტიკულაციის პროფილი.

ლატერალური სიგმატიზმი ორნაირია: 1. ენისწვერი მიბჯენილია ალვეოლებზე, ჰაერნაკადი გამოდის გვერდის კბილებსა და ენის გვერდებს შუა, როგორც **თ, ტ, დ, ნ ლ**-ს წარმოებისას; 2. ენის ზურგი აწეულია ზემოთ და მჭიდროდ ებჯინება სასას. ჰაერნაკადი გამოდის პირისა და საძირე კბილების ერთი ან ორივე მხრივ, ისმის

გაურკვეველი ბგერა **ხ' ლ'** (' ნიშნავს **ხ** და **ლ**-ს დარბილებას), უფრო ხშირად ჰ. სურა || ხ'ურა, ლ'ურა, ჰურა.

ლატერალური სიგმატიზმის შემთხვევებში ადგილი აქვს შიშინებისა და სისინების აღრევას.

**გამოსწორების მეთოდიკა:** 1. ენის წინ წამოწევა (იხ. სურ. 2); პირიდან ძლიერი ჰაერნაკადის გამოდენა თლიფინით; 3. ენისწვერის თანდათან გადატანა ქვედა კბილებთან და **ს**-ს წარმოება ძლიერი ჰაერნაკადით (სურ. 12. ისარი გვიჩვენებს ჰაერნაკადის გამოდენას გვერდითი კბილებსა და ენა-ლოყებს შუა). ლატერალური სიგმატიზმის აცილება მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას.

## სისინები | ს | ზ | ც | ძ | წ |

### ბგერა [ს] მარცვლის თავში.

სა  სო  სუ  სე  სი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სა | სო | სო | სა | სუ | სა | სე | სა | სი | სა |
| სა | სუ | სო | სუ | სუ | სო | სე | სო | სი | სო |
| სა | სე | სო | სე | სუ | სე | სე | სუ | სი | სუ |
| სა | სი | სო | სი | სუ | სი | სე | სი | სი | სი |

### ბგერა [ს] მარცვლის ბოლოში და ხმოვანთა შორის.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ას | ასა | ოსა | უსა | ესა | ისა |
| ოს | ასო | ოსო | უსო | ესო | ისო |
| უს | ასუ | ოსუ | უსუ | ესუ | ისუ |
| ეს | ასე | ოსე | უსე | ესე | ისე |
| ის | ასი | ოსი | უსი | ესი | ისი |

### ბგერა [ს] ხმოვანთა თავში და ბოლოში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სას | სოს | სოს | სას | სუს | სას | სეს | სას | სის | სას |
| სას | სუს | სოს | სუს | სუს | სოს | სეს | სოს | სის | სოს |
| სას | სეს | სოს | სეს | სუს | სეს | სეს | სუს | სის | სუს |
| სას | სის | სოს | სის | სუს | სის | სეს | სის | სის | სეს |

### ვარჯიში მახვილზე.

| | | | |
|---|---|---|---|
| სასა´ | სასა´ | სასა´ | სასა´ |
| სოსო´ | სოსო´ | სოსო´ | სოსო´ |
| სუსუ´ | სუსუ´ | სუსუ´ | სუსუ´ |
| სესე´ | სესე´ | სესე´ | სესე´ |
| სისი´ | სისი´ | სისი´ | სისი´ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| სასასა' | სასასა' | სასასა' |
| სოსოსო' | სოსოსო' | სოსოსო' |
| სუსუსუ' | სუსუსუ' | სუსუსუ' |
| სესესე' | სესესე' | სესესე' |
| სისისი' | სისისი' | სისისი' |

## ბგერა ს თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | |
|---|---|---|
| ასპა | ასთა | ასკა |
| ასმა | ასტა | ასხა |
| ასვა | ასდა | ასლა |
| ასფა | ასნა | ასრა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპა | სმა | სვა | სფა | სთა | სტა |
| სპო | სმო | სვო | სფო | სთო | სტო |
| სპუ | სმუ | სვუ | სფუ | სთუ | სტუ |
| სპე | სმე | სვე | სფე | სთე | სტე |
| სპი | სმი | სვი | სფი | სთი | სტი |
| სდა | სნა | სკა | სხა | სლა | სრა |
| სდო | სნო | სკო | სხო | სლო | სრო |
| სდუ | სნუ | სკუ | სხუ | სლუ | სრუ |
| სდე | სნე | სკე | სხე | სლე | სრე |
| სდი | სნი | სკი | სხი | სლი | სრი |

| | | |
|---|---|---|
| სტვა | მსხა | მსხმა |
| სტვო | მსხო | მსხმო |
| სტვუ | მსხუ | მსხმუ |
| სტვე | მსხე | მსხმე |
| სტვი | მსხი | მსხმი |

## ბგერა ს სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| სასა | სუფრა | ნესვი |
| საათი | სული | ნემსი |
| სარი | სურათი | მსხალი |
| საპონი | სალათა | სასტუმრო |
| სახლი | სპილო | სინესტე |
| სარკე | სკამი | კომბოსტო |
| სოდა | სკოლა | ლურსმანი |
| სოკო | სახნისი | ნესტო |
| სოფელი | სტაფილო | ნესტარი |
| სურა | სტუმარი | ვარსკვლავი |

**დავალება** 1. წაიკითხეთ ყველა სიტყვა თანმიმდევრობით, შემდეგ ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი და მეტიც ერთ ამოსუნთქვაზე, მაგალითად: სარკე⌒ სოკო; სახნისი⌒ სტუმარი⌒ სკოლა.

**დავალება** 2. მოიგონეთ ისეთი სიტყვები, რომ ბგერა **ს** სიტყვის შუაში იყოს.

**დავალება** 3. მოიგონეთ ისეთი სიტყვები, რომ ბგერა **ს** თანხმოვანთა შორის იყოს.

**დავალება** 4. დაასახელეთ რიცხვები, რომლებშიც ბგერა **ს** გვხვდება.

**დავალება** 5. დაასახელეთ სიტყვები, რომლებშიც ბგერა **ს** ორჯერ გვხვდება.



**დავალება.** დაასახელეთ ეს საგნები.

## ბგერა | ს | მოთავსებული სიტყვებში.

ხელის საპონი.
სამი სკამი.
მეექვსე კლასი.
ვასოს ლექსი.
კოლმეურნის სურათი.
დასავლეთ საქართველო.
ნესტიანი სახლი.
სასიამოვნო სტუმარი.
საბინაო სამმართველო.
პიონერების სასახლე.

## ბგერა | ს | წინადადებებში.

სანდრო ფრიადოსანია.
სალამურის სტვენას ვისმენ.
სიმონი და ალექსი ყანას მკიან.
სოფიომ სურა გატეხა.
სტაფილო და კომბოსტო ბოსტნიდან მოიტანეს
ავტობუსი ნელ-ნელა მიდის.
საკლასო ოთახში სარკე ჰკიდია.
სურათი და სანთელი არსებითი სახელია.
სოსო კარგი მოსწავლეა.

დავალება. შეცვალეთ წინადადებები მოცემული ნიმუშის მიხედვით:

მე ხელოსანი ვარ — ის ხელოსანია.
მე მუსიკას ვისმენ — . . . . . .
მე რადიოს ვყიდულობ — . . . . . .
მე სესესთან ვსაუბრობ — . . . . . .
მე სასიხარულო ბარათს ველი — . .
მე თბილისიდან მალე გავალ — . . .

დავალება. გამოტოვებული სიტყვები დაუმატეთ.

საქართველოს დედაქალაქია . . . . . .
ტასომ მოკრიფა სამი კალათა . . . . . .
სანდრომ ქუთაისიდან მიიღო ახალი . .
სოსოს მოუვიდა სასიამოვნო . . . . . .
სულიკომ დახატა ლამაზი . . . . . . . .
ესმამ დაკარგა ოთახის . . . . . . . .
ფეხბურთელებმა მოიპოვეს ოქროს . . .

**დასამატებელი სიტყვები:**
თასი, სოკო, ჯასალები, ავტობუსი, მსხალი, თბილისი, სტუმარი.

სახ
მსხა
სანთე
ნის
სისხ
სოფე

ლი



ეს რა ცხოველია?



-კა



გა-ალებები



-ახლი



-აათი



მ-ხლები



-ანთელი



-იმინდი



ა-ანთი

**დავალება.** დაასახელეთ, რა ბგერა აკლია სიტყვებს, და წაიკითხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბგერა ზ

ზ ზ ზ ზ.......

## ბგერა ზ მარცვლის თავში.

ზა ზო ზუ ზე ზი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზა | ზო | ზო | ზა | ზუ | ზა | ზე | ზა | ზი | ზა |
| ზა | ზუ | ზო | ზუ | ზუ | ზო | ზე | ზო | ზი | ზო |
| ზა | ზე | ზო | ზე | ზუ | ზე | ზე | ზუ | ზი | ზე |
| ზა | ზი | ზო | ზი | ზუ | ზი | ზე | ზი | ზი | ზი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზა | ზო | ზა | ზო | ზუ | ზე | ზი |
| ზო | ზუ | ზო | ზუ | ზე | ზი | ზა |
| ზუ | ზე | ზუ | ზე | ზი | ზა | ზო |
| ზე | ზი | ზე | ზი | ზა | ზო | ზუ |
| ზი | ზა | ზი | ზა | ზო | ზუ | ზე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზა | ზა | ზა | ზა | ზა |
| ზო | ზო | ზო | ზო | ზო |
| ზუ | ზუ | ზუ | ზუ | ზუ |

## ბგერა ზ ხმოვანთა შორის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აზა | ოზო | უზუ | ეზე | იზი |
| აზო | ოზა | უზა | ეზა | იზა |
| აზუ | ოზუ | უზო | ეზო | იზო |
| აზე | ოზე | უზე | ეზუ | იზუ |
| აზი | ოზი | უზი | ეზი | იზე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარჯიში მახვილზე.

| | | | |
|---|---|---|---|
| ზაზა' | ზაზა' | ზაზა' | ზაზაზა' |
| ზოზო' | ზოზო' | ზოზო' | ზოზოზო' |
| ზუზუ' | ზუზუ' | ზუზუ' | ზუზუზუ' |
| ზეზე' | ზეზე' | ზეზე' | ზეზეზე' |
| ზიზი' | ზიზი' | ზიზი' | ზიზიზი' |

ზაზაზაზა'
ზეზეზეზე'
ზიზიზიზი'

## ბგერა ზ თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | |
|---|---|---|
| აზფა | აზტა | აზგა |
| აზვა | აზთა | აზკა |
| აზბა | აზდა | აზხა |
| აზმა | აზნა | აზქა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზფა | ზვა | ზბა | ზმა | ზტა | ზთა | ზდა |
| ზფო | ზვო | ზბო | ზმო | ზტო | ზთო | ზდო |
| ზფუ | ზვუ | ზბუ | ზმუ | ზტუ | ზთუ | ზდუ |
| ზფე | ზვე | ზბე | ზმე | ზტე | ზთე | ზდე |
| ზფი | ზვი | ზბი | ზმი | ზტი | ზთი | ზდი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზნა | ზრა | ბზა | გზა | მზა | ზრდა | ღზრდა |
| ზნო | ზრო | ბზო | გზო | მზო | ზრდო | ღზრდო |
| ზნუ | ზრუ | ბზუ | გზუ | მზუ | ზრდუ | ღზრდუ |
| ზნე | ზრე | ბზე | გზე | მზე | ზრდე | ღზრდე |
| ზნი | ზრი | ბზი | გზი | მზი | ზრდი | ღზრდი |

**დავალება.** წაიკითხეთ თითო სვეტი ერთ ამოსუნთქვაზე.

## ბგერა ზ სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| **ზარი** | ვაზი | გზა |
| ზაქი | საზომი | ბზა |
| ზავი | საზანდარი | ზვავი |
| ზამთარი | გაზი | ზვირთი |
| ზაფხული | აბაზი | მზე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ზოლი | გაზაფხული | ზღაპარი |
| ზომა | საზამთრო | დაზგა |
| ზურგი | ბუზი | თევზი |
| ზურნა | კუზი | საუზმე |
| ზუთხი | საზოგადოება | კოვზი |
| ზეთი | ზარბაზანი | ბზრიალა |
| ეზო | კრაზანა | საზღვარი |
| ზურმუხტი | ლოზუნგი | აღმზრდელი |

**დავალება.** წაიკითხეთ რიგრიგობით ყველა სიტყვა, შემდეგ ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი და მეტიც თითო ამოსუნთქვაზე, მაგალითად: ზარი⁀ზავი...

### ბგერა [ს] და [ზ] დაპირისპირება მარცვლებში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სა | ზა | ზა | სა | ზა | სა | ზა |
| სო | ზო | ზო | სო | ზო | სო | ზო |
| სუ | ზუ | ზუ | სუ | ზუ | სუ | ზუ |
| სე | ზე | ზე | სე | ზე | სე | ზე |
| სი | ზი | ზი | სი | ზი | სი | ზი |

### ბგერა [ს] და [ზ] დაპირისპირება თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ასპა | აზპა | ასდა | აზდა | აგსა | აგზა |
| ასმა | აზმა | ასტა | აზტა | ამსა | ამზა |
| ასფა | აზფა | ასთა | აზთა | — | — |
| ასვა | აზვა | ასნა | აზნა | — | — |



ეს რა არის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



















**დავალება.** დაასახელეთ ეს საგნები.

## ბგერა | ზ | მარტივ წინადადებებში.

ზღვა აზვირთდა.
ნაზიკო ნაზია.
ბზრიალა ბზრიალებს.
ბუზი ზუზუნებს.
მზვერავი საზღვარზეა.
ზინა აღმზრდელია.
მზე ლამაზია.
ზაზა ზღვის ნაპირზეა.
ზურაბი მაღალი გაიზარდა.
თევზი ლამაზია.

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

თევზი— თევზები
ბუზი— .......
გაზი— .......
ლოზუნგი— .....
დაზგა— ........
საზღვარი.......

**დავალება.** გამოტოვებული სიტყვები დაუმატეთ.

მოახლოვდა ლამაზი . . . . . . . . . .
გაზაფხულს მოსდევს . . . . . . . . . .
ზურაბს უკბინა ხელზე . . . . . . . . .
ზღვის ნაპირს მიუახლოვდა . . . . . . .
ზაზამ შეთხზა . . . . . . . . . . . .
ეზოს გვის . . . . . . . . . . . . .
დედამ თინას უყიდა . . . . . . . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**
ბზრიალა, მეეზოვე, ზღაპარი, მეზღვაური, კრაზანამ, ზაფხული, გაზაფხული.

## ბგერა | ზ | წინადადებებში.

ზუთხი გემრიელი თევზია.
თინამ მზე დახატა.
ლიზამ საზამთრო დათესა.
ელიზბარს ზინამ გაზეთი გამოუგზავნა.
მზია ბზრიალას გზადაგზა აბზრიალებდა.
მზესუმზირის ზეთი სასარგებლოა.
ზამბახი გაზაფხულის ყვავილია.
ზურაბმა ზარბაზანი გაისროლა.

## ბგერა | ს | და | ზ | მონაცვლე სიტყვებში.

სასადილო მზიანია.
სუფრა ლამაზია.
სურა გაბზარულია.
საინტერესო ზღაპარია.
სათნო აღმზრდელია.
სპილო ზანტია.

## ხმერა | ზ | მოთხრობებსა და ლექსებში.

## ბზრიალა.

რეზიკომ ბზრიალას ბზრიალით მეზობლებს თავი მოაბეზრა. რეზიკოს დამ ნაზიკომ რეზიკოს ბზრიალა დაუმალა. რეზიკოს ეგონა, რომ ბზრიალა დაეკარგა და თავის დას სთხოვდა: „ნაზიკო, სხვა ბზრიალა მიყიდე“. ნაზიკომ დამალული ბზრიალა უთავაზა და ასე უთხრა: „თუ მალ-მალე დააბზრიალებ, კიდევ დაგეკარგება“.



## გაზაფხული.

მზისა სხივები მინდორ-ველს
ოქროსფრად გადაეფინა;
ლამაზმა ვაზმა იხარა
და ნაზად თავი დახარა.

ბულბული გალობს და გალობს,
ვაზს დასტრიალებს თავზედა.
ვაზს უხარია, ვაზი ლხენს,
ბულბულს უმაღლის ჰანგზედა.



**დავალება.** უპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:

რაზე ვსადილობთ?
მაგიდასთან რა დგას?
ზურაბი რაზე ზის?
მამა რას კითხულობს?
ვინ ამზადებს სადილს?
სად ჰკიდია სურათი?
რა დევს მაგიდაზე?
ვინ უსმენს მამას?

**ბრუნვები**

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | ბრუნვა | მზარეული |
| მოთხრობითი | " | მზარეულმა |
| მიცემითი | " | მზარეულს |
| ნათესაობითი | " | მზარეულის |
| მოქმედებითი | " | მზარეულით |
| ვითარებითი | " | მზარეულად |
| წოდებითი | " | მზარეულო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზარეული სადილს ამზადებს.
მზარეულმა სადილი მოამზადა.
მზარეულს სადილი მოაქვს.
მზარეულის კოვზი მაგიდაზე დევს.
მზარეულით დიასახლისი კმაყოფილია.
მზარეულად ზოგი ვერ გამოდგება.
მზარეულო, სადილი მოამზადე!

**ბგერა | ს | და | ზ | მოთხრობაში.**

# სალამური.

ზაზას სალამურზე დაკვრა უყვარდა; მისი მეგობრები: კიაზო, ლაზო და სოფიო სტკბებოდნენ ზაზას სალამურის ტკბილი ხმით.

ერთ მზიან დღეს ზაზა თავისი მეგობრებით საექსკურსიოდ გაემგზავრა.

ახალგაზრდებს გზადაგზა ატკბობდა სალამურის სასიამოვნო ხმები; სოფლის ახლოს, გზის პირას, ერთი უსინათლო ფანდურზე უკრავდა; უსინათლომ სალამურის ხმა რომ გაიგონა, სახეზე სიხარულის ღიმილი მოეფინა:

—ერთად დავუკრათ, ერთად,—სთხოვა უსინათლომ. მალე მუსიკის ხმას სიმღერაც დაემატა. უსინათლო სიამოვნებით აღიღინდა.

— რას იღიმები, პაპა?—ჰკითხა კიაზომ ბრმას.

—თქვენი და ქვეყნის სიხარულით ვტკბები, შვილო. განვლო ბნელმა დრომ, დაგვიდგა სასიხარულო და საამაყო ხანა, მართალია მე ქვეყნის აყვავებას ვერ ვხედავ, მაგრამ კმაყოფილების ხმები მესმის,— მიუგო ბრმამ.

**ანდაზა.** სიკეთეს კეთილი ადამიანი ხედავს, ბოროტისათვის კი სიკეთე იგივე ბოროტებაა, რადგან ვერ ანსხვავებს სიკეთეს ბოროტებისაგან.




სურ. 14. ბგერა ც-ს არტიკულაციის პროფილი.

ც ფშვინვიერი აფრიკატია (რთული ბგერაა, შედგება ორი მარტივი ბგერისაგან ტ+ს=ც).

**ბიომექანიკა:**

1. ტუჩები მიახლოებულია კბილებთან.
2. ბაგეების კუთხეები გაწეულია გასწვრივ **ს** ბგერის შესატყვისად.
3. კბილები ერთმანეთთან მიახლოებულია და მოჩანს.
4. ენისწვერი **ს**-ს არტიკულაციის მსგავსად ებჯინება ქვედა კბილებს.
5. ენის ზურგი ამოზნექილია და ეხება ალვეოლებს.
6. რბილი სასა აწეულია.
7. სახმო სიმები ერთმანეთისაგან დაშორებულია.
8. ჰაერნაკადი ძლიერია.

**ც**-ს სკდომას ახლავს ორი მომენტი: ა. ენისწვერი ებჯინება ქვედა კბილებს, ენის ზურგი ამოზნექილია და წინა ნაწილით ებჯინება ალვეოლებს (ნუნებს); ბ. ენისწვერი **ს**-ს მდგომარეობაშია, სკდომა ხდება მაგარ სასისა და ალვეოლების საზღვარზე, სკდომის შემდეგ ენის ზურგი ეშვება ქვემოთ, ისმის ბგერა **ც**.

**ც**-ს დაყენება შეიძლება მისი ელემენტების **თ**-სა და **ს**-ს შერწყმით (**თს**). **ც**-ს ჩამაგრება წარმოებს შებრუნებულ მარცვლებში (**აც**), რადგანაც ასეთ კომბინაციებში **ც**-ს დახშვისა და სკდომის პროცესები თვალსაჩინოა. შემდეგ ხმოვანთა შორის (**აცა, ოცო...**), ბოლოს პირდაპირ მარცვლებში (**ცა, ცო**). როდესაც **ც**-ს არტიკულაცია დამყარდება ხმოვანთა მეზობლობაში, მაშინ მისი გადატანა შეიძლება სიტყვებში: სიტყვის თავში, სიტყვის შუა და ბოლოში.

# ბგერა ც

## ბგერა ც მარცვლის ბოლოში და თავში.

ცა ცო ცუ... ცე ცი

აც ოც ოც აც უც აც... ცა ცო ცო ცა ცუ ცა
აც უც ოც უც უც ოც... ცა ცუ ცო ცუ ცუ ცო
აც ეც ოც ეც უც ეც... ცა ცე ცო ცე ცუ ცე
აც იც ოც იც უც იც... ცა ცი ცო ცი ცუ ცი

## ბგერა ც ხმოვანთა შორის.

აცა ოცა უცა ეცა იცა
აცო ოცო უცო ეცო იცო
აცუ ოცუ უცუ ეცუ იცუ
აცე ოცე უცე ეცე იცე
აცი ოცი უცი ეცი იცი

## ბგერა ც ხმოვნის თავში და ბოლოში.

ცაც ცოც ცოც ცუც ცუც ცეც
ცოც ცუც ცუც ცეც ცეც ციც
ცუც ცეც ცეც ციც ციც ცოც
ციც ცაც ციც ცოც ცაც ცუც

ცეც ციც ციც ცაც
ციც ცოც ცაც ცოც
ცოც ცუც ცოც ცუც
ცუც ცეც ცუც ცეც

## ვარჯიში მახვილზე.

ცაცა́ ცაცა́ ცაცა́ ..... ცაცაცა́ .. ცაცაცაცა́
ცოცო́ ცოცო́ ცოცო́ ..... ცოცოცო́ .. ცაცაცაცა́
ცუცუ́ ცუცუ́ ცუცუ́ ..... ცუცუცუ́ .. ცაცაცაცა́
ცეცე́ ცეცე́ ცეცე́ ..... ცეცეცე́ .. ცაცაცაცა́
ციცი́ ციცი́ ციცი́ ..... ციციცი́ .. ცაცაცაცა́

**დავალება.** წაიკითხეთ თითო ამოსუნთქვაზე პირველი სვეტი, შემდეგ მეორე, მესამე და ასე შემდეგ.

## ბგერა ც თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აცბა | აცდა | აცნა | აცხა | აცქა |
| აცბო | აცდო | აცნო | აცხო | აცქო |
| აცბუ | აცდუ | აცნუ | აცხუ | აცქუ |
| აცბე | აცდე | აცნე | აცხე | აცქე |
| აცბი | აცდი | აცნი | აცხი | აცქი |

## ბგერა ც სიტყვებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| ცა | ცომი | ცილა | საცერი |
| ცარცი | ცოცხი | ციხე | კვიცი |
| ცალი | ცოფი | ციგა | ვარცლი |
| ცაგო | ცელი | ცირკი | ცხოველი |
| ცარა | ცეკვა | ციყვი | ცხენი |
| ცაცუნია | ცერი | ნაცარი | მერცხალი |
| ცაცხვი | ცეცხლი | კაცი | ფურცელი |
| ცანგალა | ცერცვი | დიაცი | ცისარტყელა |
| ციალა | ცური | კეცი | ვერცხლი |



რა ფრინველებია?



**დავალება.** უპასუხეთ, რას აკეთებენ ბავშვები?

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები მოყვანილი ნიმუშის მიხედვით

სავარცხელი — სავარცხლები
ცხვირსახოცი —
ცხენი —
მერცხალი —
ფურცელი —
მარცვალი —
ცხოველი —
ციხე —
ცოცხი —
ცრემლი —
ცხვარი —
კვერცხი —
ციყვი —
ვარცლი —
მხეცი —

**გამოიცანით, რა არის:**

არც საცერი, არც გობია,
ქოთნის კარგი ნაცნობია.

## ბგერა ც წინადადებებში.

ფქვილი საცრით გაცრეს.
ციალამ სკოლისაკენ მოკურცხლა.
ნაცარამ ცამეტი კვერცხი დადო.
ცისარტყელა ცას ალამაზებს.
ცომი კვერცხით მოზილეს.
ცელქმა ცირამ ცერცვი დაკრიფა.

### სავარჯიშო.

მე ცომი მოვზილე.
მე ცერცვს ვახმობ.
მე ეზოს ცოცხით ვგვი.
მე ხელსახოცი გავრეცხე.
მე ფქვილი გავცერი.

**დავალება.** სწრაფად გამოთქვით:
ცხრა კაცი, ცხრა ცხენოსანი
ცერ-ცერ ქედზე მიდიან.



**დავალება.** აღწერეთ სურათი.





**დავალება.** რას აკეთებენ პირველ და მეორე სურათზე?

**დავალება.** მოგვეცით სრული პასუხი შემდეგ კითხვებზე:

რითი დაცურავენ ზღვაზე?
თმას რით ვივარცხნით?
ბალახს რით თიბავენ?
ეზოს რით გვიან?
ფქვილს რით სცრიან?
ოცდაცამეტი და ცხრა რამდენია?

**დავალება.** დაუმატეთ გამოტოვებული სიტყვები.

გაზაფხულზე მოფრინდება . . . . .
ხეზე დარბის . . . . . . . . . .
კოლმეურნეებმა დათესეს . . . . .
ცაზე ციმციმებენ . . . . . . . .
ცანგალას თვალები აევსო . . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**

ცერცვი, ვარსკვლავები, ცრემლებით, მერცხალი, ციყვი.

**დავალება.** მოიგონეთ ისეთი სიტყვები, რომ ბგერა **ც** სიტყვის თავში და შუაში იყოს, მაგალითად: ცრუ, კაცი.

## ბგერა ც და ს დაპირისპირება.

### ბგერა ც და ს მარცვლის თავში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცა | სა | სა | ცა | ცა | ცო | ცი | სი |
| ცო | სო | სო | ცო | ცო | ცუ | ცე | სე |
| ცუ | სუ | სუ | ცუ | ცუ | ცე | ცუ | სუ |
| ცე | სე | სე | ცე | ცე | ცი | ცო | სო |
| ცი | სი | სი | ცი | ცი | ცა | ცა | სი |

### ბგერა ც და ს ხმოვანთა შორის.

| | | | |
|---|---|---|---|
| აცა | ასა | ასა | აცა |
| ოცო | ოსო | ოსო | ოცო |
| უცუ | უსუ | უსუ | უცუ |
| ეცე | ესე | ესე | ეცე |
| იცი | ისი | ისი | იცი |

### ბგერა ც და ს მარცვლის ბოლოში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აც | ას | ას | აც | აც | ოც | ას | ოს |
| ოც | ოს | ოს | ოც | ოც | უც | ოს | უს |
| უც | უს | უს | უც | უც | ეც | უს | ეს |
| ეც | ეს | ეს | ეც | ეც | იც | ეს | ის |
| იც | ის | ის | იც | იც | აც | ის | ას |

### ბგერა ც და ს ხმოვანთა თავში და ბოლოში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცას | ცას | ცოს | საც | საც | სოც |
| ცოს | ცოს | ცუს | სოც | სოც | სუც |
| ცუს | ცუს | ცეს | სუც | სუც | სეც |
| ცეს | ცეს | ცის | სეც | სეც | სიც |
| ცის | ცის | ცას | სიც | სიც | საც |

### ბგერები ც ს ზ ერთ სიტყვაში.

| | |
|---|---|
| სიზარმაცე | სპეციალიზაცია |
| სოციალიზმი | ინდუსტრიალიზაცია |

## ბგერები | ს | ზ | ც | მომიჯნავე სიტყვებში.

საცეკვაო დარბაზი.
ცხრა საზამთრო.
სასამართლოს პროცესი.
მზიანი სასტუმრო.
საგაზაფხულო თესვა.
სოციალისტური რევოლუცია.
სასიამოვნო გზა.
კომუნისტური ლოზუნგი.
მეცხრამეტე საგზური.

ახალგაზრდა მეცნიერი.
ზამბახი მცენარეა.
სამგორის გზატკეცილი.
ზღვის სანაპირო.
თბილისის ზოოპარკი.
ციალა აღგზნებულია.
დავერცხლილი კოვზი.
მზის სხივები.
საოცარი სიზმარი.



კვერ-ხები



- იყვი



სა-ერი



სავარ-ხელი



მერ-ხალი



- ული

**დავალება.** დაასახელეთ, რა ბგერა აკლია სიტყვებს, და წაიკითხეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




სურ. 15. ბგერა ძ-ს არტიკულაციის
პროფილი.

ძ მჟღერი აფრიკატია (რთული თანხმოვანი), იგი შედგება ხშულ
მსკდომი დ-საგან და ნაპრალოვან ზ-საგან (დ+ზ=ძ).

**ბიომექანიკა:**

1. ტუჩები მიახლოებულია კბილებთან, როგორც ზ-სათვის.
2. ბაგეების კუთხეები გაწეულია.
3. კბილები მოჩანს.
4. კბილებშუა ვერტიკალური მანძილია პატარა ნაპრალი სახით.
5. ენა ებჯინება ქვედა კბილებს. ენის ზურგი ამოზნექილია ეხება ალვეოლებს, სკდომა ხდება მაგარ სასასა და ალვეოლები არეში. სკდომის შემდეგ ენის ზურგი ეშვება ქვემოთ (ძ-ს, მსგავ სად ც-ს არტიკულაციისა, ახლავს ორი მომენტი (იხ. სურ. 14).
6. რბილი სასა აწეულია.
7. სახმო სიმები ღიაა და თრთის.
8. ჰაერნაკადი საშუალო ძალისაა, სკდომის მომენტში იგი შე იგრძნობა ხელზე.

ენაჩლუნგისათვის (თუ სმენა ნორმალური აქვს) უმეტეს შემთხვე ვაში საკმარისია ძ-ს ბიომექანიკის თვალსაჩინოდ ჩვენება (დამხმარ საშუალებების გარეშე), რომ მივიღოთ მართებული ძ. ხოლო ა ბგერის არტიკულაციის გამომუშავებისას აღნიშნულ ბგერას პირ ველად ვავარჯიშებთ ხმოვნების ბოლოს (აძ, ოძ, უძ...). ასეთ კომ ბინაციებში ძ-ს ხშვის და სკდომის მომენტები ნათლად მოჩან (იხ. სურ. 14).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 16. ბგერა ძ-ს არტიკულაცია გარედან.

## ბგერა ძ მარცვლის ბოლოში.

აძ ოძ უძ ეძ იძ

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აძ | ოძ | ოძ | აძ | უძ | აძ | ეძ | აძ | იძ | აძ |
| აძ | უძ | ოძ | უძ | უძ | ოძ | ეძ | ოძ | იძ | ოძ |
| აძ | ეძ | ოძ | ეძ | უძ | ეძ | ეძ | უძ | იძ | უძ |
| აძ | იძ | ოძ | იძ | უძ | იძ | ეძ | იძ | იძ | ეძ |

## ბგერა ძ მარცვლის თავში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძა | ძო | ძო | ძა | ძუ | ძა | ძე | ძა | ძი | ძა |
| ძა | ძუ | ძო | ძუ | ძუ | ძო | ძე | ძო | ძი | ძო |
| ძა | ძე | ძო | ძე | ძუ | ძე | ძე | ძუ | ძი | ძუ |
| ძა | ძი | ძო | ძი | ძუ | ძი | ძე | ძი | ძი | ძი |

## ბგერა ძ ხმოვანთა შორის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აძა | ოძა | უძა | ეძა | იძა |
| აძო | ოძო | უძო | ეძო | იძო |
| აძუ | უძუ | უძუ | ეძუ | იძუ |
| აძე | ოძე | უძე | ეძე | იძე |
| აძი | ოძი | უძი | ეძი | იძი |

## ვარჯიში მახვილზე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძაძა' | ძაძა' | ძაძა' | . . . | ძაძაძა' | ძაძაძა' | . . . |
| ძოძო' | ძოძო' | ძოძო | . . . | ძოძოძო' | ძოძოძო' | . . . |
| ძუძუ' | ძუძუ' | ძუძუ' | . . . | ძუძუძუ' | ძუძუძუ' | . . . |
| ძეძე' | ძეძე' | ძეძე' | . . . | ძეძეძე' | ძეძეძე' | . . . |
| ძიძი' | ძიძი' | ძიძი' | . . . | ძიძიძი' | ძიძიძი' | . . . |

## ბგერა | ძ | თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აძვა | აძმა | აძნა | აძლა | აძგა | აძრა |
| აძვო | აძმო | აძნო | აძლო | აძგო | აძრო |
| აძვუ | აძმუ | აძნუ | აძლუ | აძგუ | აძრუ |
| აძვე | აძმე | აძნე | აძლე | აძგე | აძრე |
| აძვი | აძმი | აძნი | აძლი | აძგი | აძრი |

## ბგერა | ძ | სიტყვებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძაფი | ძეხვი | ენძელა | კუნძი | ძნა |
| ძაღლი | ძიძა | ძვალი | სავარძელი | ნაძვი |
| ძუა | ძონძი | ბიძგი | რძე | ძროხა |
| ძაბრი | ძეგლი | ძღვენი | ძმა | მასპინძელი |

## ბგერა | ძ | წინადადებებში.

ძმარი ცხარეა.
ძროხა რძეს იძლევა.
ბიძინა ძმას ეძახის.
ყურძენი ძალიან ტკბილია.
გრძელი ძუა გამძლეა.

ძიძა ნაძვის ხესთან ზის.
ბიძამ ძაღლს ძვალი მისცა.
ცოდნა ძვირფასი განძია.
მასპინძელმა სტუმარს ყურძენი მიართვა.

**დავალება 1.** გამოტოვებული სიტყვები დაუმატეთ.

მეხრემ მინდვრიდან მორეკა . . . . . . . . . . . .
ბიძიამ ბიძინას გამოუგზავნა . . . . . . . . . . . .
ცხენი ბალახს . . . . . . . . . . . . . . . . .
ძიძამ დამალევინა თბილი . . . . . . . . . . . . .
ძნაზე ზის ავი . . . . . . . . . . . . . . . . .
ტყიდან მოიტანეს . . . . . . . . . . . . . . .
ბოთლში დგას . . . . . . . . . . . . . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**

რძე, ძაღლი, ნაძვი, ძოვს, ძღვენი, ძროხები, ძმარი.

**დავალება 2.** უპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:

ვინ აქრობს ხანძარს?
რას ეძახიან პურის თავთავის კონას?
რა სახელი აქვს გაზაფხულის პირველ ყვავილს?
რაზე ტრიალებს ურმის თვალი?
**რისგან აკეთებენ ღვინოს?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრუნვები.

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | ბრუნვა | მებრძოლი |
| მოთხრობითი | „ | მებრძოლმა |
| მიცემითი | „ | მებრძოლს |
| ნათესაობითი | „ | მებრძოლის |
| მოქმედებითი | „ | მებრძოლით |
| ვითარებითი | „ | მებრძოლად |
| წოდებითი | „ | მებრძოლო |

**დავალება.** აბრუნეთ სიტყვები: ძმა, მასპინძელი, ყურძენი.

## მიიპარება ზამთარი.

მიიპარება ზამთარი,
ძალ-ღონე გამოელია,
და თვალს არიდებს
გაზაფხულს
რა ცუდი მასპინძელია!

მის ნაცვლად ველით გაზაფხულს:
ტურფა და სანატრელია,*
იმისი ტანისამოსი
უცხო და მრავალფერია!

**ბგერები | ს | ზ | ც | ძ | დაპირისპირება.**

**ბგერები | ს | ზ | ც | ძ | მარცვლის თავში.**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სა | ზა | ცა | ძა | სო | ზო | ცო | ძო | სუ | ზუ | ცუ | ძუ |
| ზა | ცა | ძა | სა | ზო | ცო | ძო | სო | ზუ | ცუ | ძუ | სუ |
| ცა | ძა | სა | ზა | ცო | ძო | სო | ზო | ცე | ძე | სე | ზე |
| ძა | სა | ზა | ცა | ძო | სო | ზო | ცო | ძე | სე | ზე | ცე |

---

* სიტყვები: ქუქუნა, მშვენიერია, შეცვალეთ სიტყვებით: ტურფა სანატრელია, რადგან ბგერები ქ და შ ამ თავში ჯერ დაყენებული არ არის.

სე ზე ცე ძე — სი ზი ცი ძი
ზე ცე ძე სე — ზი ცი ძი სი
ცე ძე სე ზე — ცი ძი სი ზი
ძე სე ზე ცე — ძი სი ზი ცი

**ბგერები | ს | ზ | ც | ძ | ხმოვანთა შორის.**

ასა აზა აცა აძა — ოსო ოზო ოცო ოძო
აზა აცა აძა ასა — ოზო ოცო ოძო ოსო
აცა აძა ასა აზა — ოცო ოძო ოსო ოზო
აძა ასა აზა აცა — ოძო ოსო ოზო ოცო

უსუ უზუ უცუ უძუ — ესე ეზე ეცე ეძე
უზუ უცუ უძუ უსუ — ეზე ეცე ეძე ესე
უცუ უძუ უსუ უზუ — ეცე ეძე ესე ეზე
უძუ უსუ უზუ უცუ — ეძე ესე ეზე ეცე

ისი იზი იცი იძი
იზი იცი იძი ისი
იცი იძი ისი იზი
იძი ისი იზი იცი



**დაასახელეთ, რა არის ეს?**




## ვასოს სკოლა.

ვასოს სახლის ახლოს სკოლა არის. ამ სკოლის დირექტორი ვასოს დედაა. ვასოს დედა გულმოდგინედ ზრუნავდა სკოლაზე, ამიტომ სასკოლო ნივთების გარდა სხვა ნივთებიც იყიდა, მაგალითად: პიანინო, სარკე, საათი, სურათები და სხვა.

ცოცხალი კუთხისათვის ცალკე ოთახი გამოყო, სადაც თავი მოუყარა სხვადასხვა ფრინველებს, ცხოველებსა და თევზებს. ვასო აღტაცებული იყო და დედას ეფიცებოდა, — მალე ფრიადოსანი გავხდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ციალა და დედა.

დედამ ციალას ლამაზი ცხვირსახოცი მისცა და უთხრა:

— ციალა, იცოდე, თუ ეს ცხვირსახოცი დაგიკარგავს, სხ ალარ მოგცემო.

— არ დავკარგავ, დედიკო, არა, — სიცილით უპასუხა ციალ დედას.

მეორე დღეს ციალა ცრემლიანი თვალებით ეუბნებოდა:

— დედიკო, ქარმა ცხვირსახოცი მომტაცა და ნუ გამიბრა დები.

დედა მოეხვია ციალას და ალერსით უთხრა:

— ნუ სტირი, ციალა, ხომ არ დაგიკარგავს, ქარს მოუტაცნი

**კითხვები.**

1. რა მისცა დედამ ციალას და რა უთხრა მას?
2. რა დაემართა ციალას მეორე დღეს?
3. როგორ შეხვდა დედა აცრემლებულ ციალას?




**სურ. 17. დამხმარე იარაღები ბგერათა დასაყენებლად*.**



სურ. 18. ბგერა წ-ს არტიკულაციის პროფილი.

წ ყელხშული (აბრუპტივი)** აფრიკატია (ტ+ს=წ),

**ბიომექანიკა:**

1. ტუჩები მიახლოებულია კბილებთან.
2. ბაგეების კუთხეები გაწეულია გასწვრივ.
3. კბილები მიახლოებულია ერთმანეთთან და კარგად მოჩანს.
4. კბილებს შორის ვერტიკალური მანძილი უდრის 1—$1^1/_2$ მმ.
5. ენისწვერი ებჯინება ქვედა კბილებს.
6. ენის ზურგი ამოზნექილია და ეხება ალვეოლებს.
7. რბილი სასა აწეულია.

---

*. 1—შპატელი; 2, 3, 4 — ზონდები.

** იხ. პროფ. გ. ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები", 1949 წ.

8. სახმო სიმები დახშულია.

9. წ-ს წარმოებისას გამოყენებულია პირის ღრუში შერჩენილი ჰაერნაკადის მარაგი.

წ-ს სკდომას ახლავს ორი მომენტი: ა. ენისწვერი მჭიდროდ ებჯინება ქვედა კბილებს, ენისზურგი ამოზნექილია მაგარი სასაალვეოლების მიმართულებით; ბ. ენისწვერი რჩება ძველ მდგომარეობაში, ენისზურგი სკდომის შემდეგ ქვემოთ ეშვება.

წ-ს ბიომექანიკის მართებულად შესწავლა საკმარისია მისი სწორი წარმოთქმისათვის, თუ სმენა ნორმალურია. ძნელ შემთხვევებში ვაძლევთ კომპლექსს **ტს**, ზედიზედ სწრაფი წარმოთქმით ისმის ბგერა **წ**.



სურ. 19. ბგერა წ-ს არტიკულაცია გარედან.

## ბგერა | წ |

### ბგერა | წ | მარცვლის ბოლოში.

| აწ | ოწ | უწ | ეწ | იწ |
|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აწ | ოწ | ოწ | აწ | უწ | აწ | ეწ | აწ | იწ | აწ |
| აწ | უწ | ოწ | უწ | უწ | ოწ | ეწ | ოწ | იწ | ოწ |
| აწ | ეწ | ოწ | ეწ | უწ | ეწ | ეწ | უწ | იწ | უწ |
| აწ | იწ | ოწ | იწ | უწ | იწ | ეწ | იწ | იწ | ეწ |

## ბგერა | წ | მარცვლის თავში.

| წა | წო | წუ | წე | წი |
|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წა | წო | წო | წა | წუ | წა | წე | წა | წი | წა |
| წა | წუ | წო | წუ | წუ | წო | წე | წო | წი | წო |
| წა | წე | წო | წე | წუ | წე | წე | წუ | წი | წუ |
| წა | წი | წო | წი | წუ | წი | წე | წი | წი | წე |

## ბგერა | წ | ხმოვანთა შორის, თავში და ბოლოში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აწა | ოწა | უწა | ეწა | იწა | წაწ |
| აწო | ოწო | უწო | ეწო | იწო | წოწ |
| აწუ | ოწუ | უწუ | ეწუ | იწუ | წუწ |
| აწე | ოწე | უწე | ეწე | იწე | წეწ |
| აწი | ოწი | უწი | ეწი | იწი | წიწ |

### ვარჯიში მახვილზე.

წაწა′ წაწა′ წაწა′ . . . . . წაწაწა′ წაწაწა′
წოწო′ წოწო′ წოწო′ . . . წოწოწო′ წოწოწო′
წუწუ′ წუწუ′ წუწუ′ . . . . წუწუწუ′ წუწუწუ′
წეწე′ წეწე′ წეწე′ . . . . წეწეწე′ წეწეწე′
წიწი′ წიწი′ წიწი′ . . . . წიწიწი′ წიწიწი′



ეს რა ხილია?

## ბგერა წ სიტყვის თავში.

წამალი
წაბლი
წარბი
წაღები
წარმოება
წარმოდგენა
წონა
წურბელა
წიფელი
წინდა
წიწაკა
წისქვილი
წიგნი
წიბო
წილი

წინადადება
წიწილა
წერო
წებო
წერტილი
წელი
წერილი
წერაქვი
წრე
წვერი
წნელი
წინაპარი
წინსაფარი
წუთი
წული

წუხელ
მწვადი
წვიმა
წვენი
წყალი
წყვილი
წკრიალა
წევრი
წითელი
წიგნიერი
წიალი
წვრილი
წიგნაკი
წითელა
წინაღობა

## ბგერა წ სიტყვის შუაში.

მაწონი
საწოლი
საწებელა
მოწაფე
საწურავი
ქორწილი
მასწავლებელი
ლუწი

მარწყვი
მწერალი
ნაწნავი
ბროწეული
მწერი
მაწანწალა
მწვერვალი
საწამლავი

მწყემსი
მწირი
სახელმწიფო
მწვადი
მწკრივი
მწყერი
მწნილი
დღესასწაული









**დავალება.** დაასახელეთ ეს საგნები.

**გამოიცანით, რა არის:**

აწინწილა, მაწინწილა,
პაწია და ხმაწინწილა.

## ბგერა წ მომიჯნავე სიტყვებში.

წიწაკა მწარეა.
ბროწეული წითელია.
მასწავლებელი ნასწავლია.
წიწილა წივის.
წურბელა წამალია.

წაბლი დამწიფდა.
აკაკი წერეთელი მწერალია.
წიწმატი მწვანილია.
მოწაფე წერს.
წნელი წვრილია.

## ბგერა წ წინადადებებში.

მწერალმა წიგნი დაწერა.
საწყობში წუმწუმა აწყვია.
მარწყვი დამწიფდა.
წერო წყალს დაეწაფა.

წინადადების ბოლოს წერტილია.
მაწონი საწურავით გაწურეს.
მწყემსი მწვერვალზეა.
წისქვილს წმინდა წყალი მიუგდეს.
წრუწუნა წუწუნებს.

**დავალება.** პასუხი მოგვეცით შემდეგ კითხვებზე:

რა ფერია მარწყვი?
რა ატრიალებს წისქვილს?
ვინ კერავს წაღებს?
რას აძლევს ექიმი ავადმყოფს?
რა უფრო ცხარეა, ტარხუნა თუ წიწაკა?

**დავალება.** დაუმატეთ გამოტოვებული სიტყვები.

ცხვრის ფარას მწყემსავს . . . . . . . .
კოწომ ამხანაგს მისწერა . . . . . . .
ქორმა მოიტაცა . . . . . . . . . .
მზარეულმა იყიდა ახალი . . . . . . .
მთის მწვერვალიდან გადმოდის ცივი . .
მემწვანილე ყიდის . . . . . . . . .
მეწისქვილემ წისქვილს მიუგდო . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**

წერილი, მწყემსი, საწურავი, წიწილა, მწვანილს, წყარო, წყალი.

**დავალება:** შეცვალეთ სიტყვები აქ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

| | |
|---|---|
| წიგნი . . . წიგნები | წერილი . . . . . |
| წყარო . . . . . . | წერტილი . . . . . |
| საწოლი . . . . . | მწყემსი . . . . . |
| ხელსაწყო . . . . . | წვეთი . . . . . . |

**დავალება.** უპასუხეთ, დასახელებული საგნებით რას აკეთებენ

| | |
|---|---|
| სარწყავით . . . . . . | წიგნით . . . . . |
| საწურავით . . . . . . | წყლით . . . . . |
| კალმით . . . . . . . | წებოთი . . . . . |
| წისქვილით . . . . . . | სასწორით . . . |

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გმირი პიონერი პავლიკ მოროზოვი.

პატარა გმირმა პავლიკ მოროზოვმა სიცოცხლე არ დაზოგა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

პავლიკ მოროზოვი პირდაპირი, ალალმართალი და პატიოსანი ბიჭუნა იყო, მას წიგნი უყვარდა და საუცხოოდ სწავლობდა. ამხანაგებს ძალიან უყვარდათ პავლიკი და იგი გამოყვეს პიონერთა ხელმძღვანელად.

როდესაც პავლიკი დარწმუნდა, რომ მამამისი ხალხის მტერი იყო, რომ მან უღალატა ხალხს და მტრებს ეხმარებოდა, იგი მამის წინააღმდეგაც წავიდა, მან წერილი დაწერა მამის ღალატის შესახებ და მოსკოვში გაგზავნა.

როდესაც პავლიკს სასამართლოში დაუძახეს, იგი უშიშრად წადგა წინ და თქვა:

— მე პიონერი ვარ და ვაცხადებ, რომ მამა სამშობლოსა და ხალხის მტერია.

ამის გამო მტრებმა მოკლეს პავლიკი.

პავლიკი მოკლეს, მაგრამ პიონერებისა და საბჭოთა ბავშვებისათვის იგი ცოცხალია — ისინი დიდი სიყვარულით იგონებენ პავლიკის სახელს.

ბგერები | ს | ზ | ც | ძ | წ | დაპირისპირება.

სისინა ბგერების საერთო ტაბულა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სა | ზა | ცა | ძა | წა |
| სო | ზო | ცო | ძო | წო |
| სუ | ზუ | ცუ | ძუ | წუ |
| სე | ზე | ცე | ძე | წე |
| სი | ზი | ცი | ძი | წი |

ბგერები | ს | ზ | ც | ძ | წ | დაპირისპირება

წინადადებებში.

გაზაფხულზე ცირამ ძროხები საძოვრად წყლის პირას გარეკა.
ძიძამ ზურაბს და ციალას მარწყვი დაუკრიფა.
წუხელ ცაზე ვარსკვლავები საუცხოოდ ციმციმებდნენ.
მწვანე ბალახი ველს ალამაზებს.
წითელარმიელები მწკრივად მიდიოდნენ ბრძოლის ველზე.

ბგერები | ს | ზ | ც | ძ | წ | მოთხრობებში

## ენძელა.

მე ენძელა ვარ. სიხარულით მოველოდი მზის პირველ სხივებს, რომ კვლავ ვყოფილიყავი გაზაფხულის მახარობელი.

ერთ დილის უცებ ვიგრძენი ნეტარი სითბო. მეც გაბედულად გავახილე თვალები, თავი მაღლა ავწიე და სანატრელი მზე დავინახე. მისი სხივები ირგვლივ დამტრიალებდნენ, დედის ნანასავით ტკბილად და საამურად მიალერსებდნენ, თითქოს მეუბნებოდნენ: „გილოცავთ, გილოცავთ, კვლავ წილად გხვდა ბედნიერება — გაზაფხულის მახარობელი იყო!“ მეც თავი მაღლა ამაყად ავწიე და სიხარულით შევძახე: „გაზაფხული, გაზაფხული დაგვიდგა!“



## ბიძინას ძროხა.

ბიძინას თავისი ძროხა ძალიან უყვარდა. იგი მას თავს ევლებოდა. დილაადრიანად საძოვარზე გაჰყავდა და მისთვის ნოყიერ ბალახს ეძებდა. როდესაც მზე დააცხუნებდა, ძროხას თოკით გამოაბამდა ნაძვის ხეს, თვითონ იქვე ახლოს ბალახზე გაგორდებოდა და თავის საყვარელ ძროხას ალერსით უცქეროდა. ძროხა გრძნობდა ბიძინას მზრუნველობას და თავისი ლამაზი თვალებით თითქოს ეუბნებოდა: „ძვირფასო ბიძინა, მეც გადაგიხდი სამაგიეროს, საღამოზე ნოყიერ რძეს მოგცემ“.

## ვაზი.

კოლმეურნე ვასო ვაზის ფოთლებს წამალს ასხურებდა. პატარა ლაზომ ეს რომ დაინახა, გაოცებით ჰკითხა:

— ბიძია ვასო, რატომ ასხამ წყალს ფოთლებს და არა ძირებს?

— ეს წყალი არ არის შვილო, წამალია. ხედავ, ვაზს ფოთლები როგორ გაუყვითლდა? ეს წამალი ჰკურნავს მცენარეებს, წყალი — ასაზრდოებს, — უპასუხა ბიძამ.

**კითხვები.**

რას აკეთებდა კოლმეურნე ვასო?
რა ჰკითხა კოლმეურნეს პატარა ლაზომ?
რა უპასუხა ბიძია ვასომ ლაზოს?

## სიკო და სესე.

სიკოს თავისი ძმობილი სესე ძალიან უყვარდა. სიკო ცხოვრობდა სოფლად, სესე კი — ქალაქად.

სიკოს ენატრებოდა სესეს ნახვა, იგი ყოველ წამს ელოდა თავის გულწრფელ ამხანაგს.

მართლაც, სიკოს მალე აუსრულდა ნატვრა. მიიწურა მაისი, მოახლოვდა ზაფხული. ერთ დილას სიკომ გაიხედა თავის სახლის ეზოსკენ, უცებ დაინახა სესე და მისი ბიძა ვასილი.

სიკო სიხარულით მიეგება სესეს და სიამოვნებით გადაკოცნა იგი. სიკოს და სესეს მთელი ღამე არ უძინიათ, სიკო უამბობდა სოფლის ამბებს, სესე კი—ქალაქისას.

მეორე დღეს სიკომ და სესემ ადრიანად მოკურცხლეს მინდვრისკენ. სიკო გზადაგზა უამბობდა სესეს სოფლის ახალ ამბებს;

— კოლმეურნეებმა ქალაქიდან ტრაქტორი მიიღეს, რომელიც ღრმად და გასაოცარი სისწრაფით ხნავს მიწას და წელს კოლმეურნეები კარგ მოსავალს ელიან.

სესე სიამოვნებით უსმენდა სიკოს და ეკითხებოდა:

— სიკო, რადიო კი არა გაქვთ?

— როგორ არა! ყოველ დასასვენებელ დღეს ვისმენთ ქალაქის ამბებსა და მუსიკას. იცი, სესე, ახლა სოფელი წინანდელთან შედარებით უფრო კარგია! — ეუბნებოდა სიკო თავის საყვარელ ძმობილს.

## ბიძინა და ციცო.

ციცოს ცოცხალი თევზი არ ენახა; ერთხელ მისი ძმა ბიძინა სათევზაოდ წავიდა, თან ციცო წაიყვანა.

ბიძინამ ანკესი ისროლა; ანკესს ლამაზი, წითელწერტილებიანი თევზი ამოჰყვა. ციცომ თევზის დანახვაზე ალტაცებით იკივლა და სწრაფად ხელი სტაცა თევზს. თევზი ხელიდან გაუსხლტა. აცრემლებულმა ციცომ ბიძინას უთხრა: „ის ლამაზი თევზი ისევ წყალმა მომტაცა“.

ანკესს შემდეგ უკეთესი თევზები ამოჰყვა. ციცო აღფრთოვანებული იყო ლამაზი თევზების ცქერით.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## შიშინა ბგერების — შ, ჟ, ჩ, ჭ, ჯ — დაყენება.




სურ. 20. ბგერა შ-ს არტიკულაციის პროფილი.

**შ** სპირანტი (ნაპრალოვანი) ბგერაა.

**ბიომექანიკა:** 1. ბაგეები მომრგვალებულია და წინ წამოწეული, მეტად, ვიდრე ბგერა **ო**-სათვის.

2. კბილები მოჩანს, ზედა და ქვედა კბილთაშუა 1—1$^1/_2$ მმ მანძილია.

3. ენის წინა ნაწილი აწეულია ალვეოლების მიმართულებით. ენასა და ალვეოლებს შორის იქმნება ნაპრალი.

4. რბილი სასა აწეულია და ცხვირისაკენ მიმავალ ჰაერნაკადს ზღუდავს.

5. სახმო სიმები ერთმანეთისაგან დაშორებულია და არ თრთის (ვიბრაცია არა აქვს).

6. სახმო სიმებიდან უხვად ამომდინარე ჰაერნაკადი, გაივლის რა ენისზურგს და ალვეოლებს, ქმნის ბგერა **შ**-ს.

7. **შ**-ს დაყენება შეიძლება აგრეთვე **ს-ს*** საფუძველზე. ენას ავწევთ ალვეოლებისაკენ და წამოვათქმევინებთ **ს**-ს, ისმის ბგერა **შ**.

---

* ასეთ შემთხვევაში **ს** იდეალური ბგერა უნდა იყოს. ასეთივე გზით ვაყენებთ **ჟ**-ს **ზ**-დან, **ჩ**-ს **ც**-დან, **ჭ**-ს **წ**-დან და **ჯ**-ს **ძ**-დან. (იხ. სურ. 22, 23, 25, 26).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 21. ბგერა შ-ს არტიკულაცია გარედან.

## ბგერები | შ | ჟ | ჭ | ჩ | ჯ |

### ბგერა | შ | მარცვლის თავში.

| შა | შო | შუ | შე | ში |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შა | შო | შო | შა | შუ | შა | შე | შა | ში | შა |
| შა | შუ | შო | შუ | შუ | შო | შე | შო | ში | შო |
| შა | შე | შო | შე | შუ | შე | შე | შუ | ში | შუ |
| შა | ში | შო | ში | შუ | ში | შე | ში | ში | შე |

### ბგერა | შ | ხმოვანთა შორის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშა | ოშა | უშა | ეშა | იშა |
| აშო | ოშო | უშო | ეშო | იშო |
| აშუ | ოშუ | უშუ | ეშუ | იშუ |
| აშე | ოშე | უშე | ეშე | იშე |
| აში | ოში | უში | ეში | იში |

### ბგერა | შ | მარცვლის ბოლოში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშ | ოშ | უშ | ეშ | იშ |
| ოშ | უშ | ეშ | იშ | აშ |
| უშ | ეშ | იშ | აშ | ოშ |
| ეშ | იშ | აშ | ოშ | უშ |
| იშ | აშ | ოშ | უშ | აშ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარჯიში მახვილზე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შაშა' | შაშა' | შაშა' | . . . . | შაშაშა' | შაშაშა' |
| შოშო' | შოშო' | შოშო' | . . . . | შოშოშო' | შოშოშო' |
| შუშუ' | შუშუ, | შუშუ' | . . . . | შუშუშუ' | შუშუშუ' |
| შეშე' | შეშე' | შეშე' | . . . . | შეშეშე' | შეშეშე' |
| შიში' | შიში | შიში' | . . . . | შიშიში' | შიშიში' |

## ბგერა [შ] თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშპა | აშტა | აშსა | აშკა | აშლა |
| აშფა | აშთა | აშცა | აშხა | აშრა |
| აშვა | აშნა | აშწა | აშყა | — |
| აშმა | — | — | — | — |

## ბგერა [შ] სიტყვებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| შალი | შუშა | ბავშვი | შემოდგომა |
| შაბი | შუბლი | შრომა | შველი |
| შავი | შეშა | ვაშლი | თეფში |
| შაქარი | შოშია | ეშმაკი | ბალიში |
| შანდალი | შტო | დროშა | ლაშქარი |
| შარვალი | ვაშა | შროშანა | დოში |
| შოფერი | მუშა | შიკრიკი | შხაპი |
| შოკოლადი | შაშვი | შვილი | საშრობი |











**დავალება.** დაასახელეთ ეს საგნები.

**გამოიცანით, რა არის:**

1. კაცის მკერდში ერთი რამე სულ მუშაობს დღე და ღამე.
2. გარეული ფრინველია, მაგრამ ეხვდებით შინაც გაზრდილს, ბოლო უგავს დიდ მარაოს, მოხატულს და კოხტად გაშლილს.

## ბგერა | შ | მოშიჯნავე სიტყვებში.

ლაშქარი გაეშურა
მუშა დროშით
შემოდგომის ვაშლი
შოთა დამშვიდდა
გუშაგი ტყეშია
შინდი მოხარშეს
შოშია გალიაშია

გაშლილი პარაშუტი
მოხარშული კომში
შოთა შიკრიკია
მოშინაურებული შოშია
ღუმელში ნახშირია
შუაღამემდე მუშაობა
ნახშირი შავია

**დავალება.** შეცვალეთ წინადადებები აქ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

მე მივემგზავრები მოსკოვში — შენ მიემგზავრები მოსკოვში
მე დავბრუნდი ლაშქრობიდან —
მე დავინახე გუშაგი —
მე დავწერე შიშინა ბგერები —
მე სანიმუშოდ გავაკეთე —
მე ქოშები შევკერე —

## ბგერა | შ | წინადადებებში.

შავარდენმა ცაში შეინავარდა.
ქარხანაში მუშა მუშაობს.
ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებენ.
ფაშისტები მუშების მტრებია.
კოშკი მაღლობზეა აშენებული.
შოთამ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა.
სოციალისტური მშენებლობა წინ მიდის.
მშვილდ-ისარი საომარი იარაღია.
მშობლიური ენა კარგად შევისწავლე.
აბრეშუმის ფაბრიკაში სტახანოველები მუშაობენ.

არწივი მიწაზე დაეშვა. გომბეშომ, დაინახა რა არწივი, შხამის შესხმა განიზრახა; არწივმა ამაყად შეხედა და ცისაკენ გაეშურა.



## სოფელში.

შალვა სახლში დაბრუნდა.

— სად იყავი, შვილო? — ჰკითხა დედამ.

— ტყეში მარწყვს ვკრეფდი შენთვის, — უპასუხა შალვამ.

ამ დროს მოირბინა თამრიკომ.

— შენ სად იყავი? — ჰკითხა დედამ.

— მე ძნის შეკვრაში ვეხმარებოდი მამიდას, თანაც შენთვის ყვავილებს ვკრეფდი.

ბოლოს მოვიდა პატარა ნუცა.

— შვილო, შენ სადღა იყავი? — ჰკითხა დედამ.

— დედიკო, მე ბაღში ვიყავი, მამას ვეხმარებოდი ვაშლის კრეფაში და წიწილებსაც თვალყურს ვადევნებდი, რომ ძერას არ მოეტაცა, — მიუგო ნუცამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვაშლი და შაქარა.

მაღლა ფოთლებში ელვარებს
ვაშლი სისხლივით წითელი,
მას აქეთ-იქით აქანებს
სიო საამო და ნელი.

დიდი ხანია შესცქერის
მაღლა ვაშლს ცელქი შაქარა:
—ოჰ, ნეტავ, ერთი მოსწყდესო,—
ამბობს თვის გულში პატარა.

თითქო ქარმაო უსმინა,
ხე შეარხია გრიალით,
ყუნწში მოწყვიტა ნაყოფი,
ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.

ყმაწვილმა ხელი დასტაცა,
ქარს მადლი უძღვნა გულითა
და შინისაკენ მოკურცხლა
აღვსილმა სიხარულითა.

**დავალება.** მოგვეცით სრული პასუხი შემდეგ კითხვებზე:

რითი ვახურებთ ღუმელს?
ვინ მუშაობს ქარხანაში?
რა დროს მწიფდება ყურძენი?
ვინ მართავს ავტომობილს?
როდის მიფრინავენ მერცხლები თბილ ქვეყანაში?
რომელ საუკუნეში ცხოვრობდა შოთა რუსთაველი?

## უწესრიგობამ ასე იცის.

გაიღვიძებს თუ არა შალიკო, დაიწყებს ტანისამოსის ძებნას: ხალათი ერთ სკამზეა დაგდებული, შარვალი მეორეზე; ცალი ფეხსაცმელი ტახტის ქვეშაა, მეორე სულ არ არის ოთახში. ეძებს შალიკო, ეძებს და მუდამ იგვიანებს სკოლაში.

**შეკითხვა.**

როგორი ბავშვი იყო შალიკო?

## წ ე რ ტ ი ლ ი.

ლიას წერის დროს წერტილის დასმა არ უყვარდა. ის რამდენიმე წინადადებას ერთმანეთზე ისე გადააბამდა, რომ ერთ წერტილსაც არ დასვამდა.

ერთხელ მასწავლებელმა უთხრა ლიას:

— ლია, ლამაზი ხელი გაქვს, აზრიც აწყობილი, რატომ არ ცდილობ, რომ წინადადების ბოლოს წერტილი დასვა? მუდამ გახსოვდეს, წერტილი აზრის დამთავრებას ნიშნავს.

მასწავლებლის დარიგებამ ძალიან იმოქმედა ლიაზე; მან დიდი დაკვირვებით დაიწყო წერა. როდესაც მასწავლებელმა ლიას ნაწერი გაასწორა, განცვიფრებულმა უთხრა:

— ლია, მე არ მოველოდი, რომ ეგრე მალე გამოასწორებდი ნაკლს.

ლიას სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა.

## ბგერა შ და ს დაპირისპირება მარცვალში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შა | სა | სა | შა | შა | შო | სა | სო |
| შო | სო | სო | შო | შო | შუ | სო | სუ |
| შუ | სუ | სუ | შუ | შუ | შე | სუ | სე |
| შე | სე | სე | შე | შე | ში | სე | სი |
| ში | სი | სი | ში | ში | შა | სი | სა |

## ბგერა შ და ს ხმოვანთა შორის.

| | | | |
|---|---|---|---|
| აშა | ასა | აშა | ასა |
| ოშო | ოსო | ოშო | ოსო |
| უშუ | უსუ | უშუ | უსუ |
| ეშე | ესე | ეშე | ესე |
| იში | ისი | იში | ისი |

## ბგერა შ და ს ხმოვანთა თავში და ბოლოში.

| | |
|---|---|
| საშ | შას |
| სოშ | შოს |
| სუშ | შუს |
| სეშ | შეს |
| სიშ | შის |



დავალება. რას შვრებიან ბავშვები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბგერა შ და ს თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შპა | სპა | პშა | პსა | შვა | სვა | ვშა | ვსა |
| შპო | სპო | პშო | პსო | შვო | სვო | ვშო | ვსო |
| შპუ | სპუ | პშუ | პსუ | შვუ | სვუ | ვშუ | ვსუ |
| შპე | სპე | პშე | პსე | შვე | სვე | ვშე | ვსე |
| შპი | სპი | პში | პსი | შვი | სვი | ვში | ვსი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შთა | სთა | შნა | სნა | შკა | სკა |
| შთო | სთო | შნო | სნო | შკო | სკო |
| შთუ | სთუ | შნუ | სნუ | შკუ | სკუ |
| შთე | სთე | შნე | სნე | შკე | სკე |
| შთი | სთი | შნი | სნი | შკი | სკი |

**დავალება.** გამოტოვებული სიტყვები დაუმატეთ.

ყრილობის დელეგატად დაასახელეს სტახანოველი . . . .
„ვეფხისტყაოსანი“ დაწერა. . . . . . . . . . . . .
ომში გაემგზავრა ორდენოსანი . . . . . . . . . . .
ქარხნის მუშები გაიძახიან: გვინდა . . . . . . . .
ომიდან სამშობლოში დაბრუნდა . . . . . . . . . .
აფრიალდა წითელი . . . . . . . . . . . . . .
ირგვლივ გაისმოდა . . . . . . . . . . . . . .
ბავშვებს ძალიან უყვართ მგოსანი . . . . . . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**

მშვიდობა, ლაშქარი, დროშა, ვაშა, შიო მღვიმელი, მუშა, შოთა რუსთაველი. ნოშრევანი.

### ბრუნვები.

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | ბრუნვა | მებრძოლი კომკავშირელი |
| მოთხრობითი | „ | მებრძოლმა კომკავშირელმა |
| მიცემითი | „ | მებრძოლ კომკავშირელს |
| ნათესაობითი | „ | მებრძოლი კომკავშირელის |
| მოქმედებითი | „ | მებრძოლი კომკავშირელით |
| ვითარებითი | „ | მებრძოლ კომკავშირელად |
| წოდებითი | „ | მებრძოლო კომკავშირელო |

**ბგერა შ და ს დაპირისპირება მარტივ წინადადებებში.**

მიშა უნივერსიტეტში სწავლობს.
საბავშვო წიგნებში ლამაზი სურათებია.
შოთა ახალი ტანისამოსით შეიმოსა.
მაღაზიაში ბევრი სათამაშოებია.
საშა საშუალო ტანისაა.
სკოლაში შემფასებელი კომისია მუშაობს.
შოთა რუსთაველი უკვდავი მგოსანია.

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

მე ქარხანაში მივდივარ — ნოშრევანი ქარხანაში მიდის.
მე საშინაო დავალება შევასრულე — . . .
მე შრომა ხუთზე შემიფასეს — . . .
მე ისტორია შევისწავლე — . . .
მე საბავშვო წიგნს ვწერ — . . .

**ბგერა შ და ს რთული დიფერენციაცია.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შა | სა | შა | სა | შა | სა |
| შო | სო | შო | სო | შო | სო |
| შუ | სუ | შუ | სუ | შუ | სუ |
| შე | სე | შე | სე | შე | სე |
| ში | სი | ში | სი | ში | სი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შა | სო | შუ | სა | შო | სუ |
| შო | სუ | შე | სო | შუ | სე |
| შუ | სე | ში | სუ | შე | სი |
| შე | სი | შა | სე | ში | სა |
| ში | სა | შო | სი | შა | სო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშ | ას | აშ | ას | აშ | ას |
| ოშ | ოს | ოშ | ოს | ოშ | ოს |
| უშ | უს | უშ | უს | უშ | უს |
| ეშ | ეს | ეშ | ეს | ეშ | ეს |
| იშ | ის | იშ | ის | იშ | ის |

## ბგერა შ და ს მარცვლის ბოლოში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშ | ას | ას | აშ | აშ | ოშ | ას | ოს |
| ოშ | ოს | ოს | ოშ | ოშ | უშ | ოს | უს |
| უშ | უს | უს | უშ | უშ | ეშ | უს | ეს |
| ეშ | ეს | ეს | ეშ | ეშ | იშ | ეს | ის |
| იშ | ის | ის | იშ | იშ | აშ | ის | ას |

## ბგერა შ და ს დაპირისპირება სიტყვებში.

| | |
|---|---|
| სამშობლო | შეიმოსა |
| საშინაო | შესცივდა |
| სალაშქრო | შეასწავლის |
| საშუალო | საშაქარლამო |
| საშლელი | შორსმხედველობა |
| სიშორე | შურისძიება |
| სოცმშენებლობა | შხუის |
| საშემოსავლო | შეავსო |
| საშვები | შეათავსა |



## შენი სამუშაო სკოლაშია.

პატარა გოგონამ ძია სიმონთან კოლექტივის კანტორაში მიირბინა.

— შენ აქ რა გინდა? რატომ სკოლაში არა ხარ? — ჰკითხა ძია სიმონმა.

— დედამ სამუშაოდ გამომგზავნა... იგი ავადაა.

— არა, წადი სკოლაში! — უთხრა ძია სიმონმა.

— მე მუშაობა შემიძლია! — იწყინა გოგონამ.

— მერე, შენს მაგივრად ვინ ისწავლის? — შეეკითხა ძია სიმონი.

გოგონა სკოლაში გაიქცა.

## დიდება ბელადს!

დიდება ბელადს, მის უკვდავ საქმეს!
რაც გვინატრია — მისგან გვეღირსა!
მას დღეს უმღერის პუშკინის ენა
და ენა შოთა რუსთაველისა.

მას უმღერიან ყველა ენაზე
რაც დედამიწას დღემდე სმენია...
იყოს დღეგრძელი, დიდება სტალინს!
გზას გვინათებდეს მისი გენია!

1951 წ.

## ნასწავლი შოშია.



ერთ მოხუც მონადირეს ჰყავდა შოშია, რომელმაც ლაპარაკი იცოდა.

— სადა ხარ, შოშია? მოიკითხავდა მოხუცი. შოშია იმ წამსვე უპასუხებდა:

— აქა ვარ!

ერთხელ მოხუცი შინ არ იყო. მეზობლის ბავშვმა მოიპარა შოშია და უბეში დამალა.

ამ დროს მოხუცი მოვიდა.

— სადა ხარ, შოშია? — მოიკითხა მოხუცმა.

— აქა ვარ! — ხმამაღლა უპასუხა შოშიამ ქურდის უბიდან.

**ანდაზა.** ერთს ყურს ჰქვია ისმინეო, მეორეს ისხლიტეო.



სურ. 22. ბგერა ჟ-ს არტიკულაციის
პროფილი.

ჟ მჟღერი სპირანტი (ნაპრალოვანი) ბგერაა. იგი ანალოგიურია ბგერა შ-სი (იხ. სურ. 20, 21.), მისგან განსხვავდება მხოლოდ მჟღერობით. ჟ-ს დაყენებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს კინესთეზიური შეგრძნება (გულმკერდის არეში). ჟ-ს დაყენებისას საფუძვლად ვიღებთ ზ-ს: ენისწვერს ავწევთ ზემოთ, ნუნების შიმართულებით და ვათქმევინებთ ზ-ს; ისმის მართებული ბგერა ჟ. ბგერა ჟ-ს, როგორც ყველა თანხმოვან ბგერას, ვამტკიცებთ ჯერ ხმოვანთა ცალმხრივ მეზობლობაში [(ჟა ჟო ჟუ....აჟ ოჟ უჟ...), შემდეგ ორმხრივ მეზობლობაში (აჟა ოჟო უჟუ ეჟე იჟი) და ხმოვანთა ირგვლივ (ჟაჟ ჟოჟ ჟუჟ..), ბოლოს თანხმოვანთკომპლექსებში.

# ბგერა ჟ

## ბგერა ჟ მარცვლებში.

ჟა ჟო ჟუ ჟე ჟი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჟა | ჟო | ჟო | ჟა | ჟუ | ჟა | ჟე | ჟა | ჟი | ჟა |
| ჟა | ჟუ | ჟო | ჟუ | ჟუ | ჟო | ჟე | ჟო | ჟი | ჟო |
| ჟა | ჟე | ჟო | ჟე | ჟუ | ჟე | ჟე | ჟუ | ჟი | ჟუ |
| ჟა | ჟი | ჟო | ჟი | ჟუ | ჟი | ჟე | ჟი | ჟი | ჟე |

## ბგერა ჟ მარცვლის ბოლოში და თანხმოვანთ-კომპლექსებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აჟ | ჟვა | მჟა | ჟლა | ჟრა |
| ოჟ | ჟვო | მჟო | ჟლო | ჟრო |
| უჟ | ჟვუ | მჟუ | ჟლუ | ჟრუ |
| ეჟ | ჟვე | მჟე | ჟლე | ჟრე |
| იჟ | ჟვი | მჟი | ჟლი | ჟრი |

## ვარჯიში მახვილზე.

ჟაჟა' ჟაჟა' ჟაჟა' ჟაჟაჟა' ჟაჟაჟა' ჟაჟაჟა'...
ჟოჟო' ჟოჟო' ჟოჟო' ჟოჟოჟო' ჟოჟოჟო' ჟოჟოჟო'...
ჟუჟუ' ჟუჟუ' ჟუჟუ' ჟუჟუჟუ' ჟუჟუჟუ' ჟუჟუჟუ'...

## ბგერა ჟ სიტყვებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟამი | ჟანდარმი | მაჟალო | ბეჟანი |
| ჟანგი | ვაჟი | ინჟინერი | ლაჟვარდი |
| ჟოლო | გიჟი | მჟაუნა | ეჟვანი |

ჟირაფი რეჟიმი რეჟისორი ნუჟრი
ჟურნალი ტირაჟი რიჟრაჟი მოპატიჟება
ჟანგბადი ჟრიამული ჟღერა ლაჟღაჟი
ჟუჟუნა დირიჟაბლი დირიჟორი ჟივჟივი

## ბგერა ჟ მომიჯნავე სიტყვებში.

მაჟალო მჟავეა
ჟორა გიჟმაჟია
ჟოლო დაჟეჟილია
ჟურნალი ვაჟასია
ჟუჟუნამ დამპატიჟა

**დავალება 1.** მოიგონეთ ისეთი სიტყვები, რომ ბგერა ჟ სიტყვის თავში და შუაში იყოს.

**დავალება 2.** გამოტოვებული სიტყვები დაუმატეთ.

კატას ყელზე შეაბეს. . . . . .
დედამ იყიდა ახალი . . . . . .
ცაში დაფრინავს . . . . . . .
უძილობის წამალია . . . . . .
ვაჟამ ტყიდან მოიტანა . . . .
რკინას მოეკიდა . . . . . . .

**დასამატებელი სიტყვები.** ჟანგი, მაჟალო, ეჟვანი, მჟაუნა, დირიჟაბლი, ლაჟღაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბეჟიკო და ჟუჟუნა.

ერთხელ ბეჟიკო და ჟუჟუნა მაჟალოს საკრეფად მთაში წავიდნენ. ბავშვებმა მთელი დღე მაჟალოს კრეფაში გაატარეს.

საღამოჟამს, როდესაც სახლში წასვლა დააპირეს, უცებ შხაპუნა წვიმა წამოვიდა. წვიმამ ბავშვების ტანსაცმელი მთლად გაჟღინთა. ჟუჟუნამ და ბეჟიკომ ჟივილ-ხივილით მოკურცხლეს სახლისაკენ.

ჟუჟუნას აჟრჟოლებდა, ბეჟიკო კი კარგად გრძნობდა თავს. მაგრამ რიჟრაჟზე ბეჟიკოსაც გააჟრჟოლა. დედას შიშით ჟრუანტელი მოსდიოდა. ექიმმა ბავშვებს ჟოლოს წვენი დაალევინა და ბავშვები კარგად გახდნენ.

## ვაჟას ჟინი.

ვაჟა ამბობს გავიზრდები,
გავაკეთებ დირიჟაბლებს,
ცის ლაჟვარდზე ავფრინდები
დავეწევი ცას — ვარსკვლავებს.



# ვაჟას შემოღამდა.

ვაჟა ჟოლოს საკრეფად ტყეში წავიდა, თან თავისი საყვარელი ძაღლი მურია წაიყვანა. ვაჟა ჟოლოს კრეფაში გაერთო, ამასობაში დაბნელდა კიდეც. ვაჟას შეეშინდა და ავიდა ხეზე, საიდანაც ერთ ქოხში შუქს მოჰკრა თვალი.

ვაჟა უმალვე გაეშურა იმ ქოხისაკენ. მის წინ მურია მირბოდა.

ვაჟამ ის ღამე ქოხში ყარაულთან ერთად გაათენა, მეორე დღეს რიჟრაჟზე სახლში დაბრუნდა.

ვაჟას დედას მთელი ღამე არ უძინია შვილის მოლოდინში.

დედამ ვაჟას უსაყვედურა და გააფრთხილა, რომ შემდგომში ასე აღარ მოქცეულიყო.

ვაჟამ იგრძნო თავისი დანაშაული და დედას ბოდიში მოუხადა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბგერა ქ და შ დაპირისპირება მარცვლებში.

### ბგერა ქ და შ მარცვლის თავში და ხმოვანთა შორის.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქა | შა | შა | ქა | ქა | შა | ქა | შა | ქა | შა |
| ქო | შო | შო | ქო | ქო | შო | ქო | შო | ქო | შო |
| ქუ | შუ | შუ | ქუ | ქუ | შუ | ქუ | შუ | ქუ | შუ |
| ქე | შე | შე | ქე | ქე | შე | ქე | შე | ქე | შე |
| ქი | ში | ში | ქი | ქი | ში | ქი | ში | ქი | ში |

| | | | |
|---|---|---|---|
| აქა | აშა | აშა | აქა |
| აქო | აშო | აშო | აქო |
| აქუ | აშუ | აშუ | აქუ |
| აქე | აშე | აშე | აქე |
| აქი | აში | აში | აქი |

### ბგერა ქ და შ თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქრა | შრა | ქვა | შვა | აქრქა |
| ქრო | შრო | ქვო | შვო | აქრქო |
| ქრუ | შრუ | ქვუ | შვუ | აქრქუ |
| ქრე | შრე | ქვე | შვე | აქრქე |
| ქრი | შრი | ქვი | შვი | აქრქი |

### ვარჯიში მახვილზე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქა | შა' | ქაშა'... | ქაშა' | ქაშაქა'..... |
| ქო | შო' | ქოშო' | ქოშო' | ქოშოქო'.... |
| ქუ | შუ' | ქუშუ' | ქუშუ' | ქუშუქუ'.... |
| ქე | შე' | ქეშე' | ქეშე' | ქეშექე'... |
| ქი | ში' | ქიში' | ქიში' | ქიშიქი'... |

### ბგერა ქ და შ მარტივ წინადადებებში.

რიქრაქზე ვაქა სამგორში გაეშურა.
ტყეში შუქი ბჟუტავდა.
ლაშქარი რიქრაქზე შეუდგა ბრძოლას.
ბავშვების ქივილ-ხივილი ისმის.
მუშებს ჟანდარმებისა ეშინოდათ.
ვაქას ომში წასვლა უხაროდა.
შალიკომ ხაშურში დამპატიჟა.
სკოლაში შვიდი საჟენი შეშა მოიტანეს.
ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშები შიმშილობენ.




სურ. 23. ბგერა ჭ-ს არტიკულაციის პროფილი.

ჭ მკვეთრი (აბრუპტივი) აფრიკატია, იგი შედგება ტ+შ=ჭ. ჭ-ს დაყენებისას ვსარგებლობთ ზონდით. ენის წინა ნაწილი ზონდით აიწევა ზევით. მაგარ სასასა და ალვეოლების არეში ხდება ჰაერნაკადის დაბრკოლება. მოწოლილი ჰაერნაკადი აპობს დაბრკოლებას, ისმის ბგერა ჭ.

**ბიომექანიკა:** 1. ტუჩები მომრგვალებულია და წინ წამოწეული

2. ბაგეების კუთხეები ერთმანეთს ეხებიან.

3. კბილების ვერტიკალური გაღებულობა უდრის 1—$1^1/_2$ მმ.

4. როგორც ყველა აფრიკატს, ჭ-ს სკდომასაც ორი მომენტი აქვს: ა. ენის წინა ნაწილი ეხება ალვეოლებს, ენისწვერი ოდნავ დაწეულია; ბ. ენის წინა ნაწილი ოდნავ ჩაღრმავებულია. მაგარ სასასთან შეერთების მომენტში ხდება სკდომა, რის შემდეგ ენა გადაიწევა უკან, ქვედა მიმართულებით.

5. რბილი სასა აწეულია.

6. სახმო სიმები დახშულია.

7. ჭ-ს წარმოსათქმელად გამოყენებულია პირის ღრუში შერჩენილი ჰაერნაკადი.

საარტიკულაციო ორგანოების ნორმალური დაყენება იძლევა მართებულ ბგერას (ეს იმ შემთხვევაში, თუ ენაჩლუნგს სმენა ნორმალური აქვს). მძიმე შემთხვევებში შეიძლება ჭ-ს დაყენება წ-ს საფუძველზე; ენა აიწევა ზონდით ან შპატელით ალვეოლებისაკენ. ენის ასეთ მდგომარეობაში ვათქმევინებთ წ-ს, ისმის ჭ. ასეთი ხერხი გამართლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წ-ს იდეალურად წარმოთქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 21. ბგერა ჭ-ს არტიკულაცია გარედან.

# ბგერა ჭ

## ბგერა ჭ მარცვლის ბოლოში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აჭ | ოჭ | ოჭ | აჭ | უჭ | აჭ | ეჭ | აჭ | იჭ | აჭ |
| აჭ | უჭ | ოჭ | უჭ | უჭ | ოჭ | ეჭ | ოჭ | იჭ | ოჭ |
| აჭ | ეჭ | ოჭ | ეჭ | უჭ | ეჭ | ეჭ | უჭ | იჭ | უჭ |
| აჭ | იჭ | ოჭ | იჭ | უჭ | იჭ | ეჭ | იჭ | იჭ | იჭ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აჭ | ოჭ | აჭ | ოჭ | უჭ |
| ოჭ | უჭ | ოჭ | უჭ | ეჭ |
| უჭ | ეჭ | უჭ | ეჭ | იჭ |
| ეჭ | იჭ | ეჭ | იჭ | აჭ |
| იჭ | აჭ | იჭ | აჭ | ოჭ |

## ბგერა ჭ მარცვლის თავში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჭა | ჭა | ჭო | ჭა | ჭუ | ჭა | ჭე | ჭა | ჭი | ჭა |
| ჭა | ჭუ | ჭო | ჭუ | ჭუ | ჭო | ჭე | ჭო | ჭი | ჭო |
| ჭა | ჭე | ჭო | ჭე | ჭუ | ჭე | ჭე | ჭუ | ჭი | ჭუ |
| ჭა | ჭი | ჭო | ჭი | ჭუ | ჭი | ჭე | ჭი | ჭი | ჭე |

დავალება. წაიკითხეთ თითო სვეტი თითო ამოსუნთქვაზე.

## ბგერა ჭ ხმოვანთა შორის, ხმოვნის თავში და ბოლოში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აჭა | ოჭა | უჭა | ეჭა | იჭა | ჭაჭ |
| აჭო | ოჭო | უჭო | ეჭო | იჭო | ჭოჭ |
| აჭუ | ოჭუ | უჭუ | ეჭუ | იჭუ | ჭუჭ |
| აჭე | ოჭე | უჭე | ეჭე | იჭე | ჭეჭ |
| აჭი | ოჭი | უჭი | ეჭი | იჭი | ჭიჭ |

## ბგერა | ჭ | თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აბჭა | ავჭა | ამჭა | ანჭა | აჭვა |
| აბჭო | ავჭო | ამჭო | ანჭო | აჭვო |
| აბჭუ | ავჭუ | ამჭუ | ანჭუ | აჭვუ |
| აბჭე | ავჭე | ამჭე | ანჭე | აჭვე |
| აბჭი | ავჭი | ამჭი | ანჭი | აჭვი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბჭა | ვჭა | მჭა | ნჭა | ჭრა |
| ბჭო | ვჭო | მჭო | ნჭო | ჭრო |
| ბჭუ | ვჭუ | მჭუ | ნჭუ | ჭრუ |
| ბჭე | ვჭე | მჭე | ნჭე | ჭრე |
| ბჭი | ვჭი | მჭი | ნჭი | ჭრი |

### ვარჯიში მახვილზე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჭაჭა′ | ჭაჭა′ | ჭაჭა′ . . . | ჭაჭაჭა′ | ჭაჭაჭა′ |
| ჭოჭო′ | ჭოჭო′ | ჭოჭო′ . . . | ჭოჭოჭო′ | ჭოჭოჭო′ |
| ჭუჭუ′ | ჭუჭუ′ | ჭუჭუ′ . . . | ჭუჭუჭუ′ | ჭუჭუჭუ′ |
| ჭეჭე′ | ჭეჭე′ | ჭეჭე′ . . . | ჭეჭეჭე′ | ჭეჭეჭე′ |
| ჭიჭი′ | ჭიჭი′ | ჭიჭი′ . . . | ჭიჭიჭი′ | ჭიჭიჭი′ |

## ბგერა | ჭ | სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| ჭა | კოჭი | ჭკუა |
| ჭალა | კუჭი | ფიჭვი |
| ჭერი | ბაჭია | საბჭო |
| ჭია | ბიჭი | კოჭლი |
| ჭიქა | ნაჭერი | მჭედელი |
| ჭუჭყი | ბეჭედი | ჭურჭელი |
| ჭილობი | ვაჭარი | კაჭკაჭი |

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები აქ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

| | |
|---|---|
| ბიჭი . . . . . . . . . . ბიჭები | მჭედელი . . . |
| ვაჭარი . . . | საბჭო . . . |
| ბეჭედი . . . | ბაჭია . . . |
| კაჭკაჭი . . . | ვაჭარი . . . |

ეროვნული ბიბლიოთეკა











**დავალება:** დაასახელეთ ზემოთ მოყვანილი საგნები.

**გამოიცანით, რა არის:**

**არის** მსუბუქი და არ იჭრება
ყოველ არსებას იგი სჭირდება.

## ბგერა ჭ მომიჯნავე სიტყვებში.

ჭრელი ჭია
ჭინჭარი საჭმელია
ავჭალის საბჭო
კაჭკაჭის კლანჭები
ნიჭიერი ბიჭი
ჭუჭყიანი ჭურჭელი

ჭიკჭიკა კაჭკაჭი
ჭუჭყიანი ჭერი
კოჭლი ჭედილა
ჭილობის ნაჭერი
ჭალარა ვაჭარი
დაჭრილი გოჭი

**დავალება.** დაუმატეთ გამოტოვებული სიტყვები.

ბიჭიკომ გატეხა ლამაზი . . . . . . . . .
დიასახლისმა შეიძინა ახალი . . . . . . .
ხის ქვეშ ფუსფუსებენ . . . . . . . . . .
ბოსტნის ლობესთან ამოსულა . . . . . .
სახნისს სჭედავს . . . . . . . . . . . .
დედამ დაკარგა ოქროს . . . . . . . . .
გლეხმა კოოპერატივში იყიდა. . . . . . .
კოლმეურნემ მოიყვანა ბევრი . . . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**

მჭედელი, ბეჭედი, ჭადრაკი, ჭარხალი, ჭიქა, ჭურჭელი, ჭიანჭველები, ჭინჭარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჭიანჭველები.

ტყეში ფიჭვის ხის ახლოს ჭიანჭველების ბუდე იყო. ჭიანჭველები მთელი დღე მუშაობდნენ, ისინი ბუდეში ეზიდებოდნენ: ხმელ ბალახს, ფოთლებს და სხვადასხვა თესლებს.

ერთი ჭიანჭველა გაჭირვებით მიათრევდა ბალახს, ეს ბალახი ძალიან გრძელი იყო, ამიტომ ჭიანჭველას ეძნელებოდა მისი წაღება. უცებ მასთან მიირბინა საშველად მეორე ჭიანჭველამ. ახლა ორივემ ერთად ადვილად მიიტანეს ბუდეში ტვირთი.

ასე ეხმარებიან ჭიანჭველები ერთმანეთს.

### ბგერა | ჭ | და | შ | დაპირისპირება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აჭ | აშ | აშ | ჭა | აჭა | აშა |
| ოჭ | ოშ | ოშ | ჭო | ოჭო | ოშო |
| უჭ | უშ | უშ | ჭუ | უჭუ | უშუ |
| ეჭ | ეშ | ეშ | ჭე | ეჭე | ეშე |
| იჭ | იშ | იშ | ჭი | იჭი | იში |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჭა | შა | შა | ჭა | ჭა | შა | ჭა | შა | ჭა | შა |
| ჭო | შო | შო | ჭო | ჭო | შო | ჭო | შო | ჭო | შო |
| ჭუ | შუ | შუ | ჭუ | ჭუ | შუ | ჭუ | შუ | ჭუ | შუ |
| ჭე | შე | შე | ჭე | ჭე | შე | ჭე | შე | ჭე | შე |
| ჭი | ში | ში | ჭი | ჭი | ში | ჭი | ში | ჭი | ში |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბგერა ჭ და შ ხმოვანთა შორის.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აჭა | აშა | აჭა | აშა | აჭა | აშა |
| ოჭო | ოშო | ოჭო | ოშო | ოჭო | ოშო |
| უჭუ | უშუ | უჭუ | უშუ | უჭუ | უშუ |
| ეჭე | ეშე | ეჭე | ეშე | ეჭე | ეშე |
| იჭი | იში | იჭი | იში | იჭი | იში |

## ბგერა ჭ და შ მომიჯნავე სიტყვებში.

შეღებილი ჭიშკარი
მშრომელი ჭიანჭველა
შემოდგომის ჭირნახული
ჭერი შეიმჭვარტლა
ჭინჭარი მოხარშეს
ჭურჭელი კარადაშია
შავი კოჭის ძაფი

## ხალხური.

ტრაქტორო, შენი ჭირიმე,
რომ ძლიერი ხარ ღონითა,
არც თივა, ქერი გჭირდება
და არც ბალახი ძოვნითა.



## ორი სახნისი.

ერთმა მჭედელმა ორი ერთნაირი სახნისი გააკეთა. ერთი გლეხმა იყიდა, მეორე კი სამჭედლოში იყო. გლეხის სახნისი სულ მიწას ხნავდა, მეორე კი უსაქმოდ კუთხეში ეგდო.

კარგა ხნის შემდეგ ამხანაგები ერთმანეთს შეხვდნენ. გლეხის სახნისი სულ ბრწყინავდა, მეორე კი დაჟანგული იყო. ჟანგიანმა ჰკითხა:

— მეგობარო, რა მიზეზია, რომ შენ მეტად სუფთა ხარ და ვერცხლივით ბრწყინავ, მე კი ჟანგიანი ვარ?

— ის მიზეზია, რომ მე სულ ვმუშაობდი, შენ კი სულ უსაქმოდ იყავი! — მიუგო ამხანაგმა.



# პატარა სოსოს სიზმარი.

(ნაწყვეტი)

დაღამდა. ტირილისაგან შეწუხებულ სოსოს სამზარეულოს ერთ კუთხეში მიგდებულ თავის ჭუჭყიან ლოგინზე მიეძინა.

მას დაესიზმრა, საყვარელი დედა ეხვეოდა, კოცნიდა.

— დედიკო, დედიკო, ჩემო ტკბილო დედიკო! წამიყვანე, გენაცვალე, თან წამიყვანე! ნუღარ დამტოვებ აქ, ნუ... მცემენ... მატირებენ...

— ბიჭო, სოსო! — მოესმა ძილში ბატონის მრისხანე ხმა და კურდღლის ბაჭიასავით დაფეთებულმა საბრალო სოსომ თვალები სჭყიტა.

**ბგერა ჭ და წ დაპირისპირება მარცვალში.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აჭ | აწ | აწ | აჭ | აჭ | აწ |
| ოჭ | ოწ | ოწ | ოჭ | ოჭ | ოწ |
| უჭ | უწ | უწ | უჭ | უჭ | უწ |
| ეჭ | ეწ | ეწ | ეჭ | ეჭ | ეწ |
| იჭ | იწ | იწ | იჭ | იჭ | იწ |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჭა | წა | წა | ჭა | ჭა | წა | ჭა | წა | ჭა | წა |
| ჭო | წო | წო | ჭო | ჭო | წო | ჭო | წო | ჭო | წო |
| ჭუ | წუ | წუ | ჭუ | ჭუ | წუ | ჭუ | წუ | ჭუ | წუ |
| ჭე | წე | წე | ჭე | ჭე | წე | ჭე | წე | ჭე | წე |
| ჭი | წი | წი | ჭი | ჭი | წი | ჭი | წი | ჭი | წი |

### ბგერა ჭ და წ ხმოვანთა შორის.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აჭა | აწა | აჭა | აწა | აჭა | აწა |
| ოჭო | ოწო | ოჭო | ოწო | ოჭო | ოწო |
| უჭუ | უწუ | უჭუ | უწუ | უჭუ | უწუ |
| ეჭე | ეწე | ეჭე | ეწე | ეჭე | ეწე |
| იჭი | იწი | იჭი | იწი | იჭი | იწი |

### ბგერა ჭ და წ წინადადებებში.

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ.
წიწილამ ხორბლის მარცვალი შეჭამა.
წყალში ფერადი კენჭებია.
ვაჭარმა ახალი საწოლი შეიძინა.
მაწონი სასარგებლო საჭმელია,
წაღვერში ფიჭვის ტყეა.
მწყემსმა ჭრაქი აანთო.
საწყობში ახალი ჭერამია.
გლახის ნაამბობი ილია ჭავჭავაძემ დაწერა.
ჭალაში წეროები დარბიან.
ბიჭიკომ ჭია ანკესზე წამოაგო.



**დავალება.** გვიპასუხეთ, რას შვრებიან ბავშვები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უღვლების ნიმუშები.

| | |
|---|---|
| მე ვჭრი შეშას | ჩვენ ვჭრით შეშას |
| შენ ჭრი შეშას | თქვენ ჭრით შეშას |
| ის ჭრის შეშას | ისინი ჭრიან შეშას |

## ბრუნვები.

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი ბრუნვა | | მჭედელი |
| მოთხრობითი | „ | მჭედელმა |
| მიცემითი | „ | მჭედელს(ა) |
| ნათესაობითი | „ | მჭედლის(ა) |
| მოქმედებითი | „ | მჭედლით(ა) |
| ვითარებითი | „ | მჭედლად(ა) |
| წოდებითი | „ | მჭედელო |



**დავალება.** დაასახელეთ, რა და რა ხილია?



სურ. 25. ბგერა ჩ-ს არტიკულაციის პროფილი.

ბგერა **ჩ** ფშვინვიერი აფრიკატია (რთული ბგერაა). **ჩ**-ს ელემენტებია თ + შ = ჩ. **ჩ**-ს დაყენებისას ენისწვერს ავწევთ ზემოთ ალვეოლებისაკენ (ზონდით). ენის წინა ნაწილი უკავშირდება ალვეოლებს და ნაწილობრივ მაგარ სასას. ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადი აპობს სასასა და ენის შუა შექმნილ ხშვას, ისმის ბგერა **ჩ**.

**ბიომექანიკა.** 1. ტუჩები გამოწეულია წინ შესატყვისად ბგერა **შ**-სი (იხ. სურ. 20).

2. პირის კუთხეები ერთმანეთთან მიახლოებულია.
3. კბილები მიახლოებულია 1 მმ. მანძილით და მოჩანს.
4. ენის წინა ნაწილი ებჯინება ალვეოლებსა და მაგარ სასას.
5. რბილი სასა აწეულია.
6. სახმო სიმები განზეა გაწეული.
7. ჰაერნაკადი ძლიერია.

საარტიკულაციო ორგანოების ნორმალური დაყენება იძლევა ნორმალურ ბგერას (იგულისხმება ნორმალური სმენა). **ჩ**-ს დაყენება შეიძლება აგრეთვე **ც**-ს საფუძველზეც. ენისწვერის ზემოთ აწევით ვათქმევინებთ **ც**-ს და მივიღებთ **ჩ**-ს.

## ბგერა | ჩ |

### ბგერა | ჩ | მარცვლის ბოლოში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აჩ | ოჩ | ოჩ | აჩ | უჩ | აჩ | ეჩ | აჩ | იჩ | აჩ |
| აჩ | უჩ | ოჩ | უჩ | უჩ | ოჩ | ეჩ | ოჩ | იჩ | ოჩ |
| აჩ | ეჩ | ოჩ | ეჩ | უჩ | ეჩ | ეჩ | უჩ | იჩ | უჩ |
| აჩ | იჩ | ოჩ | იჩ | უჩ | იჩ | ეჩ | ეჩ | იჩ | ეჩ |

## ბგერა ჩ მარცვლის თავში.

ჩა ჩო ჩუ ჩე ჩი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩა | ჩო | ჩო | ჩა | ჩუ | ჩა | ჩე | ჩა | ჩი | ჩა |
| ჩა | ჩუ | ჩო | ჩო | ჩუ | ჩო | ჩე | ჩო | ჩი | ჩო |
| ჩა | ჩე | ჩო | ჩუ | ჩუ | ჩე | ჩე | ჩუ | ჩი | ჩუ |
| ჩა | ჩი | ჩო | ჩი | ჩუ | ჩი | ჩე | ჩი | ჩი | ჩე |

## ბგერა ჩ ხმოვანთა შორის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აჩა | ოჩა | უჩა | ეჩა | იჩა |
| აჩო | ოჩო | უჩო | ეჩო | იჩო |
| აჩუ | ოჩუ | უჩუ | ეჩუ | იჩუ |
| აჩე | ოჩე | უჩე | ეჩე | იჩე |
| აჩი | ოჩი | უჩი | ეჩი | იჩი |

## ბგერა ჩ თანხმოვანთკომპლექსებში.

| | |
|---|---|
| აჩვა | არჩა |
| აჩლა | ახჩა |
| აჩქა | ანჩხა |
| აჩხა | ავჩქა |

## ვარჯიში მახვილზე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩაჩა' | ჩაჩა' | ჩაჩა' | ჩაჩაჩა' | ჩაჩაჩა' |
| ჩოჩო' | ჩოჩო' | ჩოჩო' | ჩოჩოჩო' | ჩოჩოჩო' |
| ჩუჩუ' | ჩუჩუ' | ჩუჩუ' | ჩუჩუჩუ' | ჩუჩუჩუ' |
| ჩეჩე' | ჩეჩე' | ჩეჩე' | ჩეჩეჩე' | ჩეჩეჩე' |
| ჩიჩი' | ჩიჩი' | ჩიჩი' | ჩიჩიჩი' | ჩიჩიჩი' |

## ბგერა ჩ სიტყვებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩაი | ჩადრი | ყოჩი | ყაყაჩო |
| ჩანთა | ჩონგური | თახჩა | ნიჩაბი |
| ჩალა | ჩოხა | კამეჩი | ჩაქუჩი |
| ჩარხი | ჩიტი | ჩირაღდანი | ჩურჩხელა |

## ბგერა ჩ მომიჯნავე სიტყვებში.

გარჩეული ჩამიჩი
ქუჩაში ჩამიჩუმია
ჩანთა არჩილისაა
ჩაქუჩი ჩანთაშია
საჩეჩელით სჩეჩენ
ჩიორა გაჩუმდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალება. დაუმატეთ გამოტოვებული სიტყვები

ჩვენი სკოლის გვერდით ჩამოდის . . . . .
დედამ შალიკოს უყიდა ახალი . . . . . .
რევაზმა პირში ჩაიდო მამის . . . . . . .
ძერამ მოიტაცა . . . . . . . . .
კამეჩებს ურმით მიაქვთ . . . . . .
ჩვენი მოძმე ხალხია . . . . . . .
მეეზოვემ მორწყა . . . . . . . .
ბებიამ საახალწლოდ გამომიგზავნა . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**

ჩინელები, ჩალა, ქოჩორა, ჩიბუხი, ჩოხა, ჩანჩქერი, ჩურჩხელები, ქუჩა.

## ბგერა [ჩ] წინადადებებში.

მეჩექმემ არჩილს ჩექმები აჩუქა.
ქოჩორას ხის ქვეშ ჩასძინებია.
ოფოფს ლამაზი ქოჩორი აქვს.
კამეჩი ჩალით სავსე ურემში შეაბეს.
გოჩამ თავის დას სათამაშო ჩიტი აჩუქა.
ყაყაჩო მინდორს ამშვენებს.

## ბგერა [ჩ] ლექსებში და მოთხრობებში.



### ყაყაჩო.

ბაღჩაშია გადვიხედე,
მიმიპატიჟა იამა,
ყაყაჩო აყვავებულა,
ვარდი გაშლილა მიამა.

### გუდის ჩადგმა.

(ხალხური ლექსი)

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი დადგაო.

## სიმღერა რუსთავზე.

განახლდი და აწრთობ ფოლადს,
როგორ ძალმიძს არ გაქო,
აღგადგინა ხალხის შრომამ,
ძველო რუსთავ-ქალაქო!

ქარხნის ცეცხლმა გაგაბრწყინა,
როგორ ძალმიძს არ გაქო,
შენ ბელადმა აღგადგინა,
ჩვენო რუსთავ-ქალაქო!

## ნუ გეშინია.

რა გაშინებს, ჩიტუნიავ,
მე დაგინგრევ ბუდეს განა?
ნიავი რომ ნაზად არწევს
და უმღერის იავნანას!
მხოლოდ მინდა შენს პატარებს
მივეახლო, ვესაუბრო,
„მშია, მშიას“ რომ ჭყივიან,
რა საჭმელი მოსწონთ უფრო?
მე შევურჩევ და მოვუტან,
გამიწყრება დედა განა?—
ჩემს დედიკოს ძლიერ უყვარს
ჩიტუნები თქვენისთანა!
ნუ დაფრთხები, ჩიტუნიავ,
იჟღურტულე, ჩემო კარგო,
მინდა ბუდე ყვავილებით
მოგირთო და მოგიქარგო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ალექსი სტახანოვს!

დღეს შენი ნახვით ხარობენ
უსაზღვროდ ჩემი თვალები,
გული სცემს, როგორც ჩაქუჩი,
ღონით ამევსო მკლავები.

შენ ხალხის გულში იპოვე
დიდება დაუცხრომელი;
ვცდილობთ დიდი და პატარა,
ჩვენც გვერქვას სტახანოველი.

და აღტაცების გრძნობით ვწერ
ამ ლექსს მე გლეხი ქართველი;
გამრავლდეს ჩემ სამშობლოში
შენისთანების სახელი!

## ვანო და ქვევრი.

ვანო ახდილი ქვევრის თავთან იდგა და ილანძღებოდა. ქვევრი ცარიელი იყო. ამიტომ ყველა ლანძღვა უკანვე უბრუნდებოდა. ვანომ დედას შესჩივლა: ამ წყეულმა ქვევრმა ლანძღვით ამიკლოო. დედამ უპასუხა:

— შენი თავი შენვე გაგილანძღავს: რაც ჩაგიძახნია, ქვევრს იგივე ამოუძახნიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




სურ. 26. ბგერა ჯ-ს არტიკულაციის პროფილი.

**ჯ** მჟღერი აფრიკატია (რთული ბგერაა). **ჯ** შედგება ორი მარტივი ბგერისაგან დ+ჟ=ჯ, იგი ბგერა **ჭ**-საგან განსხვავდება მჟღერობით და მკვეთრობით.

**ბიომექანიკა:** 1. ტუჩები წინაა წამოწეული **შ, ჩ, ჭ**-ს შესატყვისად.

2. პირის კუთხეები და კბილები ერთმანეთთან მიახლოებულია 1 მმ მანძილით.

3. ენის წინა ნაწილი ებჯინება ალვეოლებსა და მაგარი სასის საზღვარს.

4. რბილი სასა აწეულია.

5. სახმო სიმები თრთიან.

6. ჰაერნაკადი საშუალო სიძლიერისაა.

საარტიკულაციო ორგანოების ნორმალური დაყენება გვაძლევს ჯ-ს (სმენის ნორმალურ პირობებში).

**გამოსწორების მეთოდიკა:** 1. ენის ალვეოლებთან მიბჯენით **ძ**-ს წარმოთქმით მივიღებთ **ჯ**-ს. (ამ შემთხვევაში **ძ** იდეალურად უნდა წარმოითქმოდეს).

2. **დჟ**-ს ზედიზედ აჩქარებით წარმოთქმა ინტერვალის გარეშე, მაგ., **დჟ დჟ დჟ**...... ხშირად ერთ-ერთი შიშინა (და აგრეთვე სისინა) აფრიკატის მართებული არტიკულაცია გამოიწვევს თავისი ჯგუფის დანარჩენი აფრიკატების მართებულ ბიომექანიკას.



სურ. 27. ბგერა ჯ-ს არტიკულაცია გარედან.

# ბგერა ჯ

## ბგერა ჯ მარცვლის ბოლოში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აჯ | ოჯ | უჯ | ეჯ | იჯ |
| ოჯ | უჯ | ეჯ | იჯ | აჯ |
| უჯ | ეჯ | იჯ | აჯ | ოჯ |
| ეჯ | იჯ | აჯ | ოჯ | უჯ |
| იჯ | აჯ | ოჯ | უჯ | ეჯ |

## ბგერა ჯ ხმოვანთა შორის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აჯა | ოჯა | უჯა | ეჯა | იჯა |
| აჯო | ოჯო | უჯო | ეჯო | იჯო |
| აჯუ | ოჯუ | უჯუ | ეჯუ | იჯუ |
| აჯე | ოჯე | უჯე | ეჯე | იჯე |
| აჯი | ოჯი | უჯი | ეჯი | იჯი |

## ბგერა ჯ მარცვლის თავში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯა ჯო | ჯო ჯა | ჯუ ჯა | ჯე ჯა | ჯი ჯა |
| ჯა ჯუ | ჯო ჯუ | ჯუ ჯო | ჯე ჯო | ჯი ჯო |
| ჯა ჯე | ჯო ჯე | ჯუ ჯე | ჯე ჯუ | ჯი ჯუ |
| ჯა ჯი | ჯო ჯი | ჯუ ჯი | ჯე ჯი | ჯი ჯე |

## ბგერა ჯ დაპირისპირება სისინა და შიშინა ბგერებთან.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯა | ზა | ზა | ჯა | ჯა | ზა | ჯა | ზა | ჯა | ზა |
| ჯო | ზო | ზო | ჯო | ჯო | ზო | ჯო | ზო | ჯო | ზო |
| ჯუ | ზუ | ზუ | ჯუ | ჯუ | ზუ | ჯუ | ზუ | ჯუ | ზუ |
| ჯე | ზე | ზე | ჯე | ჯე | ზე | ჯე | ზე | ჯე | ზე |
| ჯი | ზი | ზი | ჯი | ჯი | ზი | ჯი | ზი | ჯი | ზი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯა | ქა | ჯა | ჯა | ქა | ქა | ჯა | ქა |
| ჯო | ქო | ჯო | ჯო | ქო | ქო | ჯო | ქო |
| ჯუ | ქუ | ჯუ | ჯუ | ქუ | ქუ | ჯუ | ქუ |
| ჯე | ქე | ჯე | ჯე | ქე | ქე | ჯე | ქე |
| ჯი | ქი | ჯი | ჯი | ქი | ქი | ჯი | ქი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯა | ძა | ჯა | ძა | ჯა | ჯა | ჩა | ჯა | ჭა |
| ჯო | ძო | ჯო | ძო | ჯო | ჯო | ჩო | ჯო | ჭო |
| ჯუ | ძუ | ჯუ | ძუ | ჯუ | ჯუ | ჩუ | ჯუ | ჭუ |
| ჯე | ძე | ჯე | ძე | ჯე | ჯე | ჩე | ჯე | ჭე |
| ჯი | ძი | ჯი | ძი | ჯი | ჯი | ჩი | ჯი | ჭი |

### ვარჯიში მახვილზე.

ჯა' ზა'... ჯაქაძა'... ჯაჩაჭა'...

## ბგერა [ჯ] ხმოვანთა თავში და ბოლოში.

ჯაჯ ჯოჯ ჯოჯ ჯაჯ ჯუჯ ჯაჯ
ჯაჯ ჯუჯ ჯოჯ ჯუჯ ჯუჯ ჯოჯ
ჯაჯ ჯეჯ ჯოჯ ჯეჯ ჯუჯ ჯეჯ
ჯაჯ ჯიჯ ჯოჯ ჯიჯ ჯუჯ ჯიჯ

ჯეჯ ჯაჯ ჯიჯ ჯაჯ
ჯეჯ ჯოჯ ჯიჯ ჯოჯ
ჯეჯ ჯუჯ ჯიჯ ჯუჯ
ჯეჯ ჯიჯ ჯიჯ ჯეჯ

## ბგერა [ჯ] თანხმოვანთკომპლექსებში.

ნჯა მჯა სჯა რჯა ჯდა ჯგა ჯლა ვჯდა
ნჯო მჯო სჯო რჯო ჯდო ჯგო ჯლო ვჯდო
ნჯუ მჯუ სჯუ რჯუ ჯდუ ჯგუ ჯლუ ვჯდუ
ნჯე მჯე სჯე რჯე ჯდე ჯგე ჯლე ვჯდე
ნჯი მჯი სჯი რჯი ჯდი ჯგი ჯლი ვჯდი

ნჯგვლა ნჯგვლო ნჯგვლუ ნჯგვლი

## ბგერა [ჯ] სიტყვებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯარი | ჯიხვი | ავეჯი | ჯაშუში |
| ჯანი | ჯაგარი | ოჯახი | ჯანსახკომი |
| ჯამი | ჯეჯილი | მაჯა | ბრინჯი |
| ჯარა | ჯოგი | ბადრიჯანი | ქულაჯა |
| ჯოხი | ჯილდო | ფინჯანი | მოჯამაგირე |
| ჯაგი | ჯაჭვი | ფანჯარა | ნარინჯი |
| ჯიბე | ჯირკვალი | დარაჯი | სოცშეჯიბრი |
| ჯაზი | ჯამაგირი | ნაბიჯი | თავმჯდომარე |

## ბგერა ჯ წინადადებებში.

ჯონჯოლი სასარგებლო საჭმელია.
ლურჯ ფინჯანში ადუღებული წყალია.
ფუტკარი გამრჯელი მწერია.
მუნჯი ლაპარაკს სწავლობს.
ჯიმშერს ჯირკვლები აქვს.
სტახანოველმა ჯილდო მიიღო.
კოჯორი ლამაზი აგარაკია.

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

| | | | |
|---|---|---|---|
| ფანჯარა . . . | ფანჯრები | ჯაშუში . . . | ჯაშუშები |
| ჯიხვი . . . . . | | ჯირკვალი . . | |
| ჯამი . . . . . | | ოჯახი . . . . | |
| ჯოხი . . . . . | | ჯაჭვი . . . . | |
| ჯაგი . . . . . | | თავმჯდომარე | |
| ჯიბე . . . . . | | ნაბიჯი . . . . | |
| ჯაჭვი . . . . | | დარაჯი . . . | |
| ჯალათი . . | | მოჯამაგირე . | |

### ბრუნვები.

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | ბრუნვა | ჯეჯილი |
| მოთხრობითი | „ | ჯეჯილმა |
| მიცემითი | „ | ჯეჯილს (ა) |
| ნათესაობითი | „ | ჯეჯილის (ა) |
| მოქმედებითი | „ | ჯეჯილით (ა) |
| ვითარებითი | „ | ჯეჯილად (ა) |
| წოდებითი | „ | ჯეჯილო |



-იხვი



-იქანი



ფან-არა



-ოხი



-ამი



ფინ-ანი



-აჭვი

დავალება. დაუმატეთ გამოტოვებული ასოები და დაასახელეთ ეს საგნები.



## ია და ბავშვი.

ნუ შემახებ პაწია ხელს,
ნუ, ნუ-მეთქი, ჩემო კარგო,
ის არა სჯობს, გავიზარდო
და ბაღნარი მოგიქარგო?

ჯერ შენსავით პატარა ვარ,
გამახარებს შენი ცქერა,
ახლოს დაჯექ, გამაგონე
მხიარული ეგ სიმღერა.

**გამოიცანით, რა არის:**

ზოგი ქვისა, ზოგი ხისა,
ნაწილია სახლის ისა,
ასასვლელი, ჩასასვლელი
სტუმრისა თუ მასპინძლისა.



## ჭაობის ადგილას ფორთოხლები.

სიხარულისაგან ალტაცებული აჩიკო დეიდა ტასოს ხშირად ეკითხებოდა:

— დეიდა ტასო, აქაც ჭაობი იყო?

დეიდა ტასო უამბობდა:

— ეს მიდამო გაუვალ ჭაობს წარმოადგენდა. ჭაობიდან ვრცელდებოდა ციება და ხალხი ავად ხდებოდა. მაშინ არავინ აქცევდა ამას ყურადღებას!

ახლა საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მავნე ჭაობის ამოშრობა. მან ბევრი ფული და შრომა დახარჯა და აი, ხედავ მთელი ეს მიდამო, მთელი კოლხიდა თვალწარმტაც ბაღად იქცა. რამდენი ფორთოხალი და მანდარინია...

## ბგერები | შ | ჟ | ჭ | ჩ | ჯ | ურთიერთ დაპირისპირება.

შიშინა ბგერების საერთო ტაბულა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შა | ჟა | ჭა | ჩა | ჯა |
| შო | ჟო | ჭო | ჩო | ჯო |
| შუ | ჟუ | ჭუ | ჩუ | ჯუ |
| შე | ჟე | ჭე | ჩე | ჯე |
| ში | ჟი | ჭი | ჩი | ჯი |

## ბგერები | შ | ჟ | ჭ | ჩ | ჯ | დაპირისპირება წინადადებებში.

ჩიტების ჟივილ-ხივილია ბაღში.
ცხენოსანი ჯარი გმირულად იბრძვის.
კოოპერატივში სამუშაო იარაღი მოიტანეს.
ბროლის ჭურჭელი არ ჟანგდება.
ნიავმა წამოუქროლა ამწვანებულ ჯეჯილს.
საბჭოთა კავშირში ძვირფას ფაიფურს ამზადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მიყვარს თბილისი.

მიყვარს თბილისი, შრომის დიდებით
ამღერებული ქარხნის მილები,
შენი ბაღები, მტკვარზე ხიდები
ცისარტყელებად გადმოხრილები.

სტალინის დროშით განათებულო,
დიად ბრძოლების მოწმე ალაგო,
დიდება შენდა აყვავებულო,
განახლებულო დედაქალაქო.

## ზაზა-მ გამაბრაზა.

შეხეთ, შეხეთ!.. დედა, დედა!
იცით, რა თქვა ზაზამ?!
„თოჯინები მკვდარიაო!“
როგორ გამაბრაზა!

მკვდარი მისი ცხენი არის,
ჯოხს დაარქვა „ცხენი“!
შეჯდება და თვითონ დარბის
ჭიხვინით და ქშენით!..

თორემ ჩემი თოჯინები
ცოცხალია ყველა!
რომ დავაწვენ, თვალს ხუჭავენ,
იძინებენ ხელად;

როცა ვეტყვი, დასხდებიან,
ზოგჯერ ფეხზეც დგანან;
„თოჯინები მკვდარიაო“,
ახლაც იტყვის განა?!

დედა, დედა!.. რა თქვა, რა თქვა?!“
როგორია ზაზა?!
„თოჯინები მკვდარიაო?!
როგორ გამაბრაზა!

# ჯილდო.

ოთარს მუსიკა ძალიან უყვარს. ის ჯერ ხუთი წლისაა. ამოუდგება გვერდით როიალს, დაებჯინება ნიკაპით თავის პატარა ხელებს და გატაცებით უსმენს ტკბილ ჰანგებს.

ოთარი ობოლია, მას დედა არა ჰყავს, იგი ორი წლისა იყო, როდესაც დედა მოუკვდა, მაგრამ ოთარი საყვარელ დედას ხშირად იგონებს, ეხვეწება ოჯახის წევრებს: „ჩემი დედიკოს მუსიკა დაუკარითო“. მუსიკა „იავნანა“ მან დედას მიაკუთვნა.

ოთარი ისმენს მუსიკას და თვალებიდან ცრემლი სდის.

— მამიდა, შენ გენაცვალე, მამიდა, მასწავლე დედის მუსიკა, — გულმოდგინედ ეხვეწება ბავშვი თავის მზრუნველ და კეთილ მამიდას.

ოთარმა დაიწყო მუსიკის სწავლა.

დადგა გაზაფხული.

ერთ დღეს ბავშვებს კონსერვატორიის დარბაზში მოუყარეს თავი.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. პატარა ოთარი თავისი ლამაზი ლურჯი თვალებით ათვალიერებს მორთულ დარბაზს. სიხარულს და მღელვარებას აუწითლებია მისი ლოყები. ყველა მას მისჩერებია და მოუთმენლად მოელიან მისი პატარა თითების ათამაშებას როიალის კლავიშებზე.

ოთარი გამოიყვანეს სცენაზე, იგი დინჯად მიესალმა იქ მყოფთ.

ბავშვი ხელით აიყვანეს და დასვეს როიალის წინ.

რას უკრავდა ოთარი?

იგი უკრავდა ბეთჰოვენის სონატინას.

მუსიკა შეწყდა. იგრიალა ტაშმა, ირგვლივ გაისმა: ვაშა, ვაშა პატარა ოთარს.

ლურჯ კაბაში მორთული, მოციმციმე ახალგაზრდა მასწავლებელი მივიდა ბავშვთან, მოუალერსა მას და გადასცა ქების ფურცელი, თან ჯილდოდ რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოებებიც უსაჩუქრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარი ბედნიერი დაბრუნდა სახლში, მაგრამ ეტყობოდა მისი ფიქრები საოცნებო ზღაპრებს გაეტაცა.

— რას ფიქრობ, გენაცვალე? — ეკითხება მამიდა.

— ჩუ, მამიდა! არავის უთხრა, მე მინდა ბეთჰოვენისთანა ვიყო, — დინჯად მიუგო პატარა ოთარმა.

## პირველი ქართული ავტომობილი.

(შემოკლებით)

ქუთაისის მახლობლად, ოთხიოდე კილომეტრის დაშორებით, არის მწირი ადგილი, რომელსაც მაღლაკის ველს უწოდებენ.

აი, ამ ველზე დაიწყო საავტომობილო ქარხნის მშენებლობა...

ხალხის თავდადებული შრომით აშენდა უზარმაზარი ქარხანა, სადაც ქართულ ავტომობილებს აკეთებენ.

დიდი შრომა სჭირდება თითო ავტომობილის გაკეთებას. ავტომობილების ნაწილები ამ უდიდესი ქარხნის რამდენიმე საამქროში მზადდება.

ნაწილების რიცხვი — ორიათას ხუთასზე მეტია...

ქართული ავტომობილის პირველი გამოშვება ასე მოხდა. ამ ორი წლის წინათ თვრამეტ აგვისტოს ქუთაისში არაჩვეულებრივი ზეიმი იყო.

აი, სამუშაო საათი დამთავრდა. ერთ უდიდეს საამქროში შევიდნენ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები და გასჭრეს წითელი ლენტი.

გამოჩნდა პირველი ქართული ავტომობილი. მას ზედიზედ მოჰყვა მეორე, მესამე...

პირველ მანქანაზე დიდი ციფრით ეწერა: № 1.

ავტომობილს სტალინის სურათი ამშვენებდა.

გაისმა მქუხარე ტაში.

## ფ უ ტ კ ა რ ი.

წიგნი გადამიშლია,
კითხვას სულ არ მიშლიან
ეთერი და ნუგზარი.
იმათ ბევრჯერ ვუთხარი,

რომ ეს არის ფუტკარი
თაფლის გამკეთებელი,
ეს სახლი რომ მათია,
აქ რომ კარგად ჰხატია.

## ამ სახლს, იცით, რა ჰქვია?





ამ სახლს სკას ეძახიან.
ფუტკრები ბევრს დაფრენენ,
ყვავილებზე სხდებიან,
ნექტარს ხარბად წუწნიან,
სკაში ეზიდებიან.
შრომობენ და შრომობენ,
ერთ წუთს არა სცალიათ.
ნექტარს თაფლად აქცევენ, —
მე რომ მიყვარს ძალიან.

# სამგორი ძველად.

(შემოკლებით)

თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმული სამგორის უდაბური ველები უშუალოდ თბილისს აკრავს. იქ თავაწყვეტილი ქარი დაჰქრის დღენიადაგ. მწირი და ხრიოკია სამგორის მიდამოები.

ოდესღაც ამ მიდამოებს მშვენიერი ტყეები ალამაზებდა. ასწლოვან მუხებს მძლავრად გაეშალათ ტოტები. დიდრონი წიფლები ერთგული ძმებივით გვერდში ამოსდგომოდნენ მოხუც მუხებს. ჩუხჩუხით მორბოდნენ ნაკადულები...

სხვადასხვა ქვეყნის დამპყრობლებმა მიწასთან გაასწორეს სამგორის ძველი დიდება...

სამგორის ველის შესახებ ბევრი თქმულებაა, თუ რატომ დაერქვა მას ეს სახელი. ერთი მათგანი ასეთია:

ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს სპარსელების უთვალავი ლაშქარი შემოესია საქართველოს. მტერი იორზე დაბანაკდა.

გარიჟრაჟმა რომ მოატანა, მამაცი მეფე გაძლიერებული რაზმით დაესხა სპარსელებს... ვახტანგმა განგმირა შაჰის შვილი და მუსრი გაავლო სპარსელებს... მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა, ვახტანგმა თავისსავე ციხეში დალია სული. მამულისათვის დახოცილი ვაჟკაცებისაგან სამი გორა დადგა. სამი გორის გამო ველს სამგორი დაერქვა.



სურ. 29. ზონდი. კბილთაშუა და ბაგეკბილისმიერი (ს, ზ, ც, წ, ძ-ს) სიგმატიზ-
მის გამოსასწორებლად.*



სურ. 28. ზონდი შიშინა ბგერების (შ, ჟ, ჩ, ჭ, ჯ-ს) გამოსასწორებლად.*

## სისინა და შიშინა ბგერების დაპირისპირება.

ს ზ შ ჟ

ც წ ძ ჩ ჭ ჯ

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სა | შა | ზა | ჟა | ცა | ჩა | წა | ჭა | ძა | ჯა |
| შა | ზა | ჟა | ცა | ჩა | წა | ჭა | ძა | ჯა | სა |
| ზა | ჟა | ცა | ჩა | წა | ჭა | ძა | ჯა | სა | შა |
| ჟა | ცა | ჩა | წა | ჭა | ძა | ჯა | სა | შა | ზა |
| ცა | ჩა | წა | ჭა | ძა | ჯა | სა | შა | ზა | ჟა |
| ჩა | წა | ჭა | ძა | ჯა | სა | შა | ზა | ჟა | ცა |
| წა | ჭა | ძა | ჯა | სა | შა | ზა | ჟა | ცა | ჩა |
| ჭა | ძა | ჯა | სა | შა | ზა | ჟა | ცა | ჩა | წა |
| ძა | ჯა | სა | შა | ზა | ჟა | ცა | ჩა | წა | ჭა |
| ჯა | სა | შა | ზა | ჟა | ცა | ჩა | წა | ჭა | სა |

* ზონდები მოცემულია პროფ. თ. ა. რ ა უ ს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსები და მოთხრობები სისინა და შიშინა ბგერებზე.

## სიმღერა თბილისის ზღვასთან.

თბილისს ზღვის ნახვა უნდოდა,
აჰა, გახედეთ, ზღვაც არის!
ფესვი გაიდგა ვენახმა,
გაღვივდა ოქროს მარცვალი.

გახედეთ სანაპიროთა
ლურჯად დახატულ არშიას,
სამგორის მიწა გაცოცხლდა,
არცა წყურია, არც შია!

თბილისში განთიადისას
ხეებს რომ ნამი ჰკიდია,
განა შორიდან მოსულა,
ჩვენი სამგორის მკვიდრია!

ბაღებს, პროსპექტებს ნიავის
ქროლა რომ ტკბილად დაუვლის,
არ გესმით სიოს ჩურჩულში
ჩვენი ზღვის ტალღის ხმაური?

გახედეთ, მთებზე, ველებზე,
ზღვამ ლურჯი ფერი დაღვარა,
ხალხმა ფერფლზე და ნაცარზე
სიცოცხლე ახლად ახარა.

თბილისს ზღვის ნახვა უნდოდა,
აჰა, გახედეთ, ზღვაც არის.
ფესვი გიიდგა ვენახმა,
გაღვივდა ოქროს მარცვალი.

# ზ ო ი ა.

სახეზე ასდის მხურვალე ალი,
მკერდზედაც სისხლის წყვილი ზოლია.
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი
სიკვდილის აჩრდილს ებრძვის ზოია.

ასე აწამა მტერმა წყეულმა,
ასე იყარა ჯავრი ბოლომდის...
ჭაში ჩააგდო მისი სხეული,
რომ დაეფარა კვალი ბოროტი.

სულის ამოსვლა აღარ აცალა,
რომ არ დაესწრო სხივებს დილისას.
ალბათ ეგონა, რომ ჭამ წაშალა
ამბავი ერთი ქალიშვილისა...






## ჩვენი ღერბი.

ჩვენი ღერბი გვირგვინია
მოოქროული, მინანქრული,
გარს თავთავი ახვევია
ხვავიანი შირაქული.
ჩვენი ღერბი გვირგვინია
განახლებულ ქართლის ხნისა,
შიგ ჩუქურთმად ჩაწნულია
ვაზი კახურ ვენახისა.

ჩვენი ღერბი გვირგვინია
გამარჯვებულ ქართველ ერის,
ზედ ჩაქუჩი ახატია, —
რუსთავში რომ გრდემლზე
მღერის.

ჩვენი ღერბი გვირგვინია
ამერის და იმერისა,
აყვავებულ საქართველოს
ზეიმის და სიმღერისა.





# თავისუფლება.

ირამ უთხრა თავის ძმასა:
— „ძმაო, მითხარ, ამიხსენი,
რატომ არის ეს ქუჩები
წითელ ფერით დანამშვენი?

ან ეს ხალხი რად ჩოჩქოლობს,
რად აქვს მღერა... სჯა... ნავარდი.
ან ლხენისგან ყველას პირზედ
რად გაშლილა ღიმის ვარდი?"

ძმამ მიუგო:— „მიტომ ვეტრფით
ამ წითელ ფერს დღეის დღესა,
რომ ამ ფერით ჩვენ ერთმანეთს
გამარჯვებით ვუწვდით ხელსა.

დღეის შემდგომ არ იქნება
ჩაგვრა! ტანჯვა! დამონება!
რომ ისუნთქოს თავისუფლად
ყველასა აქვს ამის ნება."





## დაუკვირდი.

რა ტკბილია ჩვენი ენა,
დაუკვირდი კარგად.
დინჯად, წყნარად ისაუბრე,
ასოებს ნუ ჰკარგავ.
„რ“-ს მაგივრად „ლ“ არა თქვა,
არ იქნება სწორი.
„ს“-დან „შ“-მდე თვით ანბანში
მანძილია შორი.
სად გაქვს ცერი, რომ გკითხავენ,
ამბობ: — „აი, ცელი“.
„ცელი“ კიდევ სულ სხვა არის,
ბალახების მჭრელი.
გკითხეს: — დედა შინ არ არის? —
შენ პასუხობ: — „ალი“.
„ალი“ ქვეყნად გამიგია,
მხოლოდ ცეცხლის ალი.
რა ტკბილია ჩვენი ენა,
დაუკვირდი კარგად.
დინჯად, წყნარად ისაუბრე,
ასოებს ნუ ჰკარგავ.



## მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

წინათ მინდვრის სამუშაოებისათვის მანქანებს არ იყენებდნენ, ან კი რას გააკეთებდა მანქანა გლეხების პატარ-პატარა ნაკვეთებზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს გლეხებმა გააერთიანეს თავისი მიწები, შექმნეს კოლმეურნეობები. სახელმწიფომ კოლმეურნეობებს მისცა მანქანები ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად.

ჩვენს ქვეყანაში დაარსებულია ათასობით მანქანა-ტარაქტორთა სადგური, რომლებიც მანქანებით ამუშავებენ კოლმეურნეობების მიწებს — ხნავენ, თესავენ, იღებენ მოსავალს.

## გლეხების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ძალიან ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ გლეხები ბატონყმობის დროს. ისინი ვერ ურიგდებოდნენ ბატონების უსამართლობას და ტყეში გარბოდნენ.

გლეხები აუჯანყდებოდნენ ხოლმე ბატონებს, ებრძოდნენ მათ და სახლ-კარს უწვავდნენ. აჯანყებას მეფის ჯარი აქრობდა.

1861 წელს გადავარდა ბატონყმობა რუსეთში, 1864 წელს— საქართველოში. გლეხებმა იფიქრეს, ახლა მაინც თავისუფლად ამოვისუნთქავთო, მაგრამ მოტყუვდნენ.

გლეხები ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც ცუდად ცხოვრობდნენ. მემამულეები და მეფის მოხელეები არანაკლებად ჩაგრავდნენ მათ. გლეხები იბრძოდნენ უკეთესი ცხოვრებისათვის, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს გლეხებმა მუშათა კლასის დახმარებითა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს. ამიტომ უსაზღვროა გლეხებისა და მუშათა კლასის სიყვარული კომუნისტური პარტიისა და მისი დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინისადმი.

**კითხვები:**

1. როგორ პირობებში ცხოვრობდნენ გლეხები ბატონყმობის დროს?
2. როდის გადავარდა ბატონყმობა რუსეთში და საქართველოში?
3. როგორ ცხოვრობდნენ გლეხები ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ?
4. როგორ გაიმარჯვეს გლეხებმა?



## მოსავლის სიმღერა.

დამწიფდა ყანა, დამწიფდა,
ყვითლად ბიბინებს მთა-ველი,
სიმწიფისაგან დამძიმდა
მუჭისოდენა თაველი.

სოფლად გაისმის სიმღერა,
მღერიან კოლმეურნენი,
კალოსკენ მიჭრიალებენ
ძნით დატვირთული ურმები.

არ ეძინება კომბაინს,
დღედალამ გააქვს გრიალი,
ფერდობებიდან მოისმის
ალესილ ნამგლის წკრიალი.

ტკბილი სიმღერა გაისმის, —
კომბაინს გააქვს გრიალი,
რა მოსავალი მოსულა,
უხვი და ბარაქიანი.

# ხვალ სკოლაში მივდივარ.

თქვენ გგონიათ პატარა ვარ?
ახლა უკვე დიდი ვარ.
იცით, როგორ მიხარია!
ხვალ სკოლაში მივდივარ.

დედოფალავ, დათუნებო,
არ მოგწყინდეთ, ნახვამდის.
„დედა ენას“ თეთრი, სუფთა
შემოვაკარ ქაღალდი.

საყვარელი წიგნის ფურცლებს
წამდაუწუმ ჩავცქერი.
მოვამზადე რვეულები
სახატავი, საწერი.

ფანქარი და კალმისტარი,
კალამი და საშლელი.
ვწევარ, ვწუხვარ
გათენებას
არ ადგება საშველი!

მაღვიძარას წიკწიკს ვისმენ,
როდის დარეკს ნეტავი?
უი, რა ვქნა, მგონი ჩანთა
დამრჩა დაუკეტავი.

უნდა ავდგე მაგრამ დედა
ლოგინიდან არ მიშვებს.
მამშვიდებს და თითის ქნევით
იძინეო, მანიშნებს.

თვალი განზრახ არ დავხუჭე,
წასვლის დრო რომ გამეგო.
საათს იქნებ დაეძინოს,
დროზე ვეღარ დარეკოს.

სირცხვილია, სხვამ დამასწროს,
ახლა უკვე დიდი ვარ.
მზეზე ადრე უნდა ავდგე,
ხვალ სკოლაში მივდივარ.

**კითხვები:**

1. ვის ესაუბრება ბავშვი სკოლაში წასვლის შესახებ?
2. როგორ უვლის ბავშვი სასწავლო ნივთებს?
3. ზეპირად სთქვით ლექსის ის ნაწილი, თუ როგორ ჩქარობს ბავშვი სკოლაში წასვლას?

**დავალება.** მოყევით ლექსის შინაარსი თქვენივე სიტყვებით.



## სამგორში.

ვინ არ შეჰხარის ჩვენს სიჭაბუკეს,
დავიმორჩილეთ თვითონ ბუნება,
სამგორში წყალი შეირხა უკვე
და მომავალზე გვედუდუნება:

მალე ვიხილავთ აქ ელნათურებს,
მალე ჩადგება ქარის თარეში,
სულ სხვა ცხოვრება დაისადგურებს
აქ, ამ უდაბურ არემარეში.

ოჯახის კარი გაჭრიალდება,
ვიტყვით: „ბარაქას ბოლო არ უჩანს!“
პირველი ქუჩა რომ გაიჭრება,
ალბათ, ერქმევა „მშვიდობის ქუჩა“.

## რუსული სინათლე.

რუსმა ინჟინერმა პავლე იაბლოჩკოვმა 1876 წელს გამოიგონა ელექტროსანთელი, რომელსაც საზღვარგარეთ ზოგი „რუსულ სანთელს“ უწოდებდა, ზოგი კი „რუსულ სინათლეს“.

ამ სანთლებით გააჩირაღდნეს პარიზისა და ლონდონის ქუჩები. ხალხი აღფრთოვანებული იყო, ზოგიერთმა გერმანულმა გაზეთმა კი განგაში ატეხა: ქუჩის განათება ცხენებს აფრთხობსო.

პარიზისა და ლონდონის ჟურნალ-გაზეთები ათავსებდნენ წერილებს — რუსი ინჟინრის იაბლოჩკოვის დიდ გამოგონებაზე და წერდნენ: სინათლე ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან მოდის ჩვენთანაო.

მალე მეორე რუსმა გამომგონებელმა, ინჟინერმა ალექსანდრე ლოდიგინმა, ელნათურაც გააკეთა.

**ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების.**

**დ. გურამიშვილი.**

# ნაწილი III

## ვიბრანტი ბგერის — რ — დაყენება

ბგერა | **რ** | ვიბრანტია.




სურ. 30 ბგერა **რ** ს არტიკულაციის პროფილი.

**ბიომექანიკა:** 1. ბაგეების ფორმა დამოკიდებულია მომდევნო ხმოვანზე.

2. კბილები გაღებულია ერთი სანტიმეტრის მანძილზე.

3. ენის ტანი გაბრტყელებულია და ენის წვერი ნუნებთან აწეულია; ენის გვერდები ჰფარავენ საჭრელ (გვერდის) კბილებს; ენის ძირი უძრავ მდგომარეობაშია.

4. რბილი სასა აწეულია.

5. ხორხის, რკალის, ნაქისა და რბილი სასის კუნთები ოდნავ მოძრავია.

6. სახმო სიმები თრთიან.

7. ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადი გაივლის ენის ზურგის გზით; ჰაერნაკადი ენისწვერს მაგრად ააქან-ჩამოაქანებს, ელასტიურად აათრთოლებს მას, და აღვიქვამთ ბგერა **რ**-ს.

ქართული **რ** ენა-ნუნისმიერია (ალვეოლალური). ენაჩლუნგობაში **რ**-ს დარღვევა უმთავრესად ორი გზით მიმდინარეობს: როტაციზმის და პარაროტაციზმის. პირველ შემთხვევაში **რ** იკარგება (ამოვარდება); მეორე შემთხვევაში იგი შეინაცვლება ლოკალურად მასთან ახლო წარმოებულ თანხმოვნებით (ლ, ტ, თ, დ, ნ). **რ** ხან იქმნება რბილი სასის არეში (ამ შემთხვევაში ვიღებთ ველარულ **რ**-ს), ხან იქმნება ნაქის ვიბრაციით (ე. ი. უველარული **რ**). ორივე შემთხვევაში **რ** ბგერა არ არის სწორი, **რ** ალვეოლარულია.

**რ-ს დაყენების მეთოდიკა:** 1. ენისწვერის ვიბრაციის გამომუშავება; 2. ენის ტანის გაბრტყელება; 3. ჰაერნაკადის (მთელი რაოდენობის) პირის ღრუდან გამოდენა; 4. ბგერა **ზ**-ს ზედიზედ წარმოთქმა ენისწვერის ნუნების არეში; 5. **დზ**-ზე ვარჯიში, რაც შეიძლება ზედიზედ — უინტერვალოდ წარმოთქმით. **გარდა ამისა, არსებობს სხვა ხერხებიც.**

# ბგერა რ

## ვარჯიში ბგერა რ-ზე.

| დრა | | დრო | | დრი | |
|---|---|---|---|---|---|
| დრა | დრო | დრო | დრა | დრი | დრა |
| დრა | დრუ | დრო | დრუ | დრი | დრო |
| დრა | დრი | დრო | დრი | დრი | დრუ |

| ტრა | | ტრო | | ტრი | |
|---|---|---|---|---|---|
| ტრა | ტრო | ტრო | ტრა | ტრი | ტრა |
| ტრა | ტრუ | ტრო | ტრუ | ტრი | ტრო |
| ტრა | ტრი | ტრო | ტრი | ტრი | ტრუ |

| ბრა | | დრა | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრა | ბრა | დრა | ბრა | ბრა | დრა |
| ბრო | ბრო | დრო | ბრო | ბრო | დრო |
| ბრუ | ბრუ | დრუ | ბრუ | ბრუ | დრუ |
| ბრი | ბრი | დრი | ბრი | ბრი | დრი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დრა | დრა | დრა | რა | თრა | თრი |
| ტრო | ტრო | ტრო | რო | თრო | თრა |
| დრუ | დრუ | დრუ | რუ | თრუ | თრო |
| ტრი | ტრი | ტრი | რი | თრე | თრუ |

## ბგერა რ მარცვლის თავში.

რა რო რუ რი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რა | რო | რო | რა | რუ | რა | რი | რა |
| რა | რუ | რო | რუ | რუ | რო | რი | რო |
| რა | რი | რო | რი | რუ | რი | რი | რუ |

## ბგერა რ ხმოვანთა შორის.

| | | | |
|---|---|---|---|
| არა | ორო | ურუ | ირი |
| არო | ორუ | ური | ირა |
| არუ | ორი | ურო | ირო |
| არი | ორა | ურა | ირუ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| პიონერი | აბრეშუმი | ხორბალი |
| წერილი | მგზავრი | სტრიქონი |
| გვირილა | არწივი | თვითმფრინავი |
| ზამთარი | ტრაქტორი | ბროწეული |
| ქარხანა | ყურძენი | შრომა |
| ფანქარი | ჭურჭელი | გრდემლი |

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები მოცემული ნიმუშების მიხედვით.

ტრაქტორი . . . ტრაქტორები
პიონერი . . .
ურემი . . .
თვითმფრინავი . . . .
მგზავრი . . . .

დამკვრელი . . . დამკვრელები
არწივი . . .
გამზრდელი . . .
ბროწეული . . .
ვარდი . . .















**დავალება.** დაასახელეთ ეს საგნები.

**გამოიცანით, რა არის:**

1. სიმბოლოა მშვიდობისა,
სათნოა და მეტად მშვიდი;
ზოგჯერ, როგორც ფოსტის შიკრიკს,
სარგებლობა მოაქვს დიდი.

2. არც ფეხი აქვს და არც თვალი,
არის კოხტა, არის მრგვალი.
დახტის, დაჰქრის, დატრიალებს,
სცემენ, მაგრამ არ ღრიალებს.

3. ერთი რამე რკინისა,
დარაჯია ბინისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბგერა | რ | მოთავსებული სიტყვებში.

ფრინველები გაფრინდნენ.
ზამთრის სურათი.
თეთრი სუფრა.
დამკვრელი პიონერი.
წითელარმიელი დროშით.

მინდვრის გვირილა.
ფიზკულტურის დარბაზი.
აბრეშუმის ფაბრიკა.
გამარჯვებული მეომარი.
სასიხარულო წერილი.

## ბგერა | რ | წინადადებებში.

კოლმეურნეებმა ტრაქტორი გამოიწერეს.
თვითმფრინავი ღრუბლებში შესრიალდა.
მხატვარი სამგორში გაემგზავრა.
პიონერები აგარაკიდან დაბრუნდნენ.
თეთრი პური გემრიელია.

## უღლების ნიმუშები.

მე ტრაქტორი გავმართე
შენ ტრაქტორი გამართე
მან ტრაქტორი გამართა

ჩვენ ტრაქტორი გავმართეთ
თქვენ ტრაქტორი გამართეთ
მათ ტრაქტორი გამართეს

**დავალება.** მოცემული ნიმუშის მიხედვით აუღლეთ შემდეგი ზმნები:
დავწერე, ვიმგზავრე, დავკრიფე.

# ქართველი პიონერის წერილი კორეელ ბიჭუნას.



მშვიდობა

იქნება მამა აღარ გყავს —
მტერთან ბრძოლაში დაეცა,
რომ შენი წმინდა სამშობლო
უწმინდურთაგან დაეცვა.
იქნებ არც დედას დასცალდა
მამაზედ შავი ჩაეცვა,
ისიც მტრის ტყვიამ განგმირა,
ისიც ბრძოლაში დაეცა.
მე მამაცა მყავს, დედილოც,
მეგობრებიც და ბიძებიც;
ჩემი ბავშვობა ტკბილია —
სტალინის მზის ქვეშ ვიზრდები...
თუ მტერმა მამა მოგიკლა,
აღარ გყავს დედა-მშობელი,
და ობლად დახვალ პატარა —
თვალზე ცრემლშეუშრობელი,
მე გიმეგობრებ, შეგფიცავ,
შენი ძმობილი ვიქნები,
და შევაერთოთ მარადჟამს
ჩვენი ძალა და ფიქრები.
არა, არა ხარ ობოლი,
მარტოხელა და ეული,

ჩემი თბილისი გიშვილებს,
თუ კი წაგართვეს სეული.
ჩაგრულთა მამა გიშვილებს,
კაცი მზესავით ნათელი.
მშვიდობას ერთად დავიცავთ
კორეელი და ქართველი.

# მასწავლებელი



შუა ღამე გადავიდა,
სიჩუმეა, სოფელს სძინავს;
ფხიზლობს მხოლოდ ერთი სახლი,
საიდანაც შუქი ბრწყინავს.
ეს მხცოვანი, ღვაწლმოსილი
მასწავლებლის არის სახლი;
ვინც აუვლის,
ვინც ჩაუვლის,
სახლს უღიმის ნათელ სახით.
ფანჯარაში ყვავილები
შეხარიან ღამის ნიავს,
მათი ჩუმი შარიშური
ფიქრებს აღძრავს ხალისიანს.
ახლა, როცა ყველას სძინავს,
ის მარტო ზის მაგიდასთან,
წინ უწყვია მოსწავლეთა
რვეულების მთელი დასტა.
და წითელი ფანქრით მისდევს
გიშერივით შავ სტრიქონებს;
ხან უეცრად წარბს შეიკრავს,
ხან ღიმილი აცისკროვნებს.

# მოცხარი.

მარო ობოლი იყო, მას მშობლები ადრე დაეხოცა.

მოხუცებულ ბებიას ძალიან ებრალებოდა მარო. ერთხელ მაროს ბებიამ ახლად დამწიფებული ერთი კალათა მოცხარი დაკრიფა და მაროს მასწავლებელს მიართვა.

— კეთილო მასწავლებელო, მიირთვი მოცხარი, სასარგებლოა, ჯანს მოგიმატებს.

მასწავლებელმა იცოდა, რომ მარო ობოლი იყო და მას მზრუნველი მხოლოდ მოხუცი ბებია ჰყავდა.

მასწავლებელს თვალებზე ცრემლები მოადგა, მოეხვია მოხუცს და უთხრა:

— მადლობელი ვარ, მოცხარი ძალიან მიყვარს. ცარიელი კალათა შაქრით გაუვსო და დასძინა:

— ასეთი ტკბილი დღეები მიეცეს შენს პატარა მაროს.

# დედის დარიგება.

(შემოკლებით)

გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ჯაფა ნუ დაგზარდება,
მუდამ გახსოვდეს, რომ შენი ცოდნა
შენსა ქვეყანას გამოადგება.

იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,
დიდი განძია სწავლის შეძენა,
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო:
გულით გიყვარდეს სამშობლო ენა.

მერწმუნე, შვილო, გამოცდილია:
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია.

**სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.**

**შოთა რუსთაველი.**



# დილა.

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გალვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას აშბობდა:

— აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!



# ქაღალდმა თქვა.

ერთმა ქალმა პატარა ვაჟის ხელით თავის ამხანაგს ჩურჩხელები და ბარათი გაუგზავნა.

გზაში ბავშვმა ვერ მოითმინა და ერთი ჩურჩხელა შეჭამა.

— ერთი ჩურჩხელა აკლია. შენ შეჭამე განა? — ჰკითხა ქალმა ვაჟს.

— ვინ გითხრათ?

— აი, ამ ქაღალდმა თქვა.

— ეს შეუძლებელია! ბარათი ჯიბეში მქონდა, ის ვერ დაინახავდა! — უპასუხა ბავშვმა.

**კითხვები.**

1. რა გაუგზავნა ქალმა თავის ამხანაგს?
2. რა ქნა გზაში ბავშვმა?
3. რა ჰკითხა ვაჟს ქალმა, რომელსაც მიუტანა ჩურჩხელები?
4. რა ჰკითხა ვაჟმა ქალს?
5. რა უპასუხა ქალმა?
6. როგორ გაიგო ქალმა ჩურჩხელის დაკლება?

**წერითი დავალება.** გაეცით პასუხი მოცემულ კითხვებს.



## სტუმრების დაპატიჟება.

— ამხანაგებო, შვიდ ნოემბერს მოვიპატიჟოთ რუსული, სომხური და თურქული სკოლის მოსწავლეები! — წინადადებას იძლევა პიონერი ბექანი.

— ეგ როგორ იქნება? — იკითხა პატარა ჟანამ, — იმათ ალბათ ქართული არ იციან.

— ისინი ბავშვების თამაშის შინაარსს მიხვდებიან, — მიუგო შოთამ.

— მე ვიცი სომხური, — სთქვა ჟორამ.

— ჩვენ ყველამ ვიცით რუსული, — განაცხადა შალვამ.

— იქნებ იმათაც იციან ქართული, — წამოიძახა ციალამ.

— იციან, იციან, — გაიძახოდნენ ბავშვები.

დადგა შვიდი ნოემბერი! ბავშვები აღფრთოვანებით შეხვდნენ დაპატიჟებულ მეგობრებს.



## გუგული და ლაჟო.

ლაჟომ ბუდე გაიკეთა,
ხუთი კვერცხი დადო...
ყველამ იცის, რომ გუგული
სულ არ არის სანდო:
მიეპარა, ორი კვერცხი
გადასანსლა ხილად,
და თავისი ერთი კვერცხი
შიგ ჩაუგდო ფრთხილად.
ბარტყები რომ დაიჩეკნენ.
ერთი სხვებს არ ჰგავდა.
გამოიცან: ლაჟოს ბარტყი
სულ რამდენი ჰყავდა.

# ლატერალი ბგერის — ლ — დაყენება




სურ. 31. ბგერა ლ-ს
არტიკულაციის პროფილი.

ბგერა | ლ | ვიბრანტია.

**ბიომექანიკა.** 1. ტუჩების, პირის კუთხეების, ზედა და ქვედა კბილებს შორის მანძილი და ფორმა დამოკიდებულია მომდევნო ხმოვნებზე.

2. ენის წინა ნაწილი აწეულია, ეხება ზედა კბილებს და ნუნებს.

3. ენის გვერდები მიახლოებულია საჭრელ (გვერდის) კბილებთან. მათ შორის (ენასა და კბილებს შორის) იქმნება ცალმხრივი ან ორმხრივი ნაპრალი (ქართულ **ლ**-სათვის ხშირად ორმხრივი).

4. ენის ძირი გადაწეულია უკან და აწეული.

5. რბილი სასა აწეულია.

6. სახმო სიმები ერთმანეთთანაა მიახლოებული და თრთიან.

7. ჰაერნაკადი, მიიმართება რა პირის ღრუსაკენ, გაივლის გვერდის კბილებს, ენისწვერი მოწყდება ნუნებს, ისმის ბგერა **ლ**. **რ**-ს ანალოგიურად **ლ**-ს დარღვევაც ორი გზით მიმდინარეობს: 1. ლამბდაციზმი — **ლ**-ს ამოვარდნა (ლომი ‖ ომი; მელა ‖ მეა); 2. პარალამბდაციზმი — **ლ**-ს შენაცვლება (ლოკალურად უახლოესი ბგერებით (**რ**, **ნ**, **დ**, **თ**) ლომი ‖ რომი, ნობი, დომი, თომი, იომი).

ბიომექანიკის მართებულად შესწავლის შედეგად ადვილად ვიღებთ ბგერა **ლ**-ს, ხოლო ამისათვის საჭიროა სათანადო სმენის განვითარების მიზნით ზუსტი და ხანგრძლივი ვარჯიში. კარგი ხერხია პირის ფართოდ გაღება, ენის მოთავსება წინა კბილებს შორის და **ლ**-ს ზედიზედ მრავალჯერ წარმოთქმა. ვარჯიში: ლლ.... ლ-ა, ლ-ო; ლალოლუ... ალ ოლ...—სიტყვის თავში, შუაში, ბოლოში და შესიტყვებებში.

## ბგერა ლ მარცვლის თავში.

ლა ლო ლუ ლე ლი

ლა ლო ლო ლა ლუ ლა ლე ლა ლი ლა
ლა ლუ ლო ლო ლუ ლო ლე ლო ლი ლო
ლა ლე ლო ლუ ლუ ლე ლე ლუ ლი ლუ
ლა ლი ლო ლი ლუ ლი ლე ლი ლი ლი

## ბგერა ლ ხმოვანთა შორის.

ალა ოლა ულა ელა ილა
ალო ოლო ულო ელო ილო
ალუ ოლუ ულუ ელუ ილუ
ალე ოლე ულე ელე ილე
ალი ოლი ული ელი ილი

## ბგერა ლ ხმოვანთა თავში და ბოლოში.

ლალ ლოლ ლულ ლელ ლილ
ლოლ ლულ ლელ ლილ ლალ
ლულ ლელ ლილ ლალ ლოლ
ლელ ლილ ლალ ლოლ ლულ
ლილ ლალ ლოლ ლულ ლელ

## ბგერა ლ თანხმოვანთკომპლექსებში.

ახლა აშლა აკლა აბლა ამლა
ალნა ავლა ალხა ალღა აძლა
ალდა აგლა აქლა ალმა ალბა

## ვარჯიში მახვილზე.

ლალა́ ლალა́ ლალა́..
ლოლო́ ლოლო́ ლოლო́ ..
ლულუ́ ლულუ́ ლულუ́..
ლელე́ ლელე́ ლელე́..
ლილი́ ლილი́ ლილი́ ..
ლალალა́ ლალალა́ ლალალა́
ლოლოლო́ ლოლოლო́ ლოლოლო́
ლულულუ́ ლულულუ́ ლულულუ́
ლელელე́ ლელელე́ ლელელე́
ლილილი́ ლილილი́ ლილილი́!

## ბგერა ლ სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| მამალი | მსხალი | სისხლი |
| მელა | კლასი | წაბლი |
| ხილი | საშლელი | ლაპარაკი |
| ხელი | გლეხი | ცრემლი |
| ველი | კედელი | საქანელა |
| მელანი | დამკვრელი | ბულბული |
| თოვლი | ხალხი | ქუხილი |
| ყინული | ვაშლი | ლილა |
| ლეღვი | ქალაქი | ქლიავი |

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

კლასი . . . . კლასები
გლეხი . . .
ფრინველი . . . .
ცრემლი . . . .
კოლმეურნე . . .
წიფელი . . . . .
ქოლგა . . . .

## ბგერა ლ მომიჯნავე სიტყვებში.

დამკვრელი მჭედელი.
სტახანოველი დურგალი.
ანთებული ღუმელი.
კეთილი მოსწავლე.
ამწვანებული ველი.
ახალი ქალაქი.
გაზაფხულის დილა.
პირველი მახარობელი.

ლამაზი ყვავილი.
სასიხარულო წერილი.
საყვარელი მწერალი.
ლენინგრადის მატარებელი.
ლითონის ჭურჭელი.
გიგლას ბზრიალა.
ვერცხლის კალამი.
სკოლის ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა








დავალება, დაასახელეთ ეს საგნები.

## ბგერა ლ წინადადებებში.

მასწავლებელმა ახალი გაკვეთილი აგვიხსნა.
ლალი ხუთებზე სწავლობს.
ფუტკარი ყვავილებისგან აკეთებს თაფლს.
ბულბული მთელი დღე გალობდა.
შალვა სალამურზე კარგად უკრავს.
კოლმეურნემ ხორბალი წისქვილში წაიღო.
ვაშლი, ლეღვი და მსხალი შემოდგომის ხილია.

**დავალება.** გამოტოვებული სიტყვები დაუმატეთ.

მოსწავლეებმა თავი გამოაცხადეს . . . . . . . . . .
თბილისში ააშენეს ახალი . . . . . . . . . . . .
წითელარმიელები . . . . . . . . . . . . . . წავიდნენ
ლილიმ კედლის გაზეთისათვის. . . . . . . . . დაწერა
მონადირემ კურდღელს თოფი . . . . . . . . . . .
ხელსახოცი. . . . . . . . . . . . . . . . გაავლეს
მელა და მგელი. . . . . . . . . . . . . . . .
ლუარსაბმა ახალი . . . . . . . . . . . . . . იყიდა

დასამატებელი სიტყვები:

წერილი, სალაშქროდ, სახლები, დამკვრელებად, ფეხსაცმელები, დაძმობილდნენ, ესროლა, ლილაში.

**გამოიცანით, რა არის:**

1. იხლა, იალა,
   კოხტა, ცალფეხტრიალა,
   როცა ცეკვავს, ფეხზე დგას,
   შედგება — კოტრიალა.

2. არცა აქვს სული, არცა აქვს გული,
   დღე-ღამ მუშაობს ის მომართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბგერა ლ ლექსებში და მოთხრობებში.

## ნაკადული.

მიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა ღუღუნ-ჩუხჩუხით ტკბილად მომავალი თავის ვიწრო, ათასფრად აყვავებულ საწოლში.

მიყვარს იმისი კიდეები, დაბალი და მსუქანი ბალახით შებურვილი, და ამ ბალახში მარგალიტივით გაბნეული თეთრი გვირილები.

მიყვარს ნაკადული დილით, როდესაც მის პატარა ტალღებში ამომავალი მზე ალმაცერად აციმციმებს და პირს ჰბანს თავის ბრწყინვალე სხივებს.

მიყვარს ნაკადული მთვარიან ღამეში, როდესაც იმისი ტკბილი ღუღუნი ღამის მყუდროებაში ერთი ასად უფრო ტკბილდება, მთვარის მკრთალი ნათელით ოქროვერცხლდება და დაღონებული ადამიანის გულსა და თვალს სიმშვიდითა და სიმშვენიერით ელამება.

მიყვარს ნაკადული მაშინაც კი, როდესაც ავდრის შემდეგ შუბლს შეიკრავს, ფერს გამოიცვლის და ხმამაღლა რიხიან ბანს დაიწყებს.

მაგრამ ყველაზე მეტად ნაკადული მე იმისთვის მიყვარს, რომ ის არის სიცოცხლის მომასწავებელი, ის არის გამაცოცხლებელი გამხმარი, შავი დედამიწის გულისა, დედამიწის ძალ-ღონისა და შიგ დამარხული სიმდიდრის ძარღვის გამხსნელი. მიყვარს იმიტომ, რომ ნაკადულს, ტკბილ მოღუღუნეს, ბრწყინვალესა და ტურფად მოკაზმულს, ძალუძს ააყვავილოს მიდამო და ბუნებას, მკვდარს და უფერულს, სული ჩაუდგას და ადამიანის საზრდოდ გადააქციოს.

## მოგონება ნიკო ლომოურის შესახებ.

ნიკო ლომოური ქართული ენის მასწავლებელი იყო. იგი გორის გიმნაზიაში იმ დროს მასწავლებლობდა, როდესაც ხელმწიფის ჯალათები სდევნიდნენ ჩვენს მშობლიურ ენას. მიუხედავად ამისა იგი გაბედულად უნერგავდა მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულს.

ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლომოურის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი საბავშვო მოთხრობები: „ალი“, „ქაჯანა“, „პაწია მეგობრები“, „ქრისტიანი ლეკები“ და სხვ. ლომოურის მოთხრობებში აღწერილია გლეხკაცების დუხჭირი ცხოვრება; მაგრამ მას სჯერა, რომ ხალხთა მიერ მოპოვებული იქნება თავისუფლება, იგი უქადის ხალხს ბედნიერებას.

ერთხელ, ნიკო ლომოურმა პირველ აპრილს საუცხოო ყდაში მოკაზმული ალექსანდრე ყაზბეგის წიგნი მომიტანა საჩუქრად; მე უცებ შევკრთი, თავი ჩავღუნე და რამდენიმე წამი უსიტყვოდ ვიდექი, მან თავზე ხელი გადამისვა და თან დასძინა:

— შენ, ალბათ, პირველი აპრილისა გეშინია, მერწმუნე, ეს წიგნი, შენთვის მოვიტანეო.

## ლიას სიმღერა.

ეს მე ვმღერი, მე მოვფრინავ,
ჩემი ფრთების შრიალია,
ვარ პატარა ოქტომბრელი
და სახელად მქვია ლია.

ვიშ, რა კარგი დილა არის,
ეს რამდენი ყვავილია!
დობილივით მიღიმიან,
მიძახიან:
— ლია, ლია!

ჩავუქროლებ ტოლებს, სწორებს,
სრულებით არ დავიღლები,
დღესასწაულს მივულოცავ
ფერად-ფერად ყვავილებით.

ვიშ, მუსიკის ხმები ისმის,
გულის ძგერა ამიჩქარა.
იცით, როგორ მიხარია,
რომ სულ მალე ვნახავ პარადს?

ეს მე ვმღერი, მე მოვფრინავ,
ფრთები ლაღად გამიშლია,
ვარ პატარა ოქტომბრელი
და სახელად მქვია ლია.



# გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები:
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?



## ძველი წისქვილი.

ჭალაში ჩადგმულო
პატარა წისქვილო,
გთხოვ ყური დამიგდო,
კარგად მომისმინო.

ალბათ ამ ამბავმა
შენ გული გატკინა,
მაგრამ კოლექტივმა
ასე დაადგინა:

დაგშალოს, რადგანაც
ძველი ხარ, პატარა,
შენ ნაცვლად გამართონ
წისქვილი — მანქანა.





**დავალება.** დაასახელეთ, რას აკეთებენ ბავშვები პირველ და მეორე სურათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგონება მოსკოვის ყრუ-მუნჯთა დასასვენებელი სახლის შესახებ.

1948 წელს მოსკოვის ყრუ-მუნჯთა ინსტიტუტის მოწაფეები ისვენებდნენ თავიანთ დასასვენებელ სახლში, სენეჟის ტბის პირზე.

ტბას წარმტაცი მიდამოები აკრავს ირგვლივ.

ტბის ნაპირას საუცხოო სილამაზის აგარაკები და დასასვენებელი სახლებია.

ერთ საღამოს განათლების სამინისტროს დასასვენებელ სახლში დაგვპატიჟეს ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულზე.

ღამის პირველი საათი იყო, როდესაც ნავით სახლში ვბრუნდებოდით. მთვარიანი, წყნარი ღამე იყო. ნავში რვა კაცი ვისხედით. უცებ ნავში წყალმა იწყო დენა, ნავი აქანავდა. ყრუ-მუნჯი ალიოშა თავისი ქუდით მოხერხებულად ღვრიდა ნავიდან წყალს. დაზიანებულ ადგილს კი, საიდანაც წყალი შემოდიოდა თავისი ტანსაცმელი ჩაჩურთა. ნავმა ქანაობა შეწყვიტა. როცა ტბის პირს მივუახლოვდით გახარებული გავიძახოდით: „გადავრჩით, გადავრჩით“.

ალიოშა გამარჯვებული, ბედნიერი თვალებით შემოგვცქეროდა.

## ენძელა და ია.

— იავ, უფრო წინად მოველ,
შენ გაქებენ, მე კი არა,
— განა ჩემზე ქებამ, დაო,
გულზე ცივად დაგიარა?

მართალია, გაზაფხულზე
ადრე მოხვალ, ადრე ქრები,
მაგიერად სუყველასთვის
მახარობლად შენა რჩები.

და თუ ჩემი ლურჯი კაბა
ვინმეს თვალში მოეწონა,
ამან როგორ დაგაფიქრა,
ამან როგორ დაგაღონა?

აილე და შენც ჩაიცვი,
არა ჰქონდეს არსად წუნი
და შენც იად გადიქცევი,
თუ მიილე ჩემი სუნი.



**ბგერა ლ და რ ხმოვანთა თავში, ბოლოში და შუაში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლარ | რალ | ალბა | არბა |
| ლორ | როლ | ალმა | არმა |
| ლურ | რულ | ალფა | არფა |
| ლერ | რელ | ალვა | არვა |
| ლირ | რილ | ალტა | არტა |

**ბგერა ლ და რ თანხმოვანთკომპლექსებში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტლა | ტრა | შლა | შრა |
| ტლო | ტრო | შლო | შრო |
| ტლუ | ტრუ | შლუ | შრუ |
| ტლე | ტრე | შლე | შრე |
| ტლი | ტრი | შლი | შრი |

## ბგერა ლ და რ წინადადებებში.

რუსთაველი უკვდავი მწერალია.
ლენინგრადი ისტორიული ქალაქია.
თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
სამგორში ახალი მშენებლობა მიმდინარეობს.
ტოროლა გარეული ფრინველია.
საბჭოთა ქარხნებში ბევრი შრომის გმირია.

## ჯეჯილი.

(შემოკლებით)

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო;
იხაროს იმის მარჯვენამ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო,
ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყერმა მოგძახოს ნანაო.

ამაღლდი, თავი დაისხი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო;
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა მოგიყვანაო.

## უსუნო ყვავილი.

ერთმა ყმაწვილმა მინდორში მშვენიერი უსუნო ყვავილი იპოვა, ძალიან მოეწონა, მოგლიჯა იგი და თავის ვარდის კონაში ჩაარჭო.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ამოაძრო კონიდან, უსუნა და იგრძნო, რომ იმ უსუნო ყვავილს ვარდის საამური სუნი ჰქონდა.

ყმაწვილი დაფიქრდა და თქვა:

— ჰო, ახლა კი მივხვდი, რატომ მირჩევს დედაჩემი კარგ ამხანაგებთან ყოფნასო!

## საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერებს.



სულით და გულით მივესალმები ნორჩ პიონერებსა და მოსწავლეებს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდამეათე წლისთავის დღეს.

ვუსურვებ პიონერებს და მოსწავლეებს ჯანმრთელობას და წარმატებებს სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში.

დაე პიონერთა ორგანიზაციამ კვლავაც აღზარდოს პიონერები და მოსწავლეები ერთგულ ლენინელებად, ჩვენი დიადი სამშობლოს თავდადებულ შვილებად.

ი. სტალინი

## კურდღლისა და მისი ბაჭიების თავგადასავალი.

(ზღაპარი)

ერთხელ მარტში დიდი ყინვები დაიჭირა. ქ. გორის ახლო მდებარე კვერნაკის მთაზე კურდღელს ხუთი ბაჭია ჰყავდა და მოულოდნელმა ყინვამ ძალიან გაუჭირვა საქმე. დედა კურდღელი ცდილობდა როგორმე გაერთო თავისი ბაჭიები: ხან ზღაპრებს ეუბნებოდა მათ, ხან უამბობდა გმირულ თავგადასავალს მკვირცხლთა და დაუძინებელთა თვისთა წინაპართა. ბაჭიები მაინც აბუზულები იყვნენ და დედის ლათაიები მათ ვერ ათბობდა.

ერთხელ დედა კურდღელი ჯაგიდან გამოხტა, თან მას ბაჭიებიც გამოჰყვნენ. კურდღელმა სერიდან დაინახა ორმოცი ვერსის მანძილზე ციციაანთ ტყეში ცეცხლი, ჩამოცუცქდა უკანა ფეხებ-

ზე და წინა თათები მიუფიცხა ცეცხლს და დაუწყო თათებს ტრიალი. ბაჭიებმა ჰკითხეს:

— დედილო, რასა შვრებიო?

კურდღელმა მიუგო:

— ცეცხლზედ ვითბობ ხელებსო.

ერთმა ეშმაკმა ბაჭიამ, რომელიც დედასავით ჩაცუცქული იყო, მარჯვენა ფაცი ჩამოიკრა თვალთან.

დედამ ჰკითხა:

— შვილო, რა იყოო?

კუდიანმა ბაჭიამ უპასუხა:

— ცეცხლის ნაპერწკალი თვალში მეცაო!

## „წინაპართა ნაკვალევი“.

(ნაწყვეტი)

ჩვენს სამშობლოს — საბჭოთა საქართველოს დიდი ისტორიული წარსული აქვს. ჩვენი წინაპრები ხეთურ-იბერული ტომები იყვნენ. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით საკაცობრიო კულტურის განვითარებაში. პირველად ამ ტომებმა ისწავლეს ლითონის გამოდნობა, შექმნეს დამწერლობა, განავითარეს მიწათმოქმედება, საფუძველი ჩაუყარეს საქალაქო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას...

არქეოლოგებმა, რომელნიც პარტიისა და მთავრობის დიდი ყურადღებით სარგებლობენ, დიდძალი ძეგლები შეისწავლეს, მათ შეძლეს მშობლიური ისტორიის ბევრი დაკარგული ფურცლის აღდგენა. ბუნებრივია, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეკიდება კაცობრიობის კულტურის შორეული წარსულის შესწავლას.



# რაიმონდა დიენი.

მშვიდობა! — ღრმად ჩაუკვირდით, ბავშვებო, ამ სიტყვას.

მშვიდობა! — ეს ნორჩი თაობის ბედნიერებაა, ქალაქების ხელშეუხლებლობაა, სკოლებისა და თეატრების, პარკებისა და კლუბების, კულტურის ძეგლების გადარჩენაა.

მშვიდობა! — ეს სწავლა და შრომაა, ეს სიცოცხლის გამარჯვებაა სიკვდილზე...

1950 წლის 29 თებერვალს საფრანგეთის პატარა ქალაქ სენპიერ დე კორში შემოვიდა სამხედრო ეშელონი, რომელიც დატვირთული იყო ვიეტნამში გასაგზავნი ტანკებით. რაიმონდა დიენი გაწვა რკინიგზის ლიანდაგზე, პროტესტის ნიშნად ასწია ხელი და გზა გადაუღობა ეშელონს.

# დავით გურამიშვილი.

(ნაწყვეტი)

აქ, ამ მიწაზე დალია
სიცოცხლე შავი დღიანი,
ვინც გვიანდერძა სამკვიდროდ
უკვდავი „დავითიანი“,
გულის ჩირაღდნით გზა განვლო
ავდრიან-ამინდიანი.
საქართველოზე მღეროდა,
ცეცხლს უკიდებდა იარა,
როს ტყვეობიდან გაიქცა, —
მშიერ-მწყურვალმა იარა,
ის რუსმა გლეხმა დაიხსნა,
რუსეთის მეფემ კი არა,
ჩვენი ძმობა და კავშირი
მტკიცეა სალი კლდესავით,
მას ვერ გაარღვევს ვერაგი
მტრობის და შუღლის მთესავი,
ხალხთა დიდ ოჯახს მიუძღვის
სტალინის დროშა მზესავით.

# ჰ Ე Ს Ი.

ღამე ჩაწვება ხევებში კვნესით,
რუხი მანდილით გორებს შემოსავს,
სოფელში ველარ ბედავს შემოსვლას,
რაც ააშენეს არაგვზე ჰესი.

სხივი დაღვრილა ოქროს ფერებად,
სახლს მისცემია სულ სხვა იერი,
დედა ილიჩის მზეს ეფერება, —
ალერსიანი და ბედნიერი.

ჰაღარა მამა კითხულობს გაზეთს,
გულით ადიდებს სტალინის ამაგს.
მშვიდობის გზაზე, სიცოცხლის გზაზე
სოფელი მუდამ მიჰყვება ქალაქს,



# მაიმუნი და სარკე.

(იგავ-არაკი)

მაიმუნმა თავის თავი
სარკეში რომ დაინახა
დაპრანჭული, დაჯღანული,
დათვს წასტორა, მიაძახა:
. . . . . . . . . . . .
— მოდი, ერთი, ჩაიხედე,
რა გიჩვენო, დათუჩაო!
ვინ არის და სად მოსულა
ეს მახინჯი და ტუჩაო?
მე რომ ვიყო მაგისთანა,
დავმალავდი სწორედ თავსო,
თუმცა ჩვენშიც-კი ბევრია,
რომ სრულებით მაგას ჰგავსო!
. . . . . . . . . . . . . . .
დათვმა უთხრა: — ჩემო დაო!
რად უთითებ, ტყვილა სხვებსო?
შენს თავზე რომ დაიხედო,
მე ვგონებ, ის აჯობებსო.

# ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში.

1951 წლის 27 მაისს გაიხსნა დიდი ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

ამ სახლში წერდა დიდი ილია თავის უკვდავ ნაწარმოებებს.

ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშობლიური ხალხისათვის თავდადებულ სამსახურს.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მოწიწებით მოუყარა თავი ილიას ნაქონ მრავალ ნივთს: აღდგენილია ილიას სამუშაო ოთახი, იქ დგას საწერი მაგიდა, რომელთანაც ღამეებს ათენებდა დიდი ილია. იქვეა კარადა ილიას საყვარელი წიგნებით, ტახტი და სავარძელი, რომელშიც ისვენებდა მუშაობით დაღლილი პოეტი; ყოველი ნივთი დევს ისე, როგორც განსვენებულ პოეტს დარჩა.

27 მაისი ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა. ამ დღეს მრავალმა ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი საგურამოში დიდი პოეტის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნა კიდევ ერთი გამოხატულებაა იმ დიდი ამაგისა და ზრუნვისა, რომელსაც იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა ქართული კულტურისადმი.





რას ეუბნება შოთა დიდედას?



რატომ ტირის ნანა?



სურ. 31. ზონდი გ, ქ, კ, ხ, ღ, ყ, ჰ-ს გამოსასწორებლად.

## უკანაენასასისმიერი ბგერების — გ, ქ, კ, ხ, ღ — დაყენება.




სურ. 32. ბგერა გ-ს არტიკულაციის პროფილი.

**გ** უკანაენასასისმიერი ხშული-მჟღერი ბგერაა.

**გ**-ს დაყენება წარმოებს თავისი ჰეტეროორგანული ბგერა **დ**-ს დახმარებით. თითით, ზონდით ან შპატელით ვაწვებით რა ენის წინა ნაწილს, ვათქმევინებთ **დ**-ს. წარმოთქმისას ისმის გაურკვეველი ბგერა, რომელიც წააგავს ოდნავ **დ**-საც და **გ**-საც. ასეთ მდგომარეობაში ვავარჯიშებთ რამდენიმე ხანს, შემდეგ თითს გადავწევთ უკან და ხელახლად ვათქმევინებთ ბგერა **დ**-ს, ისმის სუსტი, დარბილებული ბგერა **გ**. ასეთ მდგომარეობაში გრძელდება ვარჯიში. ბოლოს თითი გადაიწევა კიდევ უფრო უკან და ვარჯიშის ამ მესამე საფეხურზე ვათქმევინებთ **დ**-ს, ისმის ბგერა **გ**.

**გ**-ს გაფორმება ისეთივე წესით მიმდინარეობს, როგორც ქ და კ-ს (იხ. სურ. 36 და 38). **გ**-ს არტიკულაციის ჩამაგრება ხდება მარცვლებში (გა გო გუ გე გი... აგ ოგ...), სიტყვის თავში (გული, გალია, გემი), შუაში (ლაგამი, დაზგა), ბოლოში და თანხმოვანთკომპლექსებში.




სურ. 33. ბგერა გ-ს დაყენების სამი საფეხური.

**დაყენების მეთოდიკა:**

1. ზონდით, შპატელით ან თავისივე თითით ოდნავ ვაწვებით ენის წინა ნაწილს და ვათქმევინებთ **დ**-ს. ისმის დარბილებული **დ**.

2. ზონდს გადავწევთ უკან და ხელახლა წარმოვათქმევინებთ ბგერა **დ**-ს, ისმის სუსტი, დარბილებული **გ**.

3. ზონდი კიდევ მეტად გადაიწევა უკან რბილი სასისაკენ, ვათქმევინებთ დ-ს, ისმის ბგერა **გ**.

ფონემატური სმენის აღზრდის მიზნით ბგერა **გ**-ს არტიკულაციას განვამტკიცებთ ხმოვანთა და თანხმოვანთა სხვადასხვა პოზიციებში (იხ. სურ. 22).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბგერა [გ]

## ბგერა [გ] მარცვლის თავში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გა | გო | გო | გა | გუ | გა | გე | გა | გი | გა |
| გა | გუ | გო | გუ | გუ | გო | გე | გო | გი | გო |
| გა | გე | გო | გე | გუ | გე | გე | გუ | გი | გუ |
| გა | გი | გო | გი | გუ | გი | გე | გი | გი | გე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გა | გო | გა | გო | გუ |
| გო | გუ | გო | გუ | გე |
| გუ | გე | გუ | გე | გი |
| გე | გი | გე | გი | გა |
| გი | გა | გი | გა | გო |

## ბგერა [გ] ხმოვანთა შორის.

| | | |
|---|---|---|
| აგა | აგო | აგუ |
| აგო | აგუ | აგე |
| აგუ | აგე | აგი |
| აგე | აგი | აგო |
| აგი | აგა | აგა |

## ვარჯიში მახვილზე.

| | | |
|---|---|---|
| გაგა́ | გაგა́ | გაგა́ |
| გოგო́ | გოგო́ | გოგო́ |
| გუგუ́ | გუგუ́ | გუგუ́ |
| გეგე́ | გეგე́ | გეგე́ |
| გიგი́ | გიგი́ | გიგი́ |
| გაგაგა́ | გაგაგა́ | გაგაგა́ |

გოგოგო́ გოგოგო́ გოგოგო́
გუგუგუ́ გუგუგუ́ გუგუგუ́
გეგეგე́ გეგეგე́ გეგეგე́
გიგიგი́ გიგიგი́ გიგიგი́

**ბგერა გ მოძიჯნავე სიტყვებში.**

გრძელი დაზგა.
გუგული გალიაშია.
გემრიელი გოგრა.
გეოგრაფიის წიგნი.
საგაზეთო ლოზუნგი.
გალესილი დანა-ჩანგალი.
გვირილას თაიგული.
გუგულის გალობა.
გონიერი გოგონა.
გულწრფელი გულნარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დავალება.** დაასახელეთ ეს საგნები.

**გამოიცანით, რა არის:**

— „ქაფე!" „ქაფე!"-ს გაიძახის
გაზაფხულზე ერთი ჩიტი, —
უვნებელი ფრინველია,
როგორც მტრედი, როგორც გვრიტი.

## ბგერა | გ | თანხმოვანთკომპლექსებში.

აგვა   აგდა   აგზა   აგყა   ანგა
აგფა   აგთა   აგლა   აგრა   ამგზა

## ბგერა | გ | სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| გალია | ნამგალი | დაზგა |
| გაზი | გლეხი | საზოგადოება |
| გოგო | მგელი | ლოზუნგი |
| გოჭი | გვარი | ჯგუფი |
| გუთანი | ამხანაგი | წიგნი |
| გული | საგანი | გვირილა |
| გუნდი | ლაგამი | გრიგალი |
| გემი | გოგრა | დურგალი |
| მაგიდა | შემოდგომა | მარგალიტი |
| აგარაკი | საგზური | უზანგი |
| ლოგინი | გზა | გუმბათი |
| გუბე | ჩონგური | ფარდაგი |
| გუგული | მეგობარი | ხაფანგი |




სურ. 18. ბგერა ქ*-ს დაყენების სამი საფეხური.

ბგერა ქ ფშვინვიერია. ამ ბგერის დაყენება ხდება ბგერა თ-ს საფუძველზე (თავისი ჰეტერორგანული ბგერით). თითით, ზონდით ან შპატელით ვაწვებით ენის წინა ნაწილს, ვათქმევინებთ თ-ს. წარმოთქმის მომენტში ისმის გაურკვეველი ბგერა (თ-ს და ქ-ს შორის გარდამავალი ბგერა). რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ თითი გადაიწევა უკან, რბილი სასის მიმართულებით, აქაც ხელახლა

* ბგერა ქ გ-ს მსგავსად უკანაენისმიერია.

ვათქმევინებთ თ-ს, ისმის სუსტი ქ' (მძიმე ნიშნავს ქ'-ს დიფუზურობას). ასეთ ქ'-ზე ვარჯიში წარმოებს რამდენიმე ხანს (გააჩნია ობიექტის დამყოლობა). ბოლოს, ე. ი. ქ-ს დაყენების მესამე საფეხურის მომენტში თითი უნდა გადაიწიოს კიდევ უკან (თითის დაწოლის ძალა სამივე საფეხურზე თანაბარია), აქაც ვათქმევინებთ ბგერა თ-ს, ისმის ქ. ქ-ს გაფორმების მიზნით ვარჯიში წარმოებს პირველად ხმოვნებთან: 1. ქა, ქო, ქუ... აქ, ოქ, უქ. 2. ხმოვანთა შორის აქა, ოქო,..; 3. სხვადასხვა თანხმოვნებთან ცალმხრივ მეზობლობისას: რქა, ქვა.... 4. თანხმოვანთკომპლექსიან სიტყვებში: ქვეშქვეშა.



სურ. 35. ბგერა ქ-ს არტიკულაცია გარედან.

## ბგერა | ქ | მარცვლის თავში.

ქა ქო ქუ

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქა | ქო | ქო | ქა | ქუ | ქა | ქე | ქო | ქი | ქა |
| ქა | ქუ | ქო | ქუ | ქუ | ქო | ქე | ქუ | ქი | ქო |
| ქა | ქუ | ქო | ქე | ქუ | ქე | ქე | ქე | ქი | ქუ |
| ქა | ქი | ქო | ქი | ქუ | ქი | ქე | ქი | ქი | ქე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქა | ქო | ქა | ქო | ქუ |
| ქო | ქუ | ქო | ქუ | ქე |
| ქუ | ქე | ქუ | ქე | ქი |
| ქე | ქი | ქე | ქი | ქა |
| ქი | ქა | ქი | ქა | ქო |

## ბგერა | ქ | ხმოვანთა შორის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აქა | ოქა | უქა | ექა | იქა |
| ოქა | უქა | ექა | იქა | ოქა |
| უქა | ექა | იქა | აქა | უქა |
| ექა | იქა | აქა | ოქა | აქა |
| იქა | აქა | ოქა | უქა | ექა |

## ბგერა | ქ | თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფქა | მქა | ნქა | რქა | შქა |
| ფქო | მქო | ნქო | რქო | შქო |
| ფქუ | მქუ | ნქუ | რქუ | შქუ |
| ფქე | მქე | ნქე | რქე | შქე |
| ფქი | მქი | ნქი | რქი | შქი |

| | | |
|---|---|---|
| ქვა | ქლა | რქვა |
| ქვო | ქლო | რქვო |
| ქვუ | ქლუ | რქვუ |
| ქვე | ქლე | რქვე |
| ქვი | ქლი | რქვი |

### ვარჯიში მახვილზე.

| | | |
|---|---|---|
| ქაქა' | ქაქა' | ქაქა'... |
| ქოქო' | ქოქო' | ქოქო'.... |
| ქუქუ' | ქუქუ' | ქუქუ'.... |
| ქექე' | ქექე' | ქექე'... |
| ქიქი' | ქიქი' | ქიქი'.... |

## ბგერა | ქ | სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| ქალი | ქამარი | მანქანა |
| ქუდი | ქოთანი | კარაქი |
| ქონი | ქართლი | რქა |
| ქორი | ქუსლი | სარქველი |
| ქერი | ქულაჯა | ქვეყანა |
| ქეჩო | ქინძი | ლაშქარი |
| ქილა | ქალაქი | ქაფქირა |
| ქისა | შაქარი | ბოქლომი |
| ქირა | ექიმი | ქარბუქი |

## ბგერა | ქ | წინადადებებში.

საქართველოს დედაქალაქი თბილისია.
ქორმა ქათამი მოიტაცა.
ქურდმა ბოქლომი გატეხა.
ქონდრის ქალს ქოლგა აქვს.
ვიქტორს ქარმა ქუდი მოსტაცა.
ქეთო საფეიქრო ქარხანაში მუშაობს.





აღწერეთ სურათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა




სურ. 36. ბგერა კ-ს არტიკულაციის პროფილი.

ბგერა კ უკანაენასასისმიერი აბრუპტივია.

**ბიომექანიკა:** 1. ტუჩებისა და კბილების არტიკულაცია ეგუება მომდევნო ხმოვნებს (კა, კო, კუ, კე, კი).

2. ენისწვერი უახლოვდება ქვედა კბილებს.

3. ენის ზურგი ამოზნექილია და ეხება სასას, ან რბილ სასას (კ-ს არტიკულაცია დამოკიდებულია ხმოვან ბგერებზე)*.

4. რბილი სასა აწეულია.

5. სახმო სიმები დახშულია, ჰაერნაკადი არ ამოდის ფილტვებიდან, გამოყენებულია პირის ღრუში შერჩენილი ჰაერნაკადის მარაგი.

(კ-ს არტიკულაციის გაფორმება იხ. სურ. 37).



სურ. 37. ბგერა კ-ს დაყენების სამი საფეხური.

---

*). იხ. პროფ. თ. ა. რ ა უ—Методика обучения глухонемых произношению, გვ. 125, 126. 1948 г.

კ ყელხშული ბგერაა, მისი დაყენება ხდება აბრუპტივი ბგერა ტ-ს დახმარებით. თითით, ზონდით, ან შპატელით შევეხებით ენის წინა ნაწილს და ვათქმევინებთ ბგერა ტ-ს ან ტა-ს, ისმის დარბილებული ტ' ან ტ'ა (მძიმე ნიშნავს ტ-ს დარბილებას), რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ (დაახლოებით 5-6-ჯერ) თითს გადავწევთ უკან და ვათქმევინებთ იგივე ტ-ს ან ტა-ს, ისმის დარბილებული კ' ან კ'ა, ასეთი ვარჯიში მიმდინარეობს დაახლოებით 4-5-ჯერ. ბოლოს თითს კიდევ მეტად გადავწევთ უკან და ვათქმევინებთ ისევ ტ-ს ან ტა-ს, ისმის ბგერა კ, რომლის საბოლოო გაფორმება მიმდინარეობს ხმოვან ბგერებთან (კა, კო, კუ...), შემდეგ ვავარჯიშებთ სიტყვის თავში და შუაში (კალამი, კოკა...), თანხმოვნებთან მეზობლობისას (სკამი, სარკე,...) თანხმოვანთკომპლექსიან სიტყვებში (ვარსკვლავი, მკვეხარა). ბოლოს ბგერა კ იხმარება შესიტყვებებში.

# ბგერა | კ |

## ბგერა | კ | მარცვლის თავში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კა | კო | კო | კა | კუ | კა | კე | კა | კი | კა |
| კა | კუ | კო | კუ | კუ | კო | კე | კო | კი | კო |
| კა | კე | კო | კე | კუ | კე | კე | კუ | კი | კუ |
| კა | კი | კო | კი | კუ | კი | კე | კი | კი | კი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კა | კო | კა | კო | კუ |
| კო | კუ | კო | კუ | კე |
| კუ | კე | კუ | კე | კი |
| კე | კი | კე | კი | კა |

## ბგერა | კ | ხმოვანთა შორის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკა | ოკო | უკუ | ეკე | იკი |
| აკო | ოკა | უკა | ეკა | იკა |
| აკუ | ოკუ | უკო | ეკო | იკო |
| აკე | ოკე | უკე | ეკუ | იკუ |
| აკი | ოკი | უკი | ეკი | იკე |

## ბგერა | კ | თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| აკმა | ამკა | აკშა | აშკა |
| აკბა | აბკა | აკჭა | აჭკა |
| აკვა | ავკა | აკლდა | აკრა |
| აკსა | ასკა | ამკვრა | არკვა |
| აკტა | ატკა | | |
| აკლა | ალკა | | |
| აკრა | არკა | | |

## ბგერა [ კ ] სიტყვებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| კატა | კოკა | კოტე | კლიტე |
| კაცი | კოოპერატივი | კიბო | ბოლშევიკი |
| კალამი | კოკორი | კიბე | მარკა |
| კაბა | კომში | კიტრი | კლასი |
| კარტოფილი | თოკი | კისერი | სკამი |
| კომუნა | სოკო | კევი | ვარსკვლავი |
| კაკალი | კუნძი | კეტი | ტანკი |
| კოლმეურნე | კულაკი | ლოკოკინა | მოსკოვი |

## ბგერა [ კ ] მარცვლის ბოლოში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკ | ოკ | აკ | ოკ | უკ |
| ოკ | უკ | ოკ | უკ | ეკ |
| უკ | ეკ | უკ | ეკ | იკ |
| ეკ | იკ | ეკ | იკ | აკ |
| იკ | აკ | იკ | აკ | ოკ |

## ბგერა [ კ ] ხმოვანთა თავში და ბოლოში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კაკ | კოკ | კუკ | კეკ | კიკ |
| კოკ | კუკ | კეკ | კიკ | კოკ |
| კუკ | კეკ | კიკ | კოკ | კუკ |
| კეკ | კიკ | კაკ | კუკ | კეკ |
| კიკ | კაკ | კოკ | კაკ | კაკ |

## ვარჯიში მახვილზე.

| | | | |
|---|---|---|---|
| კოკო́ | კოკო́ | კოკოკო́ | კაკაკაკა́ |
| კუკუ́ | კუკუ́ | კუკუკუ́ | კოკოკოკო́ |
| კეკე́ | კეკე́ | კეკეკე́ | კეკეკეკე́ |
| კიკი́ | კიკი́ | კიკიკი́ | კიკიკიკი́ |



## მეტროპოლიტენი.

მოსკოვში მიწის ქვეშ აშენებულია რკინიგზა: მას ჰქვია მეტროპოლიტენი.

ერთ დღეს ჩვენ წავედით მეტროს სანახავად. მეტროს სადგურები დიდი, ლამაზი და სინათლიანია. ჩვენ შევედით მეტროში, გრძელი კიბეები მიიმართება ქვემოთ, მიწის ქვეშ. მეტროს კიბეები თავისთავად მოძრაობენ. შევდექით კიბეზე და შეიძლება ითქვას თვალის დახამხამებაში ჩავედით ქვემოთ. აქვე ჩვენ გვერდით მგზავრებით სავსე მეორე კიბე მიიმართებოდა ზემოთ.

სადგურის კედლები თეთრი მარმარილოს ქვებით არის მოპირკეთებული და შუქზე ისე ბრწყინავს, როგორც ბრილიანტი.

ბაქანთან გაჩერდა მატარებელი. ვაგონების ყველა კარი თავისით გაიღო. მგზავრები გადმოვიდნენ. სადგურის მორიგემ ნიშანი მისცა. მზად არის! — უპასუხა მატარებლის უფროსმა. ყველა კარი სწრაფად დაიხურა. მატარებელი გასრიალდა მიწისქვეშა გვირაბში. ჩვენ ვისხედით ვაგონში ხავერდის რბილ სავარძელში. ჩვენ ზემოთ ქუჩებია, დადიან ავტობუსები, ტრამვაები. აი ჩვენი სადგურიც. მატარებელი გაჩერდა, ჩვენ გადმოვედით მატარებლიდან და კიბის საშუალებით ამოვედით ზემოთ.

**დავალება.** დაუმატეთ შესაფერისი სიტყვები.

სარეცხი ფენია . . . . . . . . . . . . .
ბავშვებმა ტყიდან მოიტანეს ერთი კალათა . . . . .
კარები . . . . . . კლიტით
ვალიკომ . . . . . . . პირი დაიწვა.
ნიკომ კაკლის ტოტიდან გააკეთა . . . . .

**დასამატებელი სიტყვები:**
კავი, წიწაკით, დაკეტეს, თოკზე, სოკო.

**სავარჯიშო:** 1. ჰიკ'. ჰიკ'. ჰიკ'. ჰიკ'.
ასე ჰიკჰიკობენ კუდრაჭა მერცხლები.
2. კაკ'. კაკ'. კაკ'. კაკ'.
ასე აკაკუნებს ხეკაკუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

















**დავალება.** დაასახელეთ ეს საგნები.

**გამოიცანით, რა არის:**

გარეული ცხოველია,
მაღლა ყურებაცქვეტილი,
მეტისმეტი მშიშარაა,
თვალხილულა იცის ძილი.

## ბგერა კ მომიჯნავე სიტყვებში.

საკლასო პლაკატები. საფაბრიკო სკოლა.
რკინის კარები. წუწკი კატა.
კანფეტის ფაბრიკა. ჭკვიანი კაცი.
კარგი კვიცი. კოლმეურნეობის კრამიტი.

### სანიმუშო ვარჯიში.

მე კონვერტზე მარკას ვაკრავ.
ნიკომ სარკე კედელზე დაკიდა.
კეკემ კომბალით კაჭკაჭი მოკლა.
ნაზიკომ ბოლოკის კონა შეკრა.

**დავალება.** შეცვალეთ სიტყვები.

კონვერტი . . . კონვერტები
კუთხე . . . .
კლდე . . . . .
აკლდამა . . .
კვანძი . . . . .

## ბგერა გ და კ დაპირისპირება.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გა | კა | კა | გა | გა | კი | გო | კა |
| გო | კო | კო | გო | გო | კუ | გუ | კე |
| გუ | კუ | კე | გუ | გუ | კო | გე | კი |
| გე | კე | კე | გე | გე | კა | გი | კუ |
| გი | კი | კი | გი | გი | კე | გა | კო |

| | | | |
|---|---|---|---|
| აგა | აკა | აკა | აგა |
| ოგო | ოკო | ოკო | ოგო |
| უგუ | უკუ | უკუ | უგუ |
| ეგე | ეკე | ეკე | ეგე |
| იგი | იკი | იკი | იგი |

## ბგერა გ და კ თანხმოვანთკომპლექსებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| აგზა | აკტა | აგლა | აკლა |
| აგდა | აკმა | აგრა | აკრა |
| აგვა | აკვა | აგმა | აკმა |

## ბგერა [გ] და [კ] თანხმოვნებთან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გაკ | გატ | კაკ | კაწ | კოს | კეკ |
| გას | გაშ | კაპ | კათ | კოტ | კეპ |
| გახ | გაქ | კაფ | კაჭ | კოშ | კეფ |
| გაფ | გაწ | კას | კახ | კუკ | კეტ |
| გუშ | გაჭ | კატ | კოხ | კუპ | კიტ |
| გათ | გას | კაშ | კოკ | კუტ | კის |

## ბგერა [გ] და [კ] დაპირისპირება სიტყვებში.

| | |
|---|---|
| წიგნი | კიტრი |
| გრიგალი | კოკა |
| გზა | კლასი |
| საგანი | სარკე |
| მაგიდა | კოშკი |
| გაზაფხული | მოსკოვი |
| გალია | ანკესი |
| ორაგული | საკენკი |



სურ. 38. ბგერა ღ-ს არტიკულაციის პროფილი.

**ღ** უკანაენისმიერი ნაპრალოვანი მჟღერი ბგერაა. ამ ბგერის დაყენება სამი გზით მიმდინარეობს (იხ. სურ. 34, 37). ბგერის დაყენებისათვის დამხმარე ბგერად დადგენილია **ზ**. (ღ-ს ჰეტეროორგანული ბგერა). თითის თანდათან (რბილი სასის მიმართულებით) გადაწევით სამივე მომენტში ღ-ს ნაცვლად ვათქმევინებთ **ზ**-ს. მესამე გზით ვარჯიშისას ვიღებთ ბგერა **ღ**-ს. ამის შემდეგ **ღ**-ს არტიკულაციის განმტკიცება წარმოებს მარცვლებში, თანხმოვანთკომპლექსებში, სიტყვებში, შესიტყვებებში, ლექსებში და მოთხრობებში.

# ბგერა ღ

## ბგერა ღ მარცვლის თავში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ღა | ღო | ღო | ღა | ღუ | ღა | ღე | ღა | ღი | ღა |
| ღა | ღუ | ღო | ღუ | ღუ | ღო | ღე | ღო | ღი | ღო |
| ღა | ღე | ღო | ღე | ღუ | ღე | ღე | ღუ | ღი | ღუ |
| ღა | ღი | ღო | ღი | ღუ | ღი | ღე | ღი | ღი | ღე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ღა | ღო | ღა | ღო | ღუ |
| ღო | ღუ | ღო | ღუ | ღე |
| ღუ | ღე | ღუ | ღე | ღი |
| ღე | ღი | ღე | ღი | ღა |
| ღი | ღა | ღი | ღა | ღო |

## ბგერა ღ ხმოვანთა შორის.

| | | |
|---|---|---|
| აღა | აღო | აღუ |
| აღო | აღუ | აღე |
| აღუ | აღე | აღი |
| აღე | აღი | აღო |
| აღი | აღა | აღა |

## ბგერა ღ სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| ღამე | აღმა | ღვინო |
| ღორი | აღმზრდელი | მღერა |
| ღილი | საღორე | ძღვენი |
| ღარი | საზღვარი | ღამურა |
| ღონე | დღე | ღაქო |
| ღერო | ღრუბელი | ღიღილო |
| ღუმელი | ნაღმი | ზღარბი |



**დავალება.** აღწერეთ სურათი.



სურ. 39. ბგერა **ხ**-ს არტიკულაციის პროფილი.

**ხ** უკანაენისმიერი ნაპრალოვანი თანხმოვანია.

ამ ბგერის ბიომექანიკა ბგერა **ღ**-ს ანალოგიურია, განსხვავდებიან ჟღერობის მიხედვით (**ხ** ყრუ თანხმოვანია, **ღ** — მჟღერი).

**ხ**-ს დაყენება შეიძლება მხოლოდ **ს**-ს საშუალებით, ე. ი. თავისი ჰეტეროორგანული ბგერით.

თითით ან შპატელით შევეხებით ენის წინა ნაწილს და ვათქმევინებთ **ს**-ს, ისმის რბილი გარდამავალი ბგერა **ხ**-ს და **ს**-ს შორის. შემდეგ შპატელს გადავწევთ კიდევ უკან, რბილი სასის მიმართულებით და ხელახლა ვათქმევინებთ **ს**-ს, ისმის ბგერა **ხ**. **ხ**-ს არტიკულაციის განმტკიცება წარმოებს ისეთივე სისტემით, როგორც **გ**, **ქ**, **კ**-ს (იხ. სურათები: 33, 34, 37).

# ბგერა ხ

## ბგერა ხ მარცვლის თავში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხა | ხო | ხო | ხა | ხუ | ხა | ხე | ხა | ხი | ხა |
| ხა | ხუ | ხო | ხუ | ხუ | ხო | ხე | ხო | ხი | ხო |
| ხა | ხე | ხო | ხე | ხუ | ხე | ხე | ხუ | ხი | ხუ |
| ხა | ხი | ხო | ხი | ხუ | ხი | ხე | ხი | ხი | ხე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხა | ხო | | ხა | ხო | ხუ |
| ხო | ხუ | | ხო | ხუ | ხე |
| ხუ | ხე | | ხუ | ხე | ხი |
| ხე | ხი | | ხე | ხი | ხა |
| ხი | ხა | | ხი | ხა | ხო |

## ბგერა ხ ხმოვანთა შორის.

| | | |
|---|---|---|
| ახა | ახო | ახუ |
| ახო | ახუ | ახე |
| ახუ | ახე | ახი |
| ახე | ახი | ახო |
| ახი | ახა | ახა |

## ბგერა ხ სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| ხავსი | ხვალ | ხმალი |
| ხილი | სახლი | ხვრელი |
| ხანა | ხალათი | სისხლი |
| ხელი | ხომალდი | სიხარული |
| ხასიათი | ხორცი | ხახვი |
| ხილი | სახელი | დახლი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**გამოიცანით, რა არის:**

„ხრიხრი-ხრიხრის“ გაიძახის,
არის ხე და არის რკინა,
გალესილი კბილები აქვს
ჩარაზული წინა.

## ქართული სპეციფიკური კომპლექსები.

| | | |
|---|---|---|
| ბლ | ფხ | პყ |
| დლ | თხ | ტყ |
| ძლ | ცხ | წყ |
| ჯლ | ჩხ | ჭყ |

| | | |
|---|---|---|
| დგ | თქ | ტკ |
| ძგ | ცქ | წკ |
| ჯგ | ჩქ | ჭკ |

## სპეციფიკური კომპლექსები სიტყვებში.

| ბლ | ფხ | პყ |
|---|---|---|
| ბლავილი | ფხა | დაპყრობა |
| ბლუჯა | ფხვნილი | საპყრობილე |
| ბლვერა | ფხიანი | საპყარი |
| | ფხიზელი | |
| | გაზაფხული | |

**დღ**

დღე
სადღობელი
სადღეგრძელო
კურდღელი
დღესასწაული
დღიური

**თხ**

თხა
მოთხრობა
კუთხე
სამკითხველო
თხუნელა
თხილი
საფრთხობელა

**ტყ**

ტყე
ბარტყი
ტყვია
მატყლი
სიტყვა
მეტყველება
სარტყელი
ცისარტყელა

**ძღ**

ძღვენი
წინამძღოლი
მაძღარი
ლანძღვა
ხელმძღვანელი
მძღოლი

**ცხ**

ცხოველი
ცოცხი
მერცხალი
მეცხვარე
კვერცხი
სირცხვილი

**წყ**

წყალი
მწყემსი
მარწყვი
ხელსაწყო
სარწყავი
მწყერი

**ჯღ**

მეჯღანე
ჯღანები
ბანჯღვლიანი
დაჯღაბნილი

**ჩხ**

ჩხირი
ფიჩხი
ჩხუბი
ჩურჩხელა

**ჭყ**

ჭყივილი
ჭყეტა
ჭყინტი
ბრჭყალები

**დგ**

ადგილი
შემოდგომა
სადგური
დადგენილება
სადგისი

**თქ**

თქმულება
ორთქლი
სუნთქვა
თქეში
თქარათქური
სათქმელი
განთქმული
ნათქვამი

**ტკ**

მტკვარი
ტკბილი
ბატკანი
ტკაცუნი
სატკივარი
მტკიცე
ფუტკარი

| ძგ | ცქ | წკ |
|---|---|---|
| ბიძგი<br>ძგერა<br>ძიძგი | ცქვიტი<br>ცქერა<br>ცქრიალა | მწკრივი<br>წინწკალი<br>წკრიალა<br>ნაპერწკალი |

| ჯგ | ჩქ | ჭკ |
|---|---|---|
| ჯგუფი<br>ჯიჯგვნა | ბუჩქი<br>ჩქამი<br>ჩქარა<br>ჩანჩქერი | ჭკუა<br>კაჭკაჭი<br>ჭკა<br>ჭკნობა |















დავალება. დაასახელეთ ეს სურათები.



**დავალება.** გვიპასუხეთ ვინ რას აკეთებს?





დავალება. წლის რა დროა?

## ფარინგალი ბგერის — ყ — დაყენება




სურ. 40. ბგერა ყ-ს არტიკულაციის პროფილი.

ყ ფარინგალური ყელხშული (აბრუპტივი) თანხმოვანია. იგი იწარმოება ფარინგსის უკანა კედელთან, აქ ხდება ხშვა, რის გამოც მას უწოდებენ ფარინგალურს. ხშვის მომენტში ხახის გვერდითი კედლები შეთანხმებულად მოძრაობენ ენის ძირის კუნთებთან. სკდომის მომენტში ყია დახურულია, გამოყენებულია პირის ღრუში შერჩენილი ჰაერნაკადი.

**ბიომექანიკა:** 1. ბაგეების მდგომარეობა დამოკიდებულია მომიჯნავე ხმოვნებზე.

2. კბილების გაღებულობა უდრის $1^{1}/_{2}$—2 მმ.

3. ენისწვერი იმყოფება ქვედა კბილების არეში; ენისძირი უკავშირდება ფარინგის უკანა კედელს.

4. რბილი სასა აწეულია.

5. სახმო სიმები დახშულია (დაკეტილი).

6. სკდომის მომენტში გამოყენებულია პირის ღრუში შერჩენილი ჰაერნაკადი.

**ყ-ს დაყენების მეთოდიკა.**

თითით ან ზონდით შევეხებით ენის შუა ნაწილს და ამ მომენტში ვათქმევინებთ აბრუპტივ კ-ს, ისმის დიფუზური — გაურკვეველი (კ-სა და ყ-ს შორის) გარდამავალი ბგერა; რამოდენიმე ვარჯიშის შემდეგ მივიღებთ დარბილებულ სუსტ ყ-ს, ხოლო ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მიღებული იქნება ბგერა ყ. შემდეგ ეს ბგერა განმტკიცდება სხვადასხვა სახის ხმოვანთა და თანხმოვანთა კომპლექსებში.

# ბგერა [ყ]

## ბგერა [ყ] მარცვლის თავში.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყა | ყო | ყო | ყა | ყუ | ყა | ყე | ყა | ყი | ყა |
| ყა | ყუ | ყო | ყუ | ყუ | ყო | ყე | ყო | ყი | ყო |
| ყა | ყე | ყო | ყე | ყუ | ყე | ყე | ყუ | ყი | ყუ |
| ყა | ყი | ყო | ყი | ყუ | ყი | ყე | ყი | ყი | ყე |

| | |
|---|---|
| ყა | ყო |
| ყო | ყუ |
| ყუ | ყე |
| ყე | ყი |
| ყი | ყა |

| | | |
|---|---|---|
| ყა | ყო | ყუ |
| ყო | ყუ | ყე |
| ყუ | ყე | ყი |
| ყე | ყი | ყა |
| ყი | ყა | ყო |

## ბგერა [ყ] ხმოვანთა შორის.

| | | |
|---|---|---|
| აყა | აყო | აყუ |
| აყო | აყუ | აყე |
| აყუ | აყე | აყი |
| აყე | აყი | აყო |
| აყი | აყა | აყა |

## ბგერა [ყ] სიტყვებში.

| | | |
|---|---|---|
| ყანა | ყაყაჩო | ტყე |
| ყოჩი | ყურძენი | ტყემალი |
| ყელი | ყინვა | სარტყელი |
| ყური | ყალბი | სეტყვა |
| საყურე | საყელო | საყრდენი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გამოიცანით, რა არის:**



1. ყანებსა და ველს ამშვენებს,
ხურავს ქუდი წითელი,
კაცმა ხელი თუ შეახო,
ღერო რჩება შიშველი.

2. სითბო-სინათლის წყაროა,
კაშკაშა, ცხოველმყოფელი,
ცაში თუ დედამიწაზე,
იმას შეჰხარის ყოველი.



## მოხერხებული ყვავი.

ცხელოდა. ყვავს წყალი მოსწყურდა — ცდილობდა როგორმე ყელის გასველებას. უცებ მინდორში წააწყდა წყლიან სურას, მაგრამ შიგ წყალი ნაკლულად იდგა. როგორ უნდა დაელია წყალი? შიგ ვერ ჩახტებოდა და ადგილიდანაც ვერ დასძრავდა, ვერც წააქცევდა, იმიტომ რომ სურა დიდი იყო.

დაფიქრდა ყვავი და ბოლოს ეს ხერხი მოიგონა: კენჭები მოაგროვა და ნისკარტით სურაში თითო-თითოდ ჩაყარა. წყალმა ზევით-ზევით ამოიწია და ბოლოს პირამდე ამოვიდა. ყვავმა დაიგრძელა კისერი, ჩაყო ნისკარტი სურის ყელში და წყლით გული მოიჯერა.

# ხორხისმიერი ბგერის—ჰ—დაყენება.



სურ. 41. ბგერა ჰ-ს არტიკულაციის პროფილი.

ჰ სპირანტი (ნაპრალოვანი) ბგერაა. მისი წარმოება ხორხის და პირის ღრუს არეში ხდება.

**ბიომექანიკა**: 1. ბაგეების არტიკულაცია დამოკიდებულია მომიჯნავე ბგერებზე.

2. კბილების ვერტიკალური გაღებულობა 2 მმ უდრის.

3. ენა ქვედა კბილების არეში მდებარეობს, იგი ინდიფერენტულ მდგომარეობაშია.

4. რბილი სასა აწეულია.

5. სახმო სიმები ღია არის.

6. ჰაერნაკადი დიდი სიძლიერით ეხეთქება მაგარ სასას, ისმის ჰ; ბგერა ჰ-ს ამოვარდნა და აგრეთვე უქონლობა იშვიათად გვხვდება. ბიომექანიკის დაყენებისას საკმარისია ენაჩლუნგის ყურადღების ფიქსაცია ჰაერნაკადის დენაზე (ხორხის და პირის ღრუდან ჰ-ს დაყენებისას ენაჩლუნგის გულმკერდიდან ამონავალი ჰაერნაკადის კონტროლის მიზნით ერთ ხელს ლოგოპედი ათავსებს თავის გულმკერდზე, მეორე ხელს თვით ენაჩლუნგის გულმკერდზე.

ხშირად ენაჩლუნგები შიშინა და სისინების საკომპენსაციოდ მიმართავენ ჰ-ს, რაც მიგვითითებს ბგერა ჰ-ს არტიკულაციის ბიომექანიკის სიმარტივეზე.

## „თეთრი იაშამანი".

დადგა გაზაფხული. ბავშვები სახლში აღარ ჩერდებოდნენ; მთელი დღე ეზოში და ბაღში თამაშობდნენ. საამურად ყვაოდა სურნელოვანი ბუჩქნარი და არე-მარეს ამკობდა წარმტაცი სილამაზით.

მოუსვენარი ნათელა აქეთ-იქით დასტრიალებდა ცისარტყელასავით ჭრელ მრავალფეროვან პეპლებს და ხან ერთი, ხან მეორე ხის ქვეშ ამოჰყოფდა თავს. უცებ ნათელას ყურადღება მიიპყრო თეთრად გადაპენტილმა იასამანმა. თვალის დახამხამების სისწრაფით მიირბინა მან დედასთან და შეეხვეწა: „დედიკო, მომიწყვიტე თეთლი იაშამანი". დედამ ალერსით უთხრა: „შვილო, თქვი წესიერად—თეთრი იასამანი—და მაშინ მოგიწყვეტო". ნათელა ჩაფიქრა დედის სიტყვებმა, რამდენიმე წუთის შემდეგ შემოეხვია ყელზე და უთხრა: „დედიკო, მასწავლე, როგორ უნდა ვთქვა. იცი დედიკო, მასწავლებელმაც მითხრა, თუ სწორად არ ილაპარაკებ, ნიშანს დაგიკლებო". დედა შეაწუხა ნათელას სიტყვებმა და შეპირდა, რომ ნახავდა მასწავლებელს, რომელიც მას დაარიგებდა, თუ როგორ უნდა შეესწავლებინა ბავშვისათვის ამ სიტყვების სწორი გამოთქმა.



მეორე დღეს ნათელას დედა მასწავლებელ ნინოსთან მივიდა. „ძვირფასო მასწავლებელო! — მიმართა ნათელას დედამ, — ერთი სათხოვარი მაქვს — მასწავლეთ, გეთაყვა, როგორ გავუსწორო ჩემს გოგონას მეტყველება." მასწავლებელს ძალიან ესიამოვნა ნათელას დედის ასეთი მზრუნველობა და რჩევა-დარიგება მისცა ამ ნაკლის აცილებისათვის.

ერთი თვის შემდეგ ნათელა მშვენივრად გამოთქვამდა ფრაზას — „თეთრი იასამანი".

მასწავლებელმა შეაქო და უთხრა: „ახლა უფრო კარგად ისწავლი". ნათელას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

## ანბანთ სიმღერა.

არჩილს ხედავთ, რა ბიჭია,
ავტო მიჰყავს გამალებით,
შოფერია სანაქებო,
მიჰქრის ქარხნის დავალებით.

ბონდო ბოსტანს ბარავს მკვირცხლად,
აყრის სასუქს, ნაცარს, ტუტას.
ყველა იცნობს ამ მხარეში
ბონდოს ბოსტანს ნასათუთარს.

გივი გემზე ბოცმანია,
გმირია და უშიშარი,
არ გაუშვა მტერი, ვისაც
ჰქონდა ზრახვა გულში შავი.

დათა მასწავლებელია
და ბავშვების ახლობელი,
იგი ჩვენი აღმზრდელია
და ვართ მისი მადლობელი.

ეთერი კი ექიმია,
თავი გტკივა? ახლავ მოვა,
ავადმყოფთან არის მუდამ,
დილაა თუ საღამოა.

ვახტანგს იცნობთ? პოეტია,
ლექსებს გვიწერს და გვახარებს,
აბა როგორ შეიძლება
არ უყვარდეს ის პატარებს.

ზაზა აგრონომი არის,
დახმარებას გვიწევს მრავალს,
მიტომ იხვეჭს კოლმეურნე
დოვლათსა და უხვ მოსავალს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა კარგი მკერავია,
რა მტკიცება უნდა ამას,
შარვლებს, კაბებს და ხალათებს,
ის გვიკერავს ლამაზ-ლამაზს.

ილია ხომ ხიდს აშენებს,
ინჟინერი გახლავთ იგი,
გამძლე არის მისი ხიდი,
მასზე ქება ისმის ირგვლივ.

კოტე კერავს ფეხსაცმელებს,
შეუკვეთეთ ფეხსაცმელი,
თქვენ წითელი ხალათი გაქვთ,
შეურჩიეთ ფერსაც ფერი.

ლიანას ხომ იცნობთ ყველა,
საბავშვო სახლს რომ განაგებს,
გულით უყვართ აღსაზრდელებს,
ჩვენს პატარა ამხანაგებს.

მარინესაც გაიცნობდით,
მხატვარია იგი კარგი,
ყველას ატკბობს, ყველას ჰხიბლავს,
ნახატით და მონაქარგით.

ნინო მერგოლური არის,
საქები და გასაკვირი,
ჩაის უხვი მოსავლისთვის
ნინო გახდა შრომის გმირი.

ოთარი ფოტოგრაფია,
გისახსოვრებთ ფოტოსურათს,
დახეთ, გორის არე-მარე,
რა ლამაზად გამოსულა!

პეტრე კალატოზი არის,
ახალ სახლებს ააშენებს,
და ჩვენს ქალაქს ეს ოსტატი,
კიდევ უფრო დაამშვენებს.

ჭუჭუნა ვეტექიმია,
ანუ საქონლის მკურნალი,
ისე ყოჩაღად მუშაობს,
არ არის დასაწუნარი.

ხავლე არის ბუღალტერი,
დინჯი, მშვიდი, საქმიანი,
უყვარს ზუსტი ანგარიში,
ანგარიში კარგი არის.

ტარიელი ასე ამბობს,
სეირნობა ხომ გიყვართო,
წამობრძანდით, ჩემი ეტლით
ქალაქგარეთ წაგიყვანთო.

უშანგი კი სტამბაშია,
წიგნს გვიბეჭდავს სასოებით,
ცდილობს კარგად გამოვიდეს
სურათი და ასოები.

ფიქრია მორბენალია,
კოხტა ქალია ფიქრია,
ისე მირბის და იჩქარის,
თითქოს ხეებიც მიქრიან.

ქეთინო კონდუქტორია
დინჯი და სიტყვალამაზი;
— გთხოვთ შეიძინოთ ბილეთი, —
მგზავრებს მიმართავს თავაზით.

ლუტუ კარგი დურგალია,
ასრიალებს შალაშინებს,
სულ მუშაობს, საქმიანობს,
დაღლილობა არ აშინებს.

ჭარამანი ტყეში მიდის
მონადირე არის იგი,
გუშინ შველზე ინადირა,
დღეს ირემზე მიდგა რიგი.

ზოთა გახლავთ მემანქანე
მიაქანებს ორთქლმავალსა,
ყველას მოსწონს, ყველა აქებს
მის ჭკუას და მახვილ თვალსა.

ჩიტო მსახიობი არის,
თქმაც არ უნდა, იცნობთ ყველა,
თოჯინებს რომ წარმოგვიდგენს
მრავალგვარად, მრავალფერად.

ცაცა ცაზე ვარსკვლავს უმზერს,
ცაცა მეცნიერი არის,
სურს გაიგოს ვარსკვლავების
საიდუმლო ყოველგვარი.

ძაძუ ძროხებს უვლის კარგად,
ფერმის გამგე არის იგი.
დროზე იცის ძროხის მოვლა,
სისუფთავე, თადარიგი.

წაბლა კამეჩს რომ მიჰყვება,
მწყემსი ბიჭი თედო გახლავთ,
სალამურსაც კარგად უკრავს,
გესმით, როგორ მღერის ახლა?

ჭოლას ხედავთ? — მოლარეა,
ამბობს: — წასვლა აბა სად გსურთ?
წყალტუბოში თუ ბორჯომში? —
ჩამოგითვლით ყველა სადგურს.

ხათუნა კი საქმიანად
ბაზრისაკენ მიიჩქარის,
განთქმულია მისი კერძი,
მზარეული არის ქალი.

ჯონდო გახლავთ ფეხბურთელი,
ნაწრთობი აქვს ყველა კუნთი,
უსათუოდ ბადეშია
ჯონდოს გასროლილი ბურთი.

მე, ბავშვებო, მოგიყვებით,
როგორ შრომობს ჩვენში ყველა,
ზოგი ხატავს, ზოგი ბარავს,
ხნავს, აშენებს, მკის და კერავს.

თქვენც გულდასმით იმუშავეთ,
შრომის დროა, სწავლის დროა,
ყველა საქმე კარგი არის,
რაც ქვეყნისთვის საჭიროა.

# სარჩევი


წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . . . . . . . . 3


## ნაწილი I


1. სისინა ბგერების — ს, ზ, ც, წ, ძ — დაყენება . . . . . 4
2. სისინები (ს, ზ, ც, ძ, წ) . . . . . . . . . . 11
3. ბზრიალა — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . . . 23
4. გაზაფხული — ლექსი ანასტ. კაიშაურისა . . . . . . 23
5. სალამური — მოთხრობა „ „ . . . . . . 25
6. მიიპარება ზამთარი — ლექსი . . . . . . . . . . 37
7. ვასოს სკოლა — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . . . 39
8. ციალა და დედა — მოთხრობა „ „ . . . . . . 40
9. გმირი პიონერი პავლიკ მოროზოვი — მოთხრობა . . . . 47
10. ენძელა — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . . . . . 48
11. ბიძინას ძროხა — მოთხრობა „ „ . . . . . . 49
12. ვაზი — მოთხრობა „ „ . . . . . . 50
13. სიკო და სესე — მოთხრობა „ „ . . . . . . 50
14. ბიძინა და ციცო — მოთხ. „ „ . . . . . . 51


## ნაწილი II


15. შიშინა ბგერების — შ, ჟ, ჩ, ჭ, ჯ — დაყენება . . . . . 52
16. სოფელში — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . . . . 57
17. ვაშლი და შაქარა — ლექსი ი. გოგებაშვილისა . . . . . 58
18. უწესრიგობამ ასე იცის — მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . 59
19. წერტილი — მოთხ. ანასტ. კაიშაურისა . . . . . . . 59
20. შენი სამუშაო სკოლაშია — მოთხრობა . . . . . . . 64
21. დიდება ბელადს! — ლექსი ი. მოსაშვილისა . . . . . . 65
22. ნასწავლი შოშია — მოთხრობა რუსულიდან . . . . . . 65
23. ბეჟიკო და ჟუჟუნა — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . 69
24. ვაჟას ჟინი — ლექსი ანასტ. კაიშაურისა . . . . . . 69
25. ვაჟას შემოაღამდა — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . . 70
26. ჭიანჭველები — მოთხრობა რუსულიდან . . . . . . . 77
27. ხალხური — ლექსი . . . . . . . . . . . . . 79
28. ორი სახნისი — მოთხრობა ი. გოგებაშვილისა . . . . . 79
29. პატარა სოსოს სიზმარი (ნაწყვეტი) — მოთხ. გ. ქუჩიშვილისა 80
30. ყაყაჩო — ლექსი . . . . . . . . . . . . . . 85
31. ბუდის ჩადგმა — ხალხური . . . . . . . . . . . 85
32. სიმღერა რუსთავზე — ლექსი კ. ბობოხიძისა . . . . . . 86
33. ნუ გეშინია — ლექსი . . . . . . . . . . . . . 86

34. ალექსი სტახანოვს — ხალხური . . . . . . . . . 87
35. ვანო და ქვევრი — მოთხრობა ი. გოგებაშვილისა . . . 87
36. ჩემს მასწავლებელს — ლექსი ხუტა ბერულავასი . . . 88
37. ია და ბავშვი — ლექსი ლიდია მეგრელისა . . . . . 94
38. ქაობის ადგილას ფორთოხლები — მოთხრობა . . . . 95
39. მიყვარს თბილისი — ლექსი ი. ნონეშვილისა . . . . 97
40. ზაზამ გამაბრაზა — ლექსი ი. სიხარულიძისა . . . . 98
41. ჯილდო — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . . . . 99
42. პირველი ქართული ავტომობილი — მოთხრობა (შემოკ-ლებით) ვ. ჟურულისა . . . . . . . . . . . 100
43. ფუტკარი — ლექსი . . . . . . . . . . . . 100
44. სამგორი ძველად — მოთხრობა (შემოკლებით) ბურჯანაძის და ბოცვაძის „დედა-ენიდან" . . . . . . . . . 101
45. სიმღერა თბილისის ზღვასთან — ლექსი ალეკო შენგელიასი 103
46. ზოია — ლექსი (ნაწყვეტი) ი. ნონეშვილისა . . . . . 104
47. ჩვენი ღერბი — ლექსი ირ. აბაშიძისა . . . . . . 105
48. თავისუფლება — ლექსი . . . . . . . . . . . 106
49. დაუკვირდი — ლექსი ჩარკვიანისა . . . . . . . 107
50. მანქანა-ტრაქტორთა სადგური — მოთხრობა . . . . 108
51. კაჭკაჭი — ლექსი . . . . . . . . . . . . . 109
52. გლეხების ბრძოლა თავისუფლებისათვის — მოთხრობა . . 110
53. მოსავლის სიმღერა — ლექსი . . . . . . . . . 111
54. ხვალ სკოლაში მივდივარ — ლექსი . . . . . . . 112
55. სამგორში — ლექსი . . . . . . . . . . . . 114
56. რუსული სინათლე — მოთხრობა . . . . . . . . 115


## ნაწილი III


57. ვიბრანტი ბგერის — რ — დაყენება . . . . . . . 116
58. ქართველი პიონერის წერილი კორეელ ბიჭუნას — ლექსი გ. ძულაშვილისა . . . . . . . . . . . . . 123
59. მასწავლებელი — ლექსი ა. ონელისა . . . . . . 123
60. მოცხარი — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . . . . 124
61. დედის დარიგება — ლექსი (შემოკლებით) გ. ჭალადიდელისა 124
62. დილა — სტალინი . . . . . . . . . . . . . 125
63. ქაღალდმა თქვა — მოთხრობა . . . . . . . . . 126
64. სტუმრების დაპატიჟება — მოთხრობა . . . . . . . 127
65. გუგული და ღაჟო — ლექსი . . . . . . . . . . 128
66. ლატერალი ბგერის — ლ — დაყენება . . . . . . . 129
67. ნაკადული — მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა . . . . . 134
68. მოგონება ნიკო ლომოურის შესახებ . . . . . . . 134
69. ლიას სიმღერა — ლექსი . . . . . . . . . . . 135
70. გაზაფხული — ლექსი ი. სიხარულიძისა . . . . . . 136
71. ძველი წისქვილი — ლექსი . . . . . . . . . . 137
72. მოგონება — ანასტ. კაიშაურისა . . . . . . . . 139
73. ენძელა და ია — ლექსი . . . . . . . . . . . 139
74. ჯეჯილი — ლექსი ი. დავითაშვილისა . . . . . . . 142

75. უსუნო ყვავილი — მოთხრობა ი. გოგებაშვილისა . . . 142
76. საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერებს . . . . . . . . . 143
77. კურდღლისა და მისი ბაჭიების თავგადასავალი (ზღაპარი) 143
78. წინაპართა ნაკვალევი (ნაწყვეტი) . . . . . . . . . . . 144
79. რაიმონდა დიენი (ნაწყვეტი)— ლ. ვარდოსანიძისა . . . 145
80. დავით გურამიშვილი (ნაწყვეტი) — ლექსი . . . . . . . 146
81. ჰესი — ლექსი გ. გიგაურისა . . . . . . . . . . . . 146
82. მაიმუნი და სარკე (იგავ-არაკი) — ი. კრილოვისა, თარგმანი ა. წერეთლისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 147
83. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში . . . . . . 148
84. უკანაენასასისმიერი ბგერების — გ, ქ, კ, ხ, ღ — დაყენება 150
85. მეტროპოლიტენი — მოთხრობა . . . . . . . . . . . . 163
86. ფარინგალი ბგერის — ყ — დაყენება . . . . . . . . . 177
87. მოხერხებული ყვავი — გადმოკეთებული რუსულიდან . . 179
88. ხორხისმიერი ბგერის — ჰ — დაყენება . . . . . . . . 180
89. „თეთლი იაშამანი“ — მოთხრობა ანასტ. კაიშაურისა . . 180
90. ანბანთ სიმღერა — ლექსი ა. შენგელიასი . . . . . . . 182

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი — გ. ახვლედიანი

ტექრედაქტორი — ან. ღვინიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II 54 წ. უე 00278 ანაწყობის ზომა 6×10
ქაღალდის ზომა 60×92 სასტამბო ფორმათა რაოდენობა 12. ტირაჟი 3.000
შეკვ. № 826

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

2 მან. 85 კაპ.

А. КАИШАУРИ

# РУКОВОДСТВО ПО УСТРАНЕНИЮ ДЕФЕКТОВ РЕЧИ

---

(На грузинском языке)
Госиздат Грузинской ССР
Тбилиси — 1954